საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020

წლიური ანგარიში

2020 წელი

საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016 - 2020

2020 წლის სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიში

© მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების 2020 წლის სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიში მომზადებულია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ, სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული პასუხისმგებელი უწყებების/სააგენტოების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.

აბრევიატურა

ADB	აზიის განვითარების ბანკი
CIDA	სამოქალაქო განვითარების სააგენტო
DCFTA	ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმება
EBAN	ევროპის ბიზნეს ენჯელების ქსელი
EDA	ექსპორტის განვითარების ასოციაცია
EEN	ევროპის მეწარმეთა ქსელი
EFQM	ხარისხის მენეჯმენტის ევროპული ფონდი - „წარმატების მოდელი“
EPR	მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება
ETF	ევროპის განათლების ფონდი
GIZ	გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის ორგანიზაცია
G4G	მმართველობა განვითარებისათვის
ICT	საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები
IFRS for SME	ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის
ILO	შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია
LLEL	უწყვეტი სამეწარმეო სწავლება
OECD	ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაცია
RIA	რეგულირების ზეგავლენის შეფასება
R&D	კვლევა და განვითარება
TA	ტექნიკური დახმარება
ToT	ტრენერთა ტრენინგი
TNA	ტრენინგების საჭიროებათა შეფასება
TTPP	ტექნოლოგიების გადაცემის საპილოტე პროექტი
UNDP	გაეროს განვითარების პროგრამა
UNECE	გაეროს ევროპის ეკონომიკური კომისია
USAID-PROLoG	ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს დახმარების პროგრამა
WEP	ქალთა გაძლიერების პრინციპები

სარჩევი

მოკლე მიმოხილვა 6

შესავალი 11

1. სამართლებრივი, ინსტიტუციური და სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება.....16

1.1. ბიზნესის დახურვის და გადახდისუუნარობის პროცედურების გაუმჯობესება..... 16

1.2. მედიაციასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ჩარჩოს შექმნა 17

1.3. საწარმოთა სტატისტიკის გაუმჯობესება 19

1.4. მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერი ინსტიტუტების გაძლიერება..... 20

1.5. საჯარო და კერძო სექტორს შორის დიალოგის გაძლიერება..... 23

1.6. პრიორიტეტული ეკონომიკური კანონმდებლობისთვის რეგულირების ზეგავლენის შეფასების RIA-ს სისტემის შექმნა 24

მონიტორინგისა და შეფასების შედეგები 24

პირველი სტრატეგიული მიმართულების შესრულების შეფასება..... 25

2. ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება.....30

2.1. ფინანსური განათლების გაუმჯობესება..... 30

2.2. მცირე და საშუალო საწარმოთა ხელშეწყობა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS for SME) დანერგვაში 31

2.3. მცირე და საშუალო მეწარმეთა ცოდნის ამაღლება ფინანსების მოზიდვის (fund raising) საკითხებში..... 31

2.4. მცირე და საშუალო მეწარმეობის და დამწყები ბიზნესის (startup) დაფინანსებაზე ორიენტირებული კერძო საინვესტიციო და ვენჩურული კაპიტალის ფონდების მოზიდვა..... 32

2.5. მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერა კომერციული ბანკებიდან და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებიდან დაფინანსების ზრდისთვის 36

მონიტორინგისა და შეფასების შედეგები 39

მეორე სტრატეგიული მიმართულების შესრულების შეფასება..... 41

3. მცირე და საშუალო მეწარმეობის უნარების განვითარების და სამეწარმეო კულტურის ამაღლების ხელშეწყობა 44

3.1. შრომის ბაზრის საჭიროების იდენტიფიცირება და შესაბამისი დასაქმების პროგრამების განვითარება 44

3.2. მცირე და საშუალო საწარმოთა ტრენინგების საჭიროებათა შეფასება (Training Needs Assessment TNA)..... 46

3.3. უწყვეტი სამეწარმეო სწავლების (LLEL) დანერგვა განათლების სისტემის ყველა დონეზე 47

3.4. მეწარმეობაზე ორიენტირებული პროფესიული განათლების სისტემის განვითარება..... 49

3.5. არაფორმალურ განათლებაზე ხელმისაწვდომობის ზრდა 53

3.6. მცირე და საშუალო მეწარმეობისთვის ტექნიკური დახმარების (TA) უზრუნველყოფა 56

3.7. საგანმანათლებლო კომპონენტის განვითარება "აწარმოე საქართველოში" სააგენტოს ვებ-გვერდზე ... 58
3.8. მეწარმეების მომსახურების ცენტრის მომსახურებების პორტფელის გაფართოება ... 58
3.9. ქალთა მეწარმეობის წახალისება ... 59
3.10. მცირე და საშუალო საწარმოებში „მწვანე პრაქტიკის" წახალისება ... 60
მონიტორინგისა და შეფასების შედეგები ... 65
მესამე სტრატეგიული მიმართულების შესრულების შეფასება ... 67
4. ექსპორტის ხელშეწყობა და მცირე და საშუალო საწარმოთა ინტერნაციონალიზაცია ... 70
4.1. DCFTA-ის პერსპექტივების და მოთხოვნების შესახებ ცნობიერების ამაღლება ... 70
4.2. მეწარმეობის მხარდაჭერა DCFTA მოთხოვნებთან ადაპტაციაში ... 72
4.3. მცირე და საშუალო საწარმოთა ექსპორტის სტიმულირება ... 74
4.4. მეწარმეობის მხარდაჭერა საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების დამყარებაში ... 74
მონიტორინგისა და შეფასების შედეგები ... 77
მეოთხე სტრატეგიული მიმართულების შესრულების შეფასება ... 78
5. ელექტრონული კომუნიკაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიების, ინოვაციების და კვლევისა და განვითარების ხელშეწყობა ... 79
5.1. მცირე და საშუალო საწარმოებში ინოვაციების სტიმულირება ... 79
5.2. ინოვაციების და R&D დაფინანსების ეფექტიანი სქემების შემუშავება ... 79
5.3. ინოვაციების და R&D-ის კომერციალიზაციის მხარდაჭერა ... 80
5.4. მეწარმეობაში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) გამოყენების უნარების გაუმჯობესება ... 80
5.5. ინოვაციებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა (ტექნოპარკები, ინოვაციების ცენტრები, FabLab-ები; iLab-ები) ... 81
მონიტორინგისა და შეფასების შედეგები ... 86
მეხუთე სტრატეგიული მიმართულების შესრულების შეფასება ... 87
სამოქმედო გეგმით 2020 წლისთვის ნაკისრი ვალდებულებების შესრულება ... 88

მოკლე მიმოხილვა

საქართველოს მთავრობის მიერ 2016 წელს დამტკიცდა საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია 2016-2020 წლებისთვის და შესაბამისი სამოქმედო გეგმა. სტრატეგია სრულ შესაბამისობაშია ევროპული მცირე ბიზნესის აქტის ძირითად პრინციპებთან და მასში გათვალისწინებულია ევროკავშირის ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკა მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების პოლიტიკის კუთხით. სტრატეგიის მთავარი მიზანია მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა, მათი კონკურენტუნარიანობის და ინოვაციების შესაძლებლობების ამაღლება, რის შედეგადაც მოხდება შემოსავლების და სამუშაო ადგილების ზრდა და შესაბამისად, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის მიღწევა.

სტრატეგიით განისაზღვრა სამიზნე მაჩვენებლები, რაც ითვალისწინებს 2020 წლისთვის მცირე და საშუალო საწარმოების გამოშვების წლიურ 10%-იან ზრდას, ასევე საბაზისო წელთან (2013 წ.) მიმართებით დასაქმებულთა 15%-იან და მწარმოებლურობის 7%-იან ზრდას.

2016-2020 წლების სტრატეგია მოიცავს 5 ძირითად სტრატეგიულ მიმართულებას, როგორიცაა საკანონმდებლო, ინსტიტუციური ბიზნეს გარემოს შემდგომი გაუმჯობესება; ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება; კონკურენტუნარიანი ადამიანური კაპიტალის, სამეწარმეო უნარების და თანამედროვე სამეწარმეო კულტურის განვითარება; ექსპორტის წახალისება და მცირე და საშუალო ბიზნესის ინტერნაციონალიზაცია; ინოვაციების და კვლევისა და განვითარების (R&D) მხარდაჭერა. აღნიშნული სტრატეგიული მიმართულებები, თავის მხრივ, მოიცავს პოლიტიკის შესაბამის პრიორიტეტულ ღონისძიებებს და ქმედებებს.

პირველი სტრატეგიული მიმართულება ითვალისწინებს სამართლებრივი, ინსტიტუციური და სამეწარმეო გარემოს შემდგომ გაუმჯობესებას მცირე და საშუალო მეწარმეებისთვის. აღნიშნული მიმართულების ფარგლებში საანგარიშო პერიოდში საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი. შეიქმნა პლატფორმა „სახელმწიფო - შენი პარტნიორი“ (programs.gov.ge), რომელიც თავს უყრის ბიზნესის ხელშეწყობაზე ორიენტირებულ სახელმწიფო პროგრამებს. ბიზნესისათვის სერვისების მიწოდების გაუმჯობესების მიზნით მნიშვნელოვნად გაფართოვდა ელექტრონული სერვისების ერთიანი პორტალი - My.gov.ge, სადაც განთავსებულია საქართველოს საჯარო და კერძო სექტორში არსებული ელექტრონული სერვისები. 2020 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“, რომლის მიზანია დავების გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების განვითარების ხელშეწყობა. აღნიშნულ პერიოდში საქართველოს მასშტაბით სასამართლო მედიაცია სავალდებულო სახით დაინერგა თბილისის და რუსთავის საქალაქო სასამართლოებში და მცხეთის

რაიონულ სასამართლოში. შემუშავდა და დამტკიცდა „საქართველოს ოფიციალური სტატისტიკის ეროვნული სისტემის განვითარების 2020-2023 წლების სტრატეგია“ და შესაბამის სამოქმედო გეგმა 2020-2021 წლებისათვის. საწარმოთა სტატისტიკის არეალის გაფართოების მიზნით საქართველოს სტატისტიკის ეროვნულმა სამსახურმა მოამზადა და ვებ-გვერდზე განათავსა ფინანსური კორპორაციების სტატისტიკური გამოკვლევა. მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერი ინსტიტუტების გაძლიერების მიზნით განხორციელდა შესაბამისი ინსტიტუტების თანამშრომელთა დატრენინგება. განხორციელდა ინოვაციების და მეწარმეობის ტექნიკური მხარდაჭერის პროგრამები. საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატაში განხორციელდა ელექტრონული კომერციის შესახებ საკონსულტაციო მომსახურების სერვისის დანერგვა. საჯარო და კერძო სექტორს შორის დიალოგის გაძლიერების ფორმატის ფარგლებში ჩატარდა ონლაინ შეხვედრები. გაიმართა DCFTA-ის საკონსულტაციო ჯგუფის შეხვედრა. „უკეთესი რეგულირების“ სისტემის დანერგვის მიზნით შემუშავდა და დამტკიცდა რეგულირების ზეგავლენის შეფასების მეთოდოლოგია, რომელიც წარმოადგენს რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიშის მომზადების ტექნიკური სახელმძღვანელოს.

პირველი სტრატეგიული მიმართულების ფარგლებში განსაზღვრული პრიორიტეტული ღონისძიებების აქტივობების შესრულება შეფასდა სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული „შესრულების ინდიკატორების“ მიხედვით, ხოლო სტრატეგიული მიმართულების შესრულება შეფასდა OECD-ის მიერ რეკომენდებული ინდიკატორების შესაბამისად.

მეორე სტრატეგიული მიმართულება ითვალისწინებს ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას. აღნიშნული მიმართულების ფარგლებში ჩატარდა მეწარმეთათვის ტრენინგები, მათ შორის ფინანსური განათლების გაუმჯობესების მიზნით. აგრო მეწარმეებისთვის განვითარდა ახალი ფინანსური განათლების ტრენინგ-მოდული, შეიქმნა ახალი ფინანსური საგანმანათლებლო პლატფორმა - FinEdu.gov.ge, სადაც განთავსებულია ფინანსური განათლების თემაზე არსებული ინფორმაცია. მცირე და საშუალო საწარმოთა ხელშეწყობის მიზნით განხორციელდა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS for SME) ონლაინ ტრენინგები. სტარტაპებისთვის ჩატარდა ტრენინგები ფონდების მოძიების თემატიკაზე. თანადაფინანსების გრანტების პროგრამის ბენეფიციარებისთვის შეიქმნა Market Acceleration Program-ის დამატებითი ფინანსებზე წვდომის მექანიზმი. კაპიტალის ბაზრის განვითარების მიზნით მიღებულ იქნა საქართველოს კანონი „საინვესტიციო ფონდების შესახებ“. აღნიშნული კანონის მიღებამდე საჯარო და კერძო დიალოგის ფორმატის ფარგლებში ჩატარდა 4 შეხვედრა. კაპიტალის ბაზრის განვითარების მიზნით, ასევე, მიღებულ იქნა ცვლილებები "ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონში. მცირე და საშუალო მეწარმეების მხარდაჭერის ფარგლებში განხორციელდა მიკრო და მცირე გრანტების პროგრამა, რომელიც 300-ზე მეტი ეკონომიკური საქმიანობის დაფინანსებას ითვალისწინებს.

ინოვაციების ტექნიკური მხარდაჭერის მიზნით ფინანსებზე წვდომის პროგრამის ფარგლებში გაიცა მინი და წილობრივი გრანტები. აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში გაიცა სესხები. ახალგაზრდა მეწარმეების განვითარების პროგრამის ფარგლებში დაფინანსდნენ ახალგაზრდა მეწარმეები. პროგრამა „დანერგე მომავლის“ ფარგლებში განხორციელდა მრავალწლოვანი კენკროვანი კულტურის ბაღების გაშენება. შემნახველი და გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის ფარგლებში შეიქმნა გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოები. ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა კოოპერატივების ჩაის გადამამუშავებელი საწარმოო დანადგარებით აღჭურვა. აგროდაზღვევის პროგრამის ფარგლებში განხორციელდა სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლის დაზღვევა.

მეორე სტრატეგიული მიმართულების ფარგლებში განსაზღვრული პრიორიტეტული ღონისძიებების აქტივობების შესრულება შეფასდა სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული „შესრულების ინდიკატორების“ მიხედვით, ხოლო სტრატეგიული მიმართულების შესრულება შეფასდა OECD-ის მიერ რეკომენდებული ინდიკატორების შესაბამისად.

მესამე სტრატეგიული მიმართულება ითვალისწინებს მცირე და საშუალო მეწარმეობის უნარების განვითარებასა და სამეწარმეო კულტურის ამაღლების ხელშეწყობას. აღნიშნული მიმართულების ფარგლებში ჩატარდა „უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევა“, რომლის მიზანია ადამიანისეული კაპიტალის უნარებზე საწარმოების მოთხოვნის გამოვლენა. შემუშავდა კარიერის დაგეგმვისა და პროფორიენტაციის ინტეგრირებული ხედვა. “დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების“ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დასაქმდნენ სამუშაოს მაძიებლები, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები (შშმ პირები). განხორციელდა „განათლების სისტემის ყველა დონეზე უწყვეტი სამეწარმეო სწავლების (LLEL) დანერგვის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმით“ გათვალისწინებული ღონისძიებები. სავალდებულოდ დაინერგა სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ყველა პროფესიული სტუდენტისთვის მოდულურ პროფესიულ პროგრამაზე სწავლის დროს მეწარმეობის მოდულის გავლა. პროფესიული განათლების სისტემაში სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების ხელშეწყობის მიზნით განხორციელდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები. დამტკიცდა არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები. 2020 წელს არაფორმალური განათლების აღიარების უფლება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მოიპოვა ორმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ. არაფორმალური განათლების პროგრამების ხელშეწყობის მიზნით განხორციელდა ონლაინ ტრენინგები. შეიქმნა ონლაინ ბიზნეს ინკუბატორის საპილოტე ვერსია. დონორი ორგანიზაციების მხარდაჭერით დაინერგა EFQM-ის წარმატების მოდელი. მეწარმეობის მხარდამჭერი ღონისძიებების ფარგლებში სააგენტოს „აწარმოე

საქართველოში“ ვებ-გვერდზე განთავსებულია საგანმანათლებლო მასალები და ბიზნეს-ლიტერატურა. ქალთა მეწარმეობის წახალისების მიზნით შემუშავდა გენდერული თანასწორობის სტრატეგია და შესაბამისი სამოქმედო გეგმა. განხორციელდა მცირე და საშუალო საწარმოებში „მწვანე პრაქტიკის“ დანერგვის ხელშემწყობი ღონისძიებები.

მესამე სტრატეგიული მიმართულების ფარგლებში განსაზღვრული პრიორიტეტული ღონისძიებების აქტივობების შესრულება შეფასდა სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული „შესრულების ინდიკატორების“ მიხედვით, ხოლო სტრატეგიული მიმართულების შესრულება შეფასდა OECD-ის მიერ რეკომენდებული ინდიკატორების შესაბამისად.

მეოთხე სტრატეგიული მიმართულება ითვალისწინებს ექსპორტის ხელშეწყობას და მცირე და საშუალო საწარმოთა ინტერნაციონალიზაციას. აღნიშნული მიმართულების ფარგლებში განხორციელდა რიგი აქტივობები DCFTA-ის პერსპექტივების და მოთხოვნების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით. გაიზარდა მეტროლოგიის ინტიტუტის აღიარებული ჩანაწერების რაოდენობა. საქართველოს სტანდარტად მიღებული იქნა საერთაშორისო და ევროპული სტანდარტები. აკრედიტაციის სფეროში დაემატა ენერგიის მენეჯმენტის სერტიფიკაციის და აუდიტის ორგანოების აკრედიტაცია. მუდმივად მიმდინარეობს ვებგვერდის www.dcfta.gov.ge განახლება, რომელსაც მხოლოდ 2020 წლის განმავლობაში 23,277 ვიზიტორი ჰყავდა. განხორციელდა საექსპორტო პოტენციალის მქონე სექტორების ანალიზი და განისაზღვრა პრიორიტეტული საექსპორტო ბაზრები. განხორციელდა საერთაშორისო ბაზრების კვლევა ბაზრის მოთხოვნასა და პრიორიტეტულ პროდუქტებზე ამ ბაზრების მოთხოვნების, მათ შორის ტექნიკური მოთხოვნების იდენტიფიცირების მიზნით.

გაიმართა ონლაინ ტრენინგები აკრედიტებული შესაბამისობის შემფასებელი ორგანოების წარმომადგენლებისათვის. საწარმოებში მარკეტინგის უნარების განვითარების მიზნით განხორციელდა ექსპორტის სასერტიფიკატო კურსები. საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების ფარგლებში გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები. განხორციელდა მეწარმეთა ინფორმირება ევროპის მეწარმეთა ქსელის - Enterprise Europe Network (EEN) უპირატესობების შესახებ და მეწარმეებს გაეწიათ კონსულტაციები პლატფორმაზე დარეგისტრირების თაობაზე.

მეოთხე სტრატეგიული მიმართულების ფარგლებში განსაზღვრული პრიორიტეტული ღონისძიებების აქტივობების შესრულება შეფასდა სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული „შესრულების ინდიკატორების“ მიხედვით, ხოლო სტრატეგიული მიმართულების შესრულება შეფასდა OECD-ის მიერ რეკომენდებული ინდიკატორების შესაბამისად.

მეხუთე სტრატეგიული მიმართულება ითვალისწინებს ინოვაციების, კვლევის და განვითარების ხელშეწყობას. აღნიშნული მიმართულების ფარგლებში

განხორციელებული ღონისძიებების მიზანია მცირე და საშუალო საწარმოებში ინოვაციების სტიმულირება, ინოვაციების და R&D დაფინანსების ეფექტიანი სქემების შემუშავება და მათი კომერციალიზაცია. ინოვაციების და ტექნოლოგიების პოპულარიზაციის მიზნით ჩატარდა არაერთი ღონისძიება. ინოვაციური და ტექნოლოგიური საგრანტო პროგრამების ფარგლებში გაიცა გრანტები. ტექნოლოგიების გადაცემის საპილოტე პროექტის (TTPP) ფარგლებში შეირჩა პროექტები და დამტკიცდა შერჩეული პროექტების კომერციალიზაციის გეგმები. შეიქმნა საინფორმაციო ტიპის ვებ-გვერდი ICT პროგრამისთვის. განხორციელდა IT სპეციალისტის გადამზადების პროგრამის საპილოტე ტრენინგები. საქართველოს ფართოზოლოვანი ქსელების განვითარების 2020-2025 წლების ეროვნული სტრატეგიის შესაბამისად, დაიწყო ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების სახელმწიფო პროგრამა.

მეხუთე სტრატეგიული მიმართულების ფარგლებში განსაზღვრული პრიორიტეტული ღონისძიებების აქტივობების შესრულება შეფასდა სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული „შესრულების ინდიკატორების“ მიხედვით, ხოლო სტრატეგიული მიმართულების შესრულება შეფასდა OECD-ის მიერ რეკომენდებული ინდიკატორების შესაბამისად.

შესავალი

საქართველოს სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიის - „საქართველო 2020“-ის თანახმად, საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკა სამ უმთავრეს პრინციპს ემყარება. **პირველი პრინციპი** ეკონომიკის რეალური (წარმოების) სექტორის განვითარებაზე ორიენტირებული სწრაფი და ეფექტიანი ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფაა, რაც განაპირობებს ქვეყანაში არსებული ეკონომიკური პრობლემის გადაჭრას, სამუშაო ადგილების შექმნასა და სიღარიბის დაძლევას. **მეორე პრინციპია** ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის ხელშემწყობი ეკონომიკური პოლიტიკის გატარება, რაც გულისხმობს მოსახლეობის საყოველთაო ჩართულობას ეკონომიკური განვითარების პროცესში, ეკონომიკური ზრდის შედეგად საზოგადოების თითოეული წევრის კეთილდღეობას, მათ სოციალურ თანასწორობასა და მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას. **მესამე ძირითად** პრინციპს ეკონომიკური განვითარების პროცესში ბუნებრივი რესურსების რაციონალური გამოყენება, ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და მდგრადობის უზრუნველყოფა წარმოადგენს.

2019 წელს, ბოლო შვიდი წლის განმავლობაში, საქართველოს ეკონომიკურმა ზრდამ ყველაზე მაღალ ნიშნულს მიაღწია და 5.0% შეადგინა. თავის მხრივ, 2013-2019 წლებში ეკონომიკა ყოველწლიურად საშუალოდ 4.2% იზრდებოდა, რაც ეკონომიკის ჯანსაღ განვითარებაზე მიუთითებს.

საქართველოს პროფილი	
მოსახლეობა, 2019 წელი	**3,716,858**
GDP მიმდინარე ფასებში, 2019 წელი	**49.3 მლრდ ლარი**
GDP ერთ სულ მოსახლეზე, 2019 წელი	**13,239.4 ლარი**
GDP რეალური ზრდა (%, y-o-y), 2019 წელი	**5.0%**
საქონლისა და მომსახურების ექსპორტი (% მშპ-ში), 2019 წელი	**54.8%**
საქონლისა და მომსახურების იმპორტი (% მშპ-ში), 2019 წელი	**63.7%**
უმუშევრობის დონე[1], 2019 წელი	**17.6%**
მცირე და საშუალო მეწარმეობის სტატისტიკა	
SME % მთლიან მოქმედ საწარმოებში	**99.7%**
SME წილი მთლიან დასაქმებულებში, 2019 წელი	**65.0%**
SME წილი მთლიან დამატებულ ღირებულებაში	**59.3%**

[1] 2019-2020 წლებში, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციასთან, ევროკავშირის და ევროსტატის მიერ ინიცირებული პროექტის ფარგლებში, საქსტატის მიერ სამუშაო ძალის სტატისტიკის მეთოდოლოგიაში ფუნდამენტური ცვლილებები განხორციელდა. ახალი სტანდარტის დანერგვა ითვალისწინებს თვითდასაქმებულთა გადაკვალიფიცირებას. კერძოდ, ახალი სტანდარტით თვითდასაქმებულად აღარ ითვლებიან საკუთარ ოჯახურ მეურნეობაში მომუშავე პირები, რომლებიც არ არიან ბაზარზე ორიენტირებულები და სასოფლო სამეურნეო პროდუქციას აწარმოებენ უმთავრესად (50%-ზე მეტი) საკუთარი მოხმარებისათვის.

ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ძირითად პრინციპს კერძო სექტორის განვითარება და ხელშეწყობა წარმოადგენს. სამეწარმეო სექტორი, განსაკუთრებით მცირე და საშუალო საწარმოები, მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ეკონომიკის განვითარებაში და საგრძნობი წვლილი შეაქვთ მდგრადი და ინკლუზიური ეკონომიკური ზრდის უზრუნველყოფაში. მცირე და საშუალო საწარმოები, დასაქმების ზრდისა და სამუშაო ადგილების შექმნის პოტენციალით, ასევე, ეკონომიკის განვითარებასა და ზრდაში შეტანილი წვლილის გათვალისწინებით, ნებისმიერი ქვეყნის ეკონომიკის ქვაკუთხედად მიიჩნევა.

საქართველოს მთავრობის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გამოწვევას მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარება და ხელშეწყობა წარმოადგენს. შესაბამისად, ერთიანი მხარდამჭერი პოლიტიკის და შესაბამისი სტრატეგიის არსებობა ხელს უწყობს ქვეყანაში კერძო სექტორის კონკურენტუნარიანობის გაძლიერებას, როგორც შიდა, ისე გარე ბაზრებზე, რაც ეფუძნება ადამიანური კაპიტალის განვითარებას, სამეწარმეო კულტურის ჩამოყალიბებას, ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას, ინოვაციებისა და კვლევების განვითარებას და სხვა. ყოველივე აღნიშნული კი ეკონომიკის წარმატებული ფუნქციონირების აუცილებელი პირობაა.

საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგია (2016-2020 წლებისთვის) და შესაბამისი სამოქმედო გეგმა, შემუშავდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კოორდინაციით, ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით, ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციასთან (OECD) და GIZ-თან მჭიდრო თანამშრომლობით. აღნიშნული სტრატეგია და შესაბამისი სამოქმედო გეგმა დამტკიცებულ იქნა 2016 წლის 26 თებერვალს საქართველოს მთავრობის დადგენილებით (საქართველოს მთავრობის დადგენილება N100; 26.02.2016).

სტრატეგიაში გათვალისწინებულია ევროპული მცირე ბიზნესის აქტის ძირითადი პრინციპები, მათ შორის, აღნიშნული აქტის უმთავრესი პრინციპი „უპირატესად იფიქრე მცირეზე“ და ასევე, ევროკავშირის ქვეყნების საუკეთესო პრაქტიკა მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების პოლიტიკის კუთხით. ცხადია, ის განსაკუთრებული მნიშვნელობა, რაც 2016-2020 წლების მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის და შესაბამისი სამოქმედო გეგმის არსებობასა და მის განხორციელებას გააჩნია მეწარმეობის შემდგომი განვითარების თვალსაზრისით, ვინაიდან მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის ეფექტიანი განხორციელება ხელს შეუწყობს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებას, ზრდას და მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლებას. აღნიშნული მნიშვნელოვანია როგორც დასაქმების ზრდისა და ახალი სამუშაო ადგილების შექმნისთვის, ასევე, ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე ადგილის დამკვიდრებისთვის.

მცირე და საშუალო ბიზნესის პოლიტიკის ინდექსი

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციამ (OECD), რომლის ერთ-ერთი პრიორიტეტია მცირე და საშუალო მეწარმეობის ხელშეწყობა, ევროპის განათლების ფონდთან (ETF) და IBRD-თან ერთად შეიმუშავა „მცირე და საშუალო ბიზნესის პოლიტიკის ინდექსი“ (SME Policy Index) კვლევის მეთოდოლოგია, რომელიც ქვეყნებს აფასებს ქვეყნებში არსებულ მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდამჭერ პოლიტიკას „ევროპის მცირე ბიზნესის აქტთან“ შესაბამისობის თვალსაზრისით.

“მცირე და საშუალო მეწარმეობის პოლიტიკის ინდექსი“ ქვეყნდება ოთხ წელიწადში ერთხელ. „SME Policy Index 2020“ წარმოადგენს 2012 და 2016 წლებში ჩატარებული კვლევების შემდგომ ჩატარებულ კვლევის მე-3 რაუნდს.

ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის (OECD) „მცირე და საშუალო ბიზნესის პოლიტიკის ინდექსი“ საქართველოს, აღმოსავლეთ პარტნიორობის (EaP) ქვეყნებთან ერთად (სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელორუსია, მოლდოვა, უკრაინა) აფასებს მცირე და საშუალო ბიზნესის პოლიტიკის მიმართულებით.

OECD-ის „SBA SME Policy Index 2020“ კვლევა ეფუძნება ევროპის მცირე ბიზნესის აქტის (SBA - Small Business Act) 10 პრინციპის შესაბამისად განსაზღვრული კომპონენტების შეფასებას.

რეიტინგი აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს აფასებს 12 კომპონენტის მიხედვით, რომელიც თავის მხრივ იყოფა 34 ქვეკომპონენტად. რეიტინგი მცირე და საშუალო მეწარმეობასთან მიმართებით ქვეყნებს აფასებს 1-დან 5 ქულამდე.

საქართველომ 2020 წლის რეიტინგში უპრეცედენტო წარმატებას მიაღწია. ანგარიშის თანახმად, საქართველოს შეფასება და შესაბამისად ქულა (წინა 2016 წლის რეიტინგთან შედარებით) რეიტინგის 12 კომპონენტიდან 12-ვეში გაუმჯობესდა, ხოლო 12-დან 9 კომპონენტში ქვეყანა უმაღლესი ქულით შეფასდა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებს შორის. რეიტინგი შემდეგ 12 კომპონენტს აფასებს: ინსტიტუციური და მარეგულირებელი გარემო; სამეწარმეო/ოპერაციული გარემო; გაკოტრება და მეორე შანსი; სამეწარმეო სწავლება და ქალთა მეწარმეობა; სამეწარმეო უნარები; მცირე და საშუალო ბიზნესის ფინანსებზე ხელმისაწვდომობა; სახელმწიფო შესყიდვები; სტანდარტები და ტექნიკური რეგულაციები; ინტერნაციონალიზაცია; დამხმარე სერვისები მეწარმეობისა და start-up-ებისთვის; ინოვაციები და მწვანე ეკონომიკა.

OECD-ის ანგარიშის თანახმად, საქართველომ მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებისადმი უფრო მეტად სტრატეგიული მიდგომითა და შესაბამისი მიზნობრივი ინიციატივების განხორციელებით შემდგომი პროგრესი განიცადა და მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწია. ამასთან, კვლევის თანახმად, საქართველომ განსაკუთრებით შთამბეჭდავი ნაბიჯები გადადგა სამეწარმეო სწავლების, ასევე, მცირე და საშუალო მეწარმეობის ოპერაციული გარემოს გაუმჯობესების მიმართულებებით.

საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების 2016-2020 წლების სტრატეგიის მიზანი

- ✓ მცირე და საშუალო საწარმოებისთვის ხელსაყრელი გარემოს შექმნა;
- ✓ მცირე და საშუალო საწარმოებისთვის კონკურენტუნარიანობის და ინოვაციების შესაძლებლობების ამაღლება, რის შედეგადაც მოხდება შემოსავლების და სამუშაო ადგილების ზრდა და შესაბამისად, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდის მიღწევა.

სტრატეგიის ძირითადი ამოცანები

- ✓ ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე მცირე და საშუალო საწარმოების კონკურენტუნარიანობის ამაღლება;
- ✓ სამეწარმეო უნარების ამაღლება და თანამედროვე სამეწარმეო კულტურის დანერგვა;
- ✓ მცირე და საშუალო საწარმოების მოდერნიზაციის და ტექნოლოგიური გაუმჯობესების ხელშეწყობა.

2020 წლისთვის დასახული სამიზნე მაჩვენებლები *(საბაზისო - 2013 წელი)*

- ✓ 2020 წლისთვის მცირე და საშუალო საწარმოების გამოშვების ზრდა წლიურად საშუალოდ 10%-ით;
- ✓ 2020 წლისთვის მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებულთა ზრდა 15%-ით;
- ✓ 2020 წლისთვის მწარმოებლურობის ზრდა 7%-ით.

სტრატეგია მოიცავს **5 ძირითად სტრატეგიულ მიმართულებას და პოლიტიკის შესაბამის პრიორიტეტულ ღონისძიებებს,** რომელიც შემუშავებულია არსებული ეკონომიკური მდგომარეობის ანალიზის, მცირე და საშუალო საწარმოების ინსტიტუციური და სამეწარმეო გარემოს ანალიზის, არსებული შეფასებების და რეკომენდაციების გათვალისწინებით.

სტრატეგიული მიმართულებები:

1. საკანონმდებლო, ინსტიტუციური ბიზნეს გარემოს შემდგომი გაუმჯობესება;
2. ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება;

3. კონკურენტუნარიანი ადამიანური კაპიტალის, სამეწარმეო უნარების და თანამედროვე სამეწარმეო კულტურის განვითარების ხელშეწყობა;
4. ექსპორტის წახალისება და მცირე და საშუალო ბიზნესის ინტერნაციონალიზაციის მხარდაჭერა;
5. ინოვაციების და კვლევისა და განვითარების (R&D) მხარდაჭერა.

მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის სამოქმედო გეგმის თანახმად, თითოეული სტრატეგიული მიმართულება მოიცავს დეტალურ ქმედებებს, რომელთა განხორციელება მნიშვნელოვანია განსაზღვრული პრიორიტეტული ღონისძიებების შესასრულებლად და შესაბამისად, თითოეული სტრატეგიული მიმართულებებით დასახული მიზნების მისაღწევად.

მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიით განსაზღვრული სამიზნე მაჩვენებლები (2020 წლისთვის მცირე და საშუალო საწარმოების გამოშვების ზრდა წლიურად საშუალოდ **10%-ით**, 2020 წლისთვის მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებულთა ზრდა **15%-ით** და მწარმოებლურობის ზრდა **7%-ით)**, **აღსანიშნავია, რომ** „საქსტატის“ მონაცემების[2] თანახმად შემდეგი სახით შესრულდა:

- ✓ 2014-2019 წლებში მცირე და საშუალო საწარმოების გამოშვების საშუალო წლიური ზრდა **13.2%-ია**;
- ✓ 2019 წ. მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებულთა ზრდა **32%-ია**;
- ✓ 2019 წ. მწარმოებლურობის ზრდამ **14.2%** შეადგინა[3].

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს „მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიის“ 2020 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშს.

[2] ანგარიშში 2019 წლის სტატისტიკურ მონაცემების მითითება განაპირობა „საქსტატის“ სტატისტიკური მონაცემების გამოქვეყნების კალენდარმა, რომლის თანახმად წინამდებარე წლიური ანგარიშის მომზადებისას ხელმისაწვდომია მხოლოდ 2019 წლის მონაცემები. აღსანიშნავია, რომ გლობალური პანდემიის გავლენის სტატისტიკურ მაჩვენებლებში დანახვა შესაძლებელი იქნება 2020 წლის სტატისტიკური მონაცემების ხელმისაწვდომობის შემდეგ;

[3] *მეთოდოლოგია:* მცირე და საშუალო საწარმოთა დეფლირებული (მშპ-ს ჯაჭვური ინდექსი) დამატებული ღირებულება შეფარდებული მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებულთა რაოდენობაზე.

1. სამართლებრივი, ინსტიტუციური და სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება

1.1. ბიზნესის დახურვის და გადახდისუუნარობის პროცედურების გაუმჯობესება

[1.1.1] მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიით და შესაბამისი სამოქმედო გეგმის თანახმად, ინსტიტუციური და სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესების მიზნით, განისაზღვრა **ბიზნესის დახურვის და გადახდისუუნარობის პროცედურების გაუმჯობესება.** საქართველოს მთავრობამ საქართველოს პარლამენტს 2020 წელს წარუდგინა „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი, რომელიც საქართველოს პარლამენტის მიერ 2020 წლის 18 სექტემბერს **იქნა მიღებული.** კანონი სრულად ამოქმედდება 2021 წლის პირველი აპრილიდან. აღნიშნულ დრომდე კი, იუსტიციის სამინისტრო, კანონიდან გამომდინარე უზრუნველყოფს ყველა აუცილებელი კანონქვემდებარე სამართლებრივი აქტის გამოცემას იმისათვის, რომ მომზადდეს სათანადო საფუძველი კანონით გათვალისწინებული ახალი პროფესიის წარმომადგენლების - „გადახდისუუნარობის პრაქტიკოსების“ მიერ შესაბამისი საქმიანობის განსახორციელებლად.

„რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონი ითვალისწინებს ისეთი სამართლებრივი გარემოს ჩამოყალიბებას, რომელიც მოიცავს რეაბილიტაციის წამახალისებელ ეფექტიან მექანიზმებს და უზრუნველყოფს ყველა კრედიტორის უფლებებისა და კანონიერი ინტერესების მაქსიმალურად ეფექტიანად და სამართლიანად დაცვის გარანტიებს. „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ კანონის მიღებით საქართველოს გადახდისუუნარობის სისტემა საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას დაუახლოვდა.

[1.1.5] სტრატეგიის სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს **სახელმწიფოს მიერ მისაწოდებელი სერვისების ელექტრონული ფლატფორმის შექმნას**. საქართველოს მთავრობის ინიციატივით შეიქმნა პლატფორმა „სახელმწიფო - შენი პარტნიორი“ (programs.gov.ge), რომელიც თავს უყრის ბიზნესის ხელშეწყობაზე ორიენტირებულ სახელმწიფო პროგრამებს. მისი მთავარი მიზანია, მაქსიმალურად გაამარტივოს და გაზარდოს წვდომა სახელმწიფოს მიერ შეთავაზებულ ფინანსურ და ტექნიკურ დახმარებაზე მათთვის, ვისაც ბიზნესის დაწყება, ან არსებული საწარმოს გაფართოება სურს.

„სახელმწიფო - შენი პარტნიორი“ ერთი ფანჯრის პრინციპს ეფუძნება და სხვადასხვა სააგენტოს 20-ზე მეტ პროგრამაში ჩართვა ერთი სივრციდანაა შესაძლებელი, კერძოდ,

როგორც მთელი ქვეყნის მასშტაბით არსებული 24 იუსტიციის სახლისა და 81 საზოგადოებრივ ცენტრის, ასევე ელექტრონული ვებგვერდების საშუალებით.

ბიზნესისათვის სერვისების მიწოდების გაუმჯობესების მიზნით მნიშვნელოვნად გაფართოვდა **ელექტრონული სერვისების ერთიანი პორტალი - My.gov.ge.** აღნიშნულ ვებრესურსზე განთავსებულია საქართველოს საჯარო და კერძო სექტორში არსებული ელექტრონული სერვისები. პორტალის ერთ-ერთ მთავარ უპირატესობას წარმოადგენს მომხმარებლებისთვის სხვადასხვა სერვისის ხელმისაწვდომობა „ერთი ფანჯრის“ პრინციპით - მხოლოდ ერთი წერტილიდან. პორტალზე ხელმისაწვდომია საინფორმაციო და ფუნქციური ტიპის ელექტრონული სერვისები, როგორიცაა ქონება, ბიზნესი, გადასახადები და სხვა.

1.2. მედიაციასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ჩარჩოს შექმნა

[1.2.1] **„მედიაციის შესახებ“ საქართველოს კანონი, რომელიც 2020 წლის 1 იანვრიდან ამოქმედდა,** მიზნად ისახავს დავების გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების განვითარების ხელშეწყობას. მედიაცია დავების მოგვარების ერთ-ერთი მეთოდია, რომლის დროსაც მიუკერძოებელი მხარე (მედიატორი) მოდავე მხარეებს ურთიერთმისაღები შეთანხმების მიღწევაში ეხმარება. სასამართლო მედიაციის მიზანია ხელი შეუწყოს მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობასა და ეფექტიანობის გაზრდას და თავის მხრივ, სასამართლოს მაქსიმალურად განტვირთვას ისეთი დავებისაგან, რომლებსაც აქვთ ურთიერთშეთანხმებით დასრულების პერსპექტივა. მედიაციის გზით მიღწეული მორიგება სავალდებულოა და ექვემდებარება როგორც ნებაყოფლობით, ისე სასამართლოს წესით აღსრულებას. სასამართლოში საქმის წარმოებასთან შედარებით მედიაცია უფრო სწრაფი, იაფი და მოქნილი პროცესია.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი განსაზღვრავს სასამართლო მედიაციას დაქვემდებარებული დავების სახეებს, მათ შორის, როგორიცაა, საოჯახო, სამემკვიდრეო, სამეზობლო, შრომითი, ქონებრივი და არაქონებრივი დავები, საქართველოს საბანკო დაწესებულებების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების მიერ დადებული სესხის ხელშეკრულებებიდან გამომდინარე დავები და სხვა. მოსამართლეებს საქმეში არსებული გარემოებების შეფასების შემდგომ, დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში აქვთ შესაძლებლობა საქმე განსახილველად მედიატორს გადასცენ, მათ შორის, მხარეთა თანხმობის გარეშე. იმ შემთხვევაში თუ იმავე დავაზე გამოყენებული იქნა კერძო მედიაციის შესაძლებლობა და იგი უშედეგოდ დასრულდა - მხარეთა თანხმობით, იღებს გადაწყვეტილებას დავის საქმის მედიატორისთვის გადაცემის შესახებ. საქმეებს საქართველოს მედიატორთა ასოციაციაში გაწევრიანებული მედიატორები იხილავენ.

სასამართლო მედიაციის შემთხვევაში სახელმწიფო ბაჟის საფასური დავის საგნის ღირებულების 1%-ს შეადგენს (ნაცვლად 3%-ისა), ხოლო დავის მხარეთა შეთანხმებით დასრულების შემთხვევაში მოსარჩელეს უბრუნდება გადახდილი სახელმწიფო ბაჟის 70%.

2020 წელს საქართველოს მასშტაბით სასამართლო მედიაცია სავალდებულო სახით დაინერგა თბილისის და რუსთავის საქალაქო სასამართლოებში და მცხეთის რაიონულ სასამართლოში. 2021 წლიდან დაგეგმილია სასამართლო მედიაციის ქვეყნის მასშტაბით სრულად დანერგვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის გადაწყვეტილებით, 2020 წელს მედიაციას გადაეცა 101 საქმე, რაც 3-ჯერ აღემატება 2019 წელს მიღებულ საქმეთა რაოდენობას. აღნიშნული ძირითადად განპირობებული იყო როგორც ნებაყოფლობითი მედიაციის არსებობით, ასევე 2020 წლის იანვრიდან სავალდებულო მედიაციის ინსტიტუტის გაჩენით და ამოქმედებით.

რაც შეეხება მედიაციაში განხილულ საქმეთა კატეგორიებს, 2020 წელს მეტწილად მიღებულ იქნა მიკროსაფინანსო და საბანკო ტიპის დავები, შრომითი სამართლებრივი დავები. ასევე მიღებულ იქნა საქმეები, რომლებიც მხარეთა სურვილითა და შეთანხმების საფუძველზე გადაეცა მედიაციის ცენტრს და წარმოადგენდა საქმეთა შერეულ კატეგორიებს, როგორიცაა სამემკვიდრეო, სამეზობლო და სხვადასხვა ტიპის დავები.

2020 წელს მორიგების მაჩვენებლის მხრივ, განსაკუთრებით წარმატებული დავის კატეგორიებს შორის იყო შრომითი, მიკროსაფინანსო, საბანკო და ბიზნეს-პარტნიორული ურთიერთობებიდან წარმოშობილი დავები. თავის მხრივ, საერთო ჯამში არსებული მორიგების მაჩვენებელმა 70% შეადგინა.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს მოსამართლის გადაწყვეტილებით, 2020 წელს სასამართლო მედიაციას გადაეცა 19 საქმე. აღნიშნული დავებიდან 14 საქმე წარმოადგენდა საოჯახო სამართლებრივ დავას, ხოლო 5 საქმე წარმოადგენდა საქართველოს საბანკო დაწესებულებების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა და არასაბანკო სადეპოზიტო დაწესებულებების მიერ დადებული სესხის ხელშეკრულებებიდან გამომდინარე დავას.

სასამართლო მედიაციას დაქვემდებარებული 19 საქმიდან 16 საქმეზე მედიატორი არჩეულ იქნა მხარეთა შეთანხმებით, ხოლო 3 საქმეზე მედიატორი დანიშნულ იქნა მედიატორთა ასოციაციის თავმჯდომარის მიერ, რიგითობის წესით.

2020 წელს სასამართლო მედიაციას დაქვემდებარებული 19 საქმიდან 13 საქმე დასრულდა მხარეთა შეთანხმებით (76.5%), 4 საქმე დაუბრუნდა მოსამართლეს წარმოების განსაახლებლად, ხოლო 2 საქმეზე გაგრძელდა სასამართლო მედიაციის პროცედურები. 2020 წელს დასრულებულ 17 საქმეზე ჩატარდა 29 სასამართლო მედიაცია. აღნიშნულ პერიოდში დასრულებული ყველა სასამართლო მედიაცია (17 საქმე)

დასრულდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187^5-ე მუხლით გათვალისწინებულ 45 დღიან ვადაში.

სასამართლო მედიაციას დაქვემდებარებული 19 საქმიდან 5 საქმეზე კორონავირუსით გამოწვეული ქვეყანაში შექმნილი ვითარებიდან გამომდინარე, სასამართლო მედიაცია წარიმართა დისტანციური პლატფორმის გამოყენებით.

მცხეთის რაიონული სასამართლოს მიერ 2020 წელს სასამართლო მედიაციას გადაეცა 20 საქმე. სასამართლო მედიაციას დაქვემდებარებული 20 საქმიდან 6 საქმე დასრულდა მხარეთა შეთანხმებით, 10 საქმე დაუბრუნდა მოსამართლეს წარმოების განსაახლებლად, ხოლო 4 საქმეზე გაგრძელდა სასამართლო მედიაციის პროცედურები. სასამართლო მედიაციის მიერ განხილულ საქმეთა კატეგორიებს შორის იყო შრომითი, სამემკვიდრეო, სამეზობლო და ბიზნეს დავები.

1.3. საწარმოთა სტატისტიკის გაუმჯობესება

[1.3.2] საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის, გაეროს განვითარების პროგრამისა (UNDP) და შვედეთის მთავრობის მხარდაჭერით შემუშავდა „საქართველოს ოფიციალური სტატისტიკის ეროვნული სისტემის განვითარების 2020-2023 წლების სტრატეგია“ და შესაბამის სამოქმედო გეგმა 2020-2021 წლებისათვის. დოკუმენტი წარმოადგენს სტატისტიკის ეროვნული სისტემის სტრატეგიულ ხედვას და უზრუნველყოფს ევროკავშირის სტატისტიკურ მეთოდოლოგიასთან შესაბამისობას.

სტრატეგიის მიზანია საქართველოში სტატისტიკის განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებების განსაზღვრა. სტრატეგია წარმოადგენს ჩარჩოს საერთაშორისო თანამშრომლობისათვის, მოიცავს მონაცემების წარმოების პროცესის ყველა საფეხურს და შეესაბამება თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებს.

სტრატეგიის სამოქმედო გეგმა ითვალისწინებს მტკიცებულებებზე დაფუძნებული გადაწყვეტილების მისაღებად სტატისტიკური ინფორმაციის წარმოებას, მათ შორის სტატისტიკური მოცვის გაუმჯობესებას და ახალი მაჩვენებლების წარმოებას, ეროვნული ანგარიშების განვითარებას, ბიზნეს სტატისტიკის არეალის გაფართოებას, საგარეო სექტორის სტატისტიკის განვითარებას და სხვა.

საწარმოთა სტატისტიკის არეალის გაფართოების და შესაბამისი კვლევების დაგეგმვის ფარგლებში საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მიერ 2020 წელს განხორციელდა ფინანსური კორპორაციების 2019 სტატისტიკური გამოკვლევა, რომელიც გამოქვეყნდა საქსტატის ოფიციალურ ვებ-გვერდზე. კვლევაში წარმოდგენილია საფინანსო მომსახურების საქმიანობით დაკავებული საწარმოების რაოდენობა, საწარმოების შემოსავლების სტრუქტურა, დასაქმებულთა რაოდენობა, მათ

შორის გენდერულ ჭრილში. გამოკვლეული იქნა სადაზღვევო კომპანიები, კომპანიების მიერ გამომუშავებული პრემია, დამდგარი სადაზღვევო ზარალი (ბრუტო) და სხვ.

1.4. მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერი ინსტიტუტების გაძლიერება

[1.4.1] **მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერი ინსტიტუტების შესაძლებლობათა გაძლიერების (capacity building) ღონისძიებების ფარგლებში საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ** განხორციელდა თანამშრომელთა დატრენინგება, მათ შორის, საქართველოს ტექნოპარკების და ინოვაციების ცენტრების წარმომადგენლებს ჩაუტარდათ ტრენერების ტრენინგები (TOT), შემდეგი მიმართულებით: Lego & LittleBits, CorelDraw, Tinckercad და 3D ბეჭდვა.

საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს, StrategEast-ისა და EPAM-ის მიერ, ევრაზიის რეგიონში, პირველი საგანმანათლებლო IT-HUB-ის გაიხსნა. პროექტი ხორციელდება ამერიკული ცენტრის StrategEast-ისა და პროგრამული ინჟინერიის წამყვანი ამერიკული კომპანიის EPAM Systems-თან თანამშრომლობით. პროგრამა გულისხმობს წლიურად მინიმუმ 100 დამწყები IT სპეციალისტის დატრენინგებას და მათ დასაქმებას.

აღნიშნული ღონისძიებების ფარგლებში სააგენტოს **„აწარმოე საქართველოში“** თანამშრომლებმა სააგენტოს **პროგრამების შესახებ კონსულტაციის გაწევის მიზნით** იუსტიციის სახლებსა და საზოგადოებრივ ცენტრებში დასაქმებულთათვის **ჩაატარეს ტრენინგები**.

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა, რომელიც ქვეყნის ყველაზე მსხვილ ბიზნეს გაერთიანებას წარმოადგენს და რომლის წევრებიც არიან მეწარმე სუბიექტები და მათი გაერთიანებები, ბიზნესის საჭიროებებზე მორგებული სერვისებისა და პროექტების მეშვეობით უზრუნველყოფს კერძო სექტორის ინტერესების დაცვასა და განვითარებას. პალატაში ახალი და გაუმჯობესებული სერვისების დასანერგად, მათ შორის, როგორიცაა, წარმოშობის სერტიფიკატები, ფორსმაჟორული გარემოებების დადასტურება, საშინაო და საერთაშორისო საარბიტრაჟო და დავის მოგვარება, ფინანსებზე ხელმისაწვდომობის პროგრამები, იურიდიული კონსულტაციები სამეწარმეო საკითხებზე, საექსპერტო მომსახურება, შტრიხკოდების მიღება და სხვ., განხორციელდა **თანამშრომელთა გადამზადება (სულ 12 თანამშრომელი, მათ შორის 4 კაცი და 8 ქალი) მათი უნარების განვითარების** მიზნით.

[1.4.2] მცირე და საშუალო მეწარმეობის ინსტიტუციური გაძლიერების მიზნით, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა ახორციელებს **ბიზნეს ასოციაციების შექმნის და გაძლიერების ხელშეწყობას.** საანგარიშო პერიოდში პალატის ხელშეწყობით

განხორციელდა პალატის საბჭოში შემავალი და სხვა ბიზნესის მხარდამჭერი ორგანიზაციების/ასოციაციების გაძლიერება.

[1.4.3] საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ხელშეწყობით განხორციელდა **ინოვაციების, ტექნოლოგიების, ბიზნეს აქსელერატორების, ინოვაციების ინფრასტრუქტურისა და სხვა თემებზე გამოცდილების გაზიარება** შემდეგი ქვეყნებიდან: დიდი ბრიტანეთი, აშშ, სომხეთი, უზბეკეთი, ხორვატია, იტალია, ბელარუსის რესპუბლიკა, თურქეთის რესპუბლიკა, ასევე, საერთაშორისო აქსელერატორებთან, რომელთაც თანამშრომლობის გამოცდილება აქვთ როგორც განვითარებულ, ისე განვითარებად ქვეყნებთან.

მრავალმხრივი ურთიერთობების მიმართულებით, გაერთიანებული ერების ევროპის ეკონომიკურ კომისიასთან ერთად დასრულდა მუშაობა ორ პროექტზე და შემუშავდა რეკომენდაციები როგორც ქვეყნის ისე რეგიონის მდგრადი ინოვაციური პოლიტიკის მიმართულებით. პუბლიკაციები განთავსდა UNECE-ის საიტზე. The sub-regional Innovation Policy Outlook (IPO)[4] and the Innovation for Sustainable Development Review of Georgia (I4SDR)[5].

[1.4.4] **სახელმწიფო პროგრამა „აწარმოე საქართველოში“ შედეგების შეფასების** მიზნით, GIZ-თან თანამშრომლობით ხორციელდება პროექტი, რომლის ფარგლებში უნდა შემუშავდეს სააგენტოს შედეგების შეფასების (impact evaluation) მეთოდოლოგია და ჩატარდეს საპილოტე კვლევა. პროექტის ფარგლებში სააგენტოს ანალიზის, მონიტორინგის და შეფასების დეპარტამენტი მონაწილეობს capacity building-ის მიზნით. უკვე შერჩეულია ადგილობრივი კონსულტანტი, რომელიც თანამშრომლობს GIZ-თან. საპილოტე კვლევა განხორციელდება 2021 წლის მეორე ნახევარში.

[1.4.5.] **მცირე და საშუალო მეწარმეობის საჭიროებებზე მორგებული სერვისების შეთავაზების მიზნით,** სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ მიკრო და მცირე გრანტების პროგრამას, რომლის ფარგლებში 300-ზე მეტი ეკონომიკური საქმიანობის დაფინანსებაა შესაძლებელი, დაემატა კიდევ ერთი გეოგრაფიული ლოტი - თბილისი. მიკრო და მცირე გრანტების პროგრამაში მონაწილეობის მიზნით დარეგისტრირდა 26,299 მეწარმე და პირველი ეტაპი გადალახა 4,124 მეწარმემ. ამასთან, გამარტივდა პროგრამის ონლაინ პლატფორმის ინტერფეისი, რაც მის გამოყენებას მომხმარებელთათვის უფრო მოსახერხებელს და მეტად ავტომატიზირებულს ხდის.

საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტომ, განახორციელა **ინოვაციების და მეწარმეობის ტექნიკური მხარდაჭერის პროგრამები** და ფინანსებზე წვდომის პროგრამის ფარგლებში გასცა მინი და წილობრივი გრანტები. სააგენტო პროგრამის ფარგლებში გასცემს 15,000 ლარიან, 100,000 ლარიან და 650,000 ლარიან გრანტებს. 15,000 ლარიანი მცირე გრანტების პროგრამა წარმოადგენს თემატური

[4] https://unece.org/fileadmin/DAM/ceci/icp/Capacity_building/IPO_launch/IPO_2020_FULL.pdf
[5] https://unece.org/sites/default/files/2020-12/I4SDR_GEORGIA_2020_full_v4%28advance%20copy%29.pdf

დაფინანსების მექანიზმს, რომლის მიზანია სტარტაპების შექმნის და განვითარების ხელშეწყობა. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში ღია კონკურსის გზით და დადგენილი კრიტერიუმებით შეირჩა აპლიკანტები, რომლებიც დაფინანსდნენ ინოვაციების და ტექნოლოგიების სფეროში პროტოტიპის შექმნის, მისი გამოცდის, დახვეწის ან/და გაუმჯობესებისთვის. შედეგად, განხორციელდა როგორც ახალი ტექნოლოგიების დანერგვა, ასევე, გაუმჯობესდა არსებული ტექნოლოგიები. 15 000 ლარიანი მცირე საგრანტო პროგრამის ფარგლებში განხორციელდა პროტოტიპირებისა და ელექტრონული სერვისების მიმართულებით პროტოტიპირების კონკურსების ჩატარება. ელექტრონული სერვისების გრანტის მიზანია ისეთი სერვისების/პლატფორმების დანერგვის, ტესტირების ან გაუმჯობესების ხელშეწყობა, რაც აძლიერებს ადგილობრივ ელექტრონულ სერვისებს. ელექტრონული სერვისების პროტოტიპირების გრანტები გაიცა ისეთი პროექტების დასაფინანსებლად, რაც გამოწვეული იყო პანდემიით შექმნილი მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი პრობლემების გადასაჭრელად. 2020 წელს მცირე საგრანტო პროგრამის ფარგლებში განსახილველად შემოვიდა 373 განცხადება. ჯამში დაფინანსდა 23 პროექტი - 12 პროექტი პროტოტიპის მიმართულებით, ხოლო 11 პროექტი ელექტრონული სერვისების პროტოტიპის მიმართულებით.

100,000 ლარიანი და 650,000 ლარიანი თანადაფინანსების გრანტების ფარგლებში მეწარმეებზე გაიცა ფინანსური რესურსი, რომელიც ითვალისწინებდა საქართველოში, საერთაშორისო პოტენციალის მქონე ინოვაციური პროდუქტების და მომსახურების შემუშავება-ათვისებას და კომერციალიზაციის გზით ინოვაციების და ინოვაციური საწარმოების შექმნას. 2020 წელს 100,000 ლარიანი თანადაფინანსების გრანტების ფარგლებში დაფინანსდა 39 პროექტი, ხოლო 650,000 ლარიანი თანადაფინანსების გრანტების ფარგლებში 10-მა პროექტმა მიიღო ფინანსური მხარდაჭერა.

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატაში მიმდინარეობდა **ელექტრონული კომერციის შესახებ საკონსულტაციო მომსახურების სერვისის დანერგვა.**

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის განახლებულ ვებ-გვერდზე განთავსდა არსებული სახელმწიფო და დონორი ორგანიზაციების პროექტების და პროგრამების შესახებ ერთიანი ინფორმაცია. მათ შორის, აღსანიშნავია წარმოების და ბიზნესის მხარდაჭერის პროექტები, როგორიცაა მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამა, EU4Business საგარანტიო პროგრამა, The Asian Development Bank ფინანსური ჩართულობა მიკრო და მცირე საწარმოთა ზრდისათვის, ფერმერული მეურნეობების მხარდამჭერი ინიციატივა, გადაიღე საქართველოში, საკრედიტო-საგარანტიო მექანიზმი, ინდუსტრიული მიმართულება და სხვ.

[1.4.6] **მცირე და საშუალო საწარმოთა მხარდამჭერ ინსტიტუტებს შორის თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით,** საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კოორდინაციით შედგა შეხვედრები - სააგენტოს, „აწარმოე საქართველოში“, „საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის“, საქართველოს

საგარეო საქმეთა სამინისტროს დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტის, სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს წარმომადგენელთა მონაწილეობით.

აღნიშნული მიმართულებით **საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის** მიერ განხორციელდა 25-მდე შეხვედრა, რომელშიც სახელმწიფო უწყებებთან ერთად მონაწილეობა მიიღეს Amcham-ის, ICC-ის, Bag-ის და სხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

1.5. საჯარო და კერძო სექტორს შორის დიალოგის გაძლიერება

[1.5.1] ქვეყანაში დაგეგმილი და მიმდინარე რეფორმების თაობაზე საზოგადოების ინფორმირება და დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობა ხელს უწყობს მტკიცებულებებზე დაფუძნებული პოლიტიკის დაგეგმვას და შემუშავებას. აღნიშნული, თავის მხრივ, ხაზს უსვამს მთავრობის პოლიტიკის გამჭვირვალობასა და ანგარიშვალდებულებას, რაც განაპირობებს რეფორმების ქმედუნარიანობას და ეფექტიანობას. ამ მხრივ, აღსანიშნავია **საჯარო და კერძო სექტორს შორის არსებული დიალოგის პლატფორმა,** რომლის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში ჩატარდა ონლაინ შეხვედრები, სადაც განხილულ იქნა „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ საქართველოს კანონის პროექტი. აღნიშნულ შეხვედრებში მონაწილეობა მიიღეს სახელმწიფო უწყებების, საკანონმდებლო ორგანოს, კერძო სექტორის წარმომადგენლებმა, ექსპერტებმა და დონორმა ორგანიზაციებმა.

[1.5.3] 2020 წლის 21 დეკემბერს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ორგანიზებით DCFTA-ის საკონსულტაციო ჯგუფის მერვე შეხვედრა გაიმართა ონლაინ რეჟიმში. შეხვედრაზე განხილულ იქნა DCFTA-ის განხორციელების საშუალოვადიანი 2021-2023 წლების სამოქმედო გეგმის პროექტი. შეხვედრამდე გეგმის პროექტი გაზიარებულ იქნა ჯგუფის წევრებთან, შეხვედრის ფარგლებში კი გეგმის პრეზენტაციის შემდეგ, ჯგუფის წევრების მიერ წარმოდგენილ წინადადებებსა და შენიშვნებზე, გაიმართა კონსულტაციები. შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაციის, საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანების, ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს საბჭოს, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის, ევროპული ბიზნეს ასოციაციისა და აღმოსავლეთის პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი - საქართველოს ეროვნული პლატფორმის წარმომადგენლებმა.

1.6. პრიორიტეტული ეკონომიკური კანონმდებლობისთვის რეგულირების ზეგავლენის შეფასების RIA-ს სისტემის შექმნა

[1.6.2] „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, საქართველოს მთავრობამ RIA-ს ინსტიტუციური მექანიზმის განვითარების მიზნით, საქართველოს მთავრობის პარტნიორების - საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის, მსოფლიო ბანკის, გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოების (GIZ), მმართველობა განვითარებისათვის (G4G) და USAID-ის მხარდაჭერით, შეიმუშავა და 2020 წელს **დაამტკიცა რეგულირების ზეგავლენის შეფასების მეთოდოლოგია,** რომელიც წარმოადგენს რეგულირების ზეგავლენის შეფასების წარმართვისა და შესაბამისი ანგარიშის მომზადების ტექნიკური სახელმძღვანელოს.

მონიტორინგისა და შეფასების შედეგები

2020 წელს შესრულდა, პირველი სტრატეგიული მიმართულების შესაბამისი „შესრულების ინდიკატორები“, მათ შორის:

- ✓ *ბიზნესის დახურვის და გადახდისუუნარობის პროცედურების გაუმჯობესების მიზნით მიღებულ იქნა „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს კანონი;*
- ✓ *შექმნილია სახელმწიფოს მიერ მისაწოდებელი სერვისების ელექტრონული ფლატფორმა;*
- ✓ *ძალაში შევიდა საქართველოს კანონი „მედიაციის შესახებ“;*
- ✓ *გაფართოვდა საწარმოთა სტატისტიკური გამოკვლევის არეალი;*
- ✓ *შეთავაზებულ იქნა მეწარმეობის საჭიროებებზე მორგებული სერვისები;*
- ✓ *ჩატარდა შეხვედრები მცირე და საშუალო საწარმოთა მხარდამჭერ ინსტიტუტებს შორის თანამშრომლობის გაღრმავების მიზნით;*
- ✓ *დამტკიცდა რეგულირების ზეგავლენის შეფასების მეთოდოლოგია.*

პირველი სტრატეგიული მიმართულების შესრულების შეფასება

პირველი სტრატეგიული მიმართულების ფარგლებში განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელების შედეგად, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ინსტიტუციური, სამართლებრივი და სამეწარმეო ბიზნეს გარემო.

❖ საინვესტიციო გარემო და ინვესტიციები

ხელსაყრელი სამეწარმეო და საინვესტიციო გარემოს ფორმირება, მცირე და საშუალო საწარმოების განვითარება და შედეგად, სამუშაო ადგილების შექმნა ქვეყნის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია.

ქვეყნებისთვის, განსაკუთრებით განვითარებადი ქვეყნებისთვის, რომლებიც საკუთარი კაპიტალის სიმწირით გამოირჩევიან, უმნიშვნელოვანესია ინვესტიციების მოზიდვა. ინვესტიციები გავლენას ახდენს ეკონომიკის ზრდის ტემპზე, ტექნოლოგიური პროგრესის ზრდაზე, ქვეყნის ინფრასტრუქტურის განვითარებაზე, შრომითი რესურსების ეფექტიანად გამოყენებასა და სხვა ფაქტორებზე. თავის მხრივ, ინვესტიციების დადებით ეფექტს ქმნის არა მხოლოდ იმ სექტორში, სადაც იდება ინვესტიციები, არამედ მომიჯნავე დარგებზე. აღნიშული განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მცირე და საშუალო საწარმოებისთვის, სადაც ინვესტიციები ხელს უწყობს მწარმოებლურობას, საწარმოთა პროდუქტიულობას და შედეგად, ქვეყნის ინკლუზიურ ზრდას.

2019 წელს, საქართველოში პირდაპირი უცხოური ინვესტიციები მშპ-თან მიმართებით ერთ-ერთი ყველაზე მაღალია რეგიონის და ევროპის ქვეყნებს შორის და 7.5 პროცენტს შეადგენს. 2016 წელს აღნიშნული მაჩვენებელი 10.9 პროცენტს შეადგენდა. რეგიონის ქვეყნების (სომხეთი, აზერბაიჯანი, რუსეთი, თურქეთი, უკრაინა და ბელარუსი) პირდაპირი უცხოური ინვესტიციების საშუალო მაჩვენებელი მშპ-თან მიმართებით 3.0 პროცენტია.

2019 წელს, საქართველოში პირდაპირმა უცხოურმა ინვესტიციებმა 1,310.7 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა. ინვესტიციების ყველაზე მაღალი წილი საფინანსო სექტორზე (20.8%) მოდის, ენერგეტიკის სექტორში განხორციელებულმა ინვესტიციებმა მთლიანი ინვესტიციების 20% შედგინა, ხოლო ტრანსპორტის და კავშირგაბმულობის სექტორზე 9.7% მოდის.

2019 წელს, **მცირე და საშუალო ზომის საწარმოებში განხორციელებული პირდაპირი უცხოური ინვესტიციების** მოცულობამ 488.4 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 6.6%-ით აღემატება წინა წლის მაჩვენებელს. 2019 წელს პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წილმა მთლიან ინვესტიციებში 37.3% შეადგინა, რაც 2.2 პროცენტული პუნქტით აღემატება 2018 წლის მაჩვენებელს. აღნიშნულ პერიოდში პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წილი 35.1%-ს შეადგენდა.

❖ ინსტიტუციური გარემო

მსოფლიო ბანკის „მსოფლიო მმართველობის ინდიკატორები“ მსოფლიოს 214 ქვეყანას მმართველობის 6 მიმართულებით აფასებს, როგორიცაა მმართველობის ეფექტიანობა; რეგულაციების ხარისხი; გამოხატვის უფლება და ანგარიშვალდებულება; პოლიტიკური სტაბილურობა და ძალადობასთან ბრძოლა; კანონის უზენაესობა და კორუფციის კონტროლი.

2019 წელს 2012 წელთან შედარებით, საქართველოს სარეიტინგო ქულა ყველა ინდიკატორში გაუმჯობესდა. 2019 წელს „მმართველობის ინდიკატორში“ საქართველოს ქულამ ისტორიულ მაქსიმუმს მიაღწია და ქვეყანამ 76.92 ქულით 49-ე პოზიცია დაიკავა. ბოლო 8 წლის განმავლობაში აღნიშნულ ინდიკატორში გაუმჯობესდა როგორც ქვეყნის ქულა, ასევე სარეიტინგო მდგომარეობა.

მმართველობის ეფექტიანობა ეფუძნება შეფასებებს საჯარო და სამოქალაქო სერვისების და მათი პოლიტიკური წნეხისგან დამოუკიდებლობის ხარისხთან დაკავშირებით. ასევე, პოლიტიკის შემუშავების, განხორციელების და ასეთი პოლიტიკის წარმოების მიმართულებით მთავრობის საიმედოობის ხარისხს.

„მმართველობის ეფექტიანობის“ ინდიკატორი აანალიზებს და აფასებს ისეთ მიმართულებებს, როგორიცაა ბიუროკრატიის ხარისხი, ინფრასტრუქტურის ხარისხი, განათლების ხარისხი, საჯარო მმართველობის ეფექტიანობა, აქტივების გამოყენების ეფექტიანობა, სამოქალაქო სერვისების ინტეგრირება, საჯარო მმართველობა, ხელსაყრელი ბიზნეს გარემო, ნდობა მთავრობის მიმართ და სხვა.

„რეგულაციების ხარისხის“ ინდიკატორში საქართველომ შეფასების რანგირების 100%-იანი შკალიდან 82.69% დაიმსახურა და 2019 წელს მსოფლიოში 37-ე ადგილი დაიკავა. აღსანიშნავია, რომ 2012 წელთან შედარებით, საქართველოს პოზიცია აღნიშნულ ინდიკატორში 18 ადგილით გაუმჯობესდა.

„რეგულაციის ხარისხის“ ინდიკატორი აერთიანებს შეფასებებს მთავრობის მიერ კერძო სექტორის განვითარების მასტიმულირებელი პოლიტიკის და ასევე, რეგულაციების შემუშავების და განხორციელების კუთხით. ინდიკატორი აანალიზებს და აფასებს, მათ შორის, ისეთ მიმართულებებს, როგორიცაა, მთავრობის რეგულაციების ტვირთი, გადასახადების ეფექტი, ბიზნესის დაწყების პროცედურები, საინვესტიციო და ფინანსური თავისუფლება, ქვეყნის საინვესტიციო პროფილი და სხვა.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის „გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი“ ზომავს ქვეყნებში მაკროეკონომიკური გარემოს ხარისხს, ქვეყნის საჯარო **ინსტიტუტების** მდგომარეობას და ტექნოლოგიური მზაობის დონეს. ინდექსი ახდენს იმ ფაქტორების ანალიზს, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქვეყანაში ბიზნეს-გარემოს შექმნისათვის და მნიშვნელოვანია მწარმოებლურობისა და კონკურენტუნარიანობის

თვალსაზრისით. ინდექსი განიხილავს ქვეყნის ძლიერ და სუსტ მხარეებს, ახდენს პრიორიტეტების იდენტიფიცირებას ინსტიტუციური რეფორმების განხორციელების ხელშეწყობისათვის.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის „გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსში“ 2019 წელს საქართველოს სარეიტინგო ქულამ 60,6 შეადგინა, რაც 2017 წლის მაჩვენებელს 0,8 ქულით აღემატება. საქართველოს ქულები გაუმჯობესდა ისეთი მიმართულებებით, როგორიცაა ინსტიტუტები, ინფრასტრუქტურა, ICT მიღების მზაობა, უნარები, ფინანსური სისტემა, ბაზრის მოცულობა, ბიზნესის დინამიურობა და ინოვაციური უნარ-ჩვევები.

❖ გადახდისუუნარობა

მსოფლიო ბანკის „ბიზნესის კეთების“ რეიტინგის ერთ-ერთი ინდიკატორია **გადახდისუუნარობა**, რომელიც მსოფლიოს 190 ქვეყანას აფასებს საწარმოს გადახდისუუნარობის ან რეაბილიტაციის პროცესის დასრულებისთვის საჭირო დროის, დანახარჯისა და გადახდისუუნარობის საქმისწარმოების შედეგის მიხედვით, ასევე, გადახდისუუნარობის სისტემის ეფექტიანობის თვალსაზრისით.

2019 წელს მომზადდა „რეაბილიტაციისა და კრედიტორთა კოლექტიური დაკმაყოფილების შესახებ“ საქართველოს ახალი კანონის პროექტი, რომელშიც გათვალისწინებულია დღეს მსოფლიო პრაქტიკაში არსებული საუკეთესო პრინციპები. 2020 წელს მიღებულ იქნა კანონი, შესაბამისად მისი აღსრულება მნიშვნელოვნად გაუმჯობესებს საქართველოში ბიზნესის რეაბილიტაციის ან დახურვის პროცესებს.

თავის მხრივ, აღსანიშნავია 2017 წლის მაისში „გადახდისუუნარობის საქმის წარმოების შესახებ“ საქართველოს კანონში **განხორციელებული ცვლილებები**. ამ რეფორმის შედეგად კიდევ უფრო გაძლიერდა როგორც მოვალის, ასევე კრედიტორ(ებ)ის უფლებები. კერძოდ, ცვლილებების თანხმად, მოვალე უფლებამოსილია განცხადებით მოითხოვოს როგორც რეაბილიტაცია, ისე - გაკოტრება; ნებისმიერ კრედიტორს შეუძლია განცხადების შეტანა მოვალის გადახდისუუნარობის თაობაზე; გადახდისუუნარობის საქმის წარმოების პროცესში გრძელდება მოვალის საქმიანობის უწყვეტობისათვის არსებითი საქონლის/მომსახურების მიწოდება; კრედიტორისთვის ზიანის მომტანად ითვლება მოვალის მიერ ისეთი გარიგების დადება ან სხვა ისეთი ქმედების განხორციელება, რომელსაც შედეგად მოჰყვა სამეურვეო ქონების გაუფასურება (მათ შორის სამეურვეო ქონების ან მისი ნაწილის გაჩუქება, ან საბაზრო ღირებულებაზე მნიშვნელოვნად დაბალ ფასად გასხვისება, ვალის პატიება და სხვა); კრედიტორის მოთხოვნების აღიარების ან უარყოფის შესახებ სასამართლოს მიერ მიღებული განჩინების გასაჩივრების უფლება აქვს როგორც იმ კრედიტორს, რომლის წინააღმდეგაც არის გამოტანილი განჩინება, ასევე, ნებისმიერ სხვა კრედიტორსაც.

აღნიშნული საკანონმდებლო ცვლილები და მისი პრაქტიკაში დანერგვა დადებითად აისახა მსოფლიო ბანკის „ბიზნესის კეთების“ რეიტინგში საქართველოს შეფასებაზე. კერძოდ, მაშინ როდესაც 2017 წელს საქართველოს სარეიტინგო ქულა საუკეთესო მაჩვენებელიდან დაშორებით (DTF) მხოლოდ **40.02-ს შეადგენდა.** საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად, 2018 წელს საქართველოს ქულა (DTF) მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა და 55.59 ქულას გაუტოლდა. 2019 და 2020 წლების რეიტინგის კვლევაში ქვეყნის სარეიტინგო ქულები კიდევ უფრო გაუმჯობესდა და შესაბამისად, **56.03** და **56.20 ქულა შეადგინა**.

1. საქართველოს ქულა „ბიზნესის კეთების“ რეიტინგის გადახდისუუნარობის ინდიკატორში



❖ მედიაცია

ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაფორმებული ასოცირების შეთანხმება საქართველოს ავალდებულებს განავითაროს დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებები, განსაკუთრებით კი, მედიაცია და არბიტრაჟი და შექმნას მათი გამოყენებისთვის ხელსაყრელი პირობები. **„მედიაციის შესახებ“** კანონის მიღებამ, ერთის მხრივ, უზრუნველყო საერთაშორისო ვალდებულებების დაკმაყოფილება, ხოლო მეორეს მხრივ, დავის გადაწყვეტის ალტერნატიული საშუალებების შემოღება ხელს უწყობს სამოქალაქო დავების სიმრავლის გადატვირთული სასამართლოების განტვირთვას და საქმეების კანონმდებლობით დადგენილ ვადაში დასრულებას.

2020 წელს თბილისის, რუსთავის და მცხეთის სასამართლოების მიერ სასამართლო მედიაციას სულ გადაეცა 140 საქმე, მათ შორის საბანკო, მიკროსაფინანსო და არასაბანკო სადეპოზიტო ტიპის დავები, შრომითი სამართლებრივი დავები, სამემკვიდრეო, სამეზობლო და ბიზნეს დავები. საერთო ჯამში, 2020 წელს, არსებულმა მორიგების მაჩვენებელმა 64% შეადგინა.

2020 წლის პერიოდში დასრულებული ყველა სასამართლო მედიაცია დასრულდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 187^5-ე მუხლით გათვალისწინებულ 45 დღიან ვადაში.

2. ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება

2.1. ფინანსური განათლების გაუმჯობესება

[2.1.2] საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, „ევროპული ფონდის სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისათვის“ განვითარების პროგრამის (EFSE/DF) მხარდაჭერითა და ექსპორტის განვითარების ასოციაციის (EDA) ჩართულობით 2018 წელს შეიმუშავა **მიკრო და მცირე მეწარმეების ფინანსური განათლების პროგრამა. პროგრამის** ფარგლებში, 2020 წელს ასევე, შეიქმნა ონლაინ ტრენინგ-მოდული და ჩატარდა 2 ონლაინ ტრენინგი, რომელსაც 50-მდე მონაწილე დაესწრო, ხოლო ტრენინგების ჩანაწერი და მასალები დაეგზავნა დარეგისტრირებულ 250 მსურველს.

აგრომეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით, საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ფინანსური **განათლების ახალი პროგრამა განავითარა.** სპეციალურად ფერმერებისთვის შემუშავდა ფინანსური განათლების ტრენინგ-მოდული და პრაქტიკული სახელმძღვანელო - „მიიღეთ უკეთესი ფინანსური გადაწყვეტილებები“. პროექტი „ევროპული ფონდის სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპისათვის“ განვითარების პროგრამასთან (EFSE/DF) თანამშრომლობითა და „სამოქალაქო განვითარების სააგენტოს“ (CIDA) ჩართულობით განხორციელდა. პროგრამის ფარგლებში CIDA-ს ექსპერტებმა აგრობიზნესის სფეროს კონსულტანტებისა და ტრენერებისთვის ფინანსური ცნობიერების ასამაღლებელი საპილოტე ტრენერთა ტრენინგი (ToT) გამართეს, ასევე ჩატარდა საპილოტე ტრენინგი უშუალოდ აგრო სფეროში მოღვაწე მეწარმეებისთვის. პროგრამის ფარგლებში შეიქმნა საგანმანათლებლო ვიდეორგოლი ფერმერებისთვის.

საქართველოს ეროვნული ბანკის და ორგანიზაცია „შემნახველი ბანკების ფონდი საერთაშორისო თანამშრომლობისთვის“ (SBFIC) მხარდაჭერით ქართულ ენაზე ადაპტირდა მიკრო და აგრო მეწარმეებისთვის **სიმულაციური თამაშები „ბიზნეს სიმულაცია მიკრო მეწარმეებისთვის“ და „ფერმერების თამაში“,** რომლის ფარგლებშიც ჩატარდა ტრენერთა ტრენინგი (ToT).

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა, ფინანსური განათლების ეროვნული სტრატეგიის ფარგლებში, **ახალი ფინანსური საგანმანათლებლო პლატფორმა - FinEdu.gov.ge შექმნა.** FinEdu.gov.ge-ზე განთავსებულია ფინანსური განათლების თემაზე არსებული ინფორმაცია, მათ შორის, სასარგებლო რჩევები, კალკულატორები, პუბლიკაციები, ბროშურები, თემატური სახელმძღვანელოები და ბლოგი.

2.2. მცირე და საშუალო საწარმოთა ხელშეწყობა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS for SME) დანერგვაში

„ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად საქართველოში დაინერგა ბუღალტრული აღრიცხვის წარმოების, ფინანსური ანგარიშგების, მმართველობის ანგარიშგების და სახელმწიფოს მიმართ განხორციელებული გადახდების შესახებ ანგარიშგების მომზადების და წარდგენის სტანდარტები.

ბუღალტრული აღრიცხვისა და ფინანსური ანგარიშგების სტანდარტები მოიცავს, მათ შორის, მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტს (IFRS for SMEs). მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (IFRS for SMEs) არის მეორე და მესამე კატეგორიების საწარმოებისთვის.

[2.2.5] მსს ფასს სტანდარტის ტრენინგის პროგრამა, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურის ინიციატივით, 2018 წლიდან მიმდინარეობს. მისი მიზანი მცირე და საშუალო ბიზნესის სეგმენტში მომუშავე ბუღალტრების, ფინანსისტების და სხვა დაინტერესებული პირების კვალიფიკაციის ამაღლებაა.

ტრენინგები ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) პროექტის - „მმართველობა განვითარებისათვის“ (G4G) და მსოფლიო ბანკის დაფინანსებით გადამზადებული ტრენერების მეშვეობით, ფასს ფონდთან სალიცენზიო შეთანხმების საფუძველზე შემუშავებული სატრენინგო მასალის გამოყენებით ტარდება. პროგრამის ფარგლებში, საერთო ჯამში 1400-მდე პირი გადამზადდა. პროექტის წარმატებით განხორციელებას ხელი შეუწყო დონორების, მსოფლიო ბანკის, ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის დაფინანსებამ და აგრეთვე, პროფესიული ორგანიზაციების და ბიზნეს-ასოციაციების ჩართულობამ. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული აქტივობა 2021 წელშიც გრძელდება და დონორები ტრადიციულად განაგრძობენ პროექტის მხარდაჭერას.

2.3. მცირე და საშუალო მეწარმეთა ცოდნის ამაღლება ფინანსების მოზიდვის (fund raising) საკითხებში

[2.3.1] საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს და ევროკავშირის ორგანიზებით, სტარტაპებისთვის ჩატარდა **ტრენინგები ფონდების მოძიების თემატიკაზე Investment Readiness-ის პროგრამის ფარგლებში.**

2.4. მცირე და საშუალო მეწარმეობის და დამწყები ბიზნესის (startup) დაფინანსებაზე ორიენტირებული კერძო საინვესტიციო და ვენჩურული კაპიტალის ფონდების მოზიდვა

[2.4.1] **ქართული სტარტაპების უცხოური სარისკო კაპიტალის ინვესტორებთან (angel and venture investors) და მენტორებთან დაკავშირების (pitching სესიებისა და B2B შეხვედრების ორგანიზება) ხელშეწყობის** მიზნით Economic Security Program-ის მიერ თანადაფინანსების გრანტების პროგრამის ბენეფიციარებისთვის შეიქმნა Market Acceleration Program-ის დამატებითი ფინანსებზე წვდომის მექანიზმი. Impact Hub Tbilisi-მა საქართველოში ნიდერლანდების საელჩოსთან ერთად შეიმუშავა პროგრამა და შეარჩია 6 სტარტაპი Startup Fellowship "Orange"-ის ფარგლებში. პროგრამა უზრუნველყოფს შერჩეული სტარტაპისთვის 4-თვიან ჰაბისსაწევროს (სამუშაო სივრცით 24/7 სარგებლობა, ინდივიდუალური კონსულტაციები და სხვადასხვა ინდუსტრიის პროფესიონალებთან კონტაქტების დამყარება/გამოცდილების გაზიარება); საერთაშორისო აუდიტორული კომპანია ,,ნექსია თიეი“-მ შეიმუშავა ასევე, განსაკუთრებული ტარიფი და რიგ შემთხვევაში უფასო საკონსულტაციო შეთავაზება საგადასახადო და ფინანსურ საკითხებზე თანადაფინანსების გრანტების ბენეფიციართათვის; ასევე, Ernst and Young-მა შექმნა უნარების პროგრამა „სტარტაპების ბიზნეს მოდელზე მორგებული სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავება და ტრენინგები მეწარმეთათვის“.

[2.4.2] საინვესტიციო ფონდების ახალი სამართლებრივი ჩარჩოს ჩამოყალიბება კაპიტალის ბაზრის განვითარების კუთხით მნიშვნელოვან როლს თამაშობს, რაც თავის მხრივ, ხელს უწყობს **მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებას და დაფინანსების მოზიდვის მოქნილი მექანიზმების დანერგვასა და აღსრულებას.** გამომდინარე იქიდან, რომ ბიზნესისათვის დაფინანსების ძირითად წყაროს წარმოადგენდა საბანკო სესხი, რომელიც რიგ შემთხვევებში შეიძლება არც კი ყოფილიყო ხელმისაწვდომი, ბაზარზე საინვესტიციო ფონდების გაჩენის შემდგომ მეწარმეებს აღნიშნული ფონდებიდან დაფინანსების მოზიდვის შესაძლებლობა ექნებათ. აღნიშნულის მნიშვნელობა კაპიტალის ბაზრის განვითარების კუთხით კიდევ უფრო თვალსაჩინო ხდება კერძო კაპიტალის და სარისკო/ვენჩერული კაპიტალის ტიპის ფონდების საჭიროებით, რომლებიც დაფინანსებაზე იქნებიან ორიენტირებულები და აღნიშნული ტიპის ალტერნატიულ კაპიტალზე წვდომას უზრუნველყოფენ. კანონის ამოქმედებით ამგვარი ტიპის საინვესტიციო ფონდები შეძლებენ საქართველოში დაფუძნებას, სრულყოფილ საინვესტიციო საქმიანობასა და პოლიტიკის განხორციელებას. ასეთი საინვესტიციო სტრატეგიისათვის ერთ-ერთი ყველაზე ხელსაყრელი ტიპი იქნება რეგისტრირებული საინვესტიციო ფონდი, რომლის ერთეულის შეძენა ძირითადად გათვითცნობიერებულ ინვესტორებს შეეძლებათ კერძო შეთავაზების საფუძველზე. ეს კი ამ ფონდებს უფრო მრავალფეროვანი საინვესტიციო პოლიტიკის განხორციელების საშუალებას მისცემს, მათ შორის უფრო რისკიან აქტივებში დაბანდების საშუალებასაც.

[2.4.3] **"საინვესტიციო ფონდების შესახებ" ახალი კანონი, რომელიც საერთაშორისოდ მოქმედ ძირითად პრინციპებსა და საერთაშორისოდ დამკვიდრებულ საუკეთესო პრაქტიკას ეფუძნება, საქართველოს პარლამენტის მიერ მიმდინარე წლის 14 ივლისს იქნა მიღებული.** მისი მომზადებისას გათვალისწინებულ იქნა როგორც UCITS-ის (ევროპარლამენტისა და საბჭოს 2009 წლის 13 ივლისის 2009/65/EC დირექტივა), ასევე, ევროკავშირში მოქმედი ალტერნატიული საინვესტიციო ფონდების აქტივების მმართველი კომპანიების შესახებ დირექტივის (AIFMD) მოთხოვნები. „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედების პარალელურად მნიშვნელოვანი ცვლილებები ამოქმედდა საგადასახადო კოდექსშიც, კერძოდ, განისაზღვრა საინვესტიციო ფონდების საქმიანობის დაბეგვრის რეჟიმი, რომელიც მსოფლიოში დამკვიდრებულ საუკეთესო პრაქტიკას ეფუძნება.

„საინვესტიციო ფონდების შესახებ“ კანონპროექტთან დაკავშირებით საჯარო და კერძო დიალოგის (PPD) ფორმატში მონაწილეობა მიიღეს ბაზრის მონაწილეებმა, სამუშაო ჯგუფისა და პარლამენტის წევრებმა. პირველი შეხვედრა მიზნად ისახავდა „საინვესტიციო ფონდების შესახებ“ კანონპროექტის ძირითადი დებულებებისა და პრინციპების გაცნობას ფართო აუდიტორიისათვის, მეორე შეხვედრის მიზანი იყო შუალედური პერიოდის განმავლობაში ბაზრის მონაწილეებთან დამატებითი შეხვედრების შედეგად დაგროვილი ყველა შენიშვნისა და კომენტარის გათვალისწინებით რედაქტირებული კანონპროექტის მათთვის გაცნობა. შეხვედრებს ესწრებოდნენ როგორც მსხვილი ინვესტორები თანაინვესტირების ფონდის სახით, ასევე, სარისკო/ვენჩერული კაპიტალის ინვესტორებიც - ალიანს გრუპის სახით.

კანონის პროექტი პარლამენტში დარეგისტრირდა 2020 წლის იანვარში, თუმცა პანდემიით გამოწვეული შეზღუდვებისა და საგანგებო მდგომარეობის გამოცხადების გამო მისი რიგით მესამე და მეოთხე PPD გაზაფხულზე და ზაფხულში ონლაინ რეჟიმში ჩატარდა. აღნიშნული შეხვედრების ფარგლებში მოხდა კანონპროექტიდან გამომდინარე რიგი პრობლემური საკითხების განხილვა, აღნიშნული საკითების ირგვლივ შეხედულებების გაცვლა და მათი გადაწყვეტა. ბოლო PPD-ის ფარგლებში მოხდა კერძო სექტორის მიერ პარლამენტის წამყვანი კომიტეტისა და პროექტის ავტორებისათვის კანონპროექტის საბოლოო რედაქციასთან დაკავშირებით არსებული შენიშვნების გაცნობა. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ და საქართველოს ეროვნულმა ბანკმა ყველა გამოხატული პოზიცია თუ შენიშვნა განიხილეს და გარკვეული არგუმენტაციის საფუძველზე მოახდინეს მათი ნაწილის გათვალისწინება.

კანონის პროექტი მნიშვნელოვნად დაიხვეწა საჯარო-კერძო დიალოგის განხილვების პროცესში გამოთქმული მოსაზრებებისა და შენიშვნების შესაბამისად. ამასთან, კანონპროექტთან მიმართებით, ასევე, მომზადდა გამომდინარე კანონის პროექტები და ევროკავშირის დირექტივებთან შესაბამისობის ცხრილი. პროექტის პარლამენტში რეგისტრაციამდე მნიშვნელოვანი მოსაზრებები გამოხატეს მსოფლიო ბანკმა, საბანკო

ასოციაციამ, ბიზნეს ომბუდსმენის აპარატმა, საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ და ბაზრის სხვა მონაწილეებმა. აღსანიშნავია, რომ კანონპროექტის პარლამენტში წარდგენის ეტაპზე პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის, იურიდიულ საკითხთა და დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტების მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციები და შენიშვნების უდიდესი ნაწილი გათვალისწინებულ იქნა, აღნიშნული რეკომენდაციების გათვალისწინებამ კი უზრუნველყო კანონპროექტის დახვეწა და სრულყოფა. აღსანიშნავია, რომ საინვესტიციო ფონდების საქმიანობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით იგეგმება სხვადასხვა ღონისძიებების გატარება, რომელთაგან უმნიშვნელოვანესია ცნობიერების ამაღლება საინვესტიციო ფონდების ირგვლივ როგორც **მცირე და საშუალო მეწარმეობის** დაწყების მსურველთათვის, ისე ნებისმიერი დაინტერესებული პირისათვის.

კაპიტალის ბაზრის განვითარების მიზნით 2020 წლის 29 ივნისს მიღებულ იქნა ცვლილებები "ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ" საქართველოს კანონში. მიღებული ცვლილებების ფარგლებში ფასიანი ქაღალდების მარეგულირებელი ჩარჩო მნიშვნელოვნად განახლდა და ასევე, დაიხვეწა საჯარო ფასიანი ქაღალდების ემიტენტების გამჭვირვალობის ჩარჩო, კერძოდ განისაზღვრა მნიშვნელოვანი მოთხოვნები მათ მიერ პერიოდული ფინანსური ინფორმაციის, ემიტენტების მნიშვნელოვანი წილის შეძენისა და ინსაიდერული ინფორმაციის წარდგენასა და გამოქვეყნებასთან დაკავშირებით. კანონით განიმარტა ინსაიდერული ინფორმაციის არსი და აიკრძალა ქმედებები, რომლებიც ინსაიდერული ინფორმაციის არამართლზომიერ გამჟღავნებად, ინსაიდერულ ვაჭრობად ან ბაზრის მანიპულაციად ჩაითვლება. კანონში განხორციელებული ცვლილებით გამარტივდა საჯარო ემისიის პროსპექტის დამტკიცების წესებიც. ასევე, განხორციელდა ცვლილებები პრივატიზებულ საწარმოებთან დაკავშირებით, რომლის ფარგლებშიც ასეთი საწარმო აღარ მიიჩნევა ანგარიშვალდებულ საწარმოდ და შესაბამისად, თავისუფლდება რიგი მოთხოვნებისაგან. ზემოაღნიშნული ცვლილებები ემსახურება ინვესტორთა ინტერესების დაცულობასა და გამჭვირვალობის სტანდარტების დამკვიდრებას, რაც კაპიტალის ბაზრის განვითარების უმთავრესი წინაპირობებია. აღნიშნული ცვლილებების შედეგად გაიზრდება კაპიტალის ბაზრის მიმართ ნდობა, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ინვესტორებისა და მეწარმეების დაკავშირებას. აღნიშნული **რეფორმა მცირე და საშუალო მეწარმეების განვითარებაზე იქონიებს გრძელვადიან შედეგს.** კერძოდ, რეფორმა ემსახურება ჯანსაღი კონკურენციის, გამჭვირვალე სტანდარტების, დივერსიფიცირებულ ფინანსებზე წვდომასა და ჯანსაღი კაპიტალიზაციის ხელშეწყობას. რაც უფრო განვითარდება კაპიტალის ბაზარი, მით უფრო მრავალმხრივი და დივერსიფიცირებული ფინანსური ინსტრუმენტები გაჩნდება ბაზარზე და მით უფრო მრავალფეროვანი გახდება ინვესტორთა რისკისა და მომგებიანობის აპეტიტი, რომელიც მცირე და საშუალო მეწარმეების, შედარებით უფრო რისკიანი პროფილით დაინტერესებასაც გამოიწვევს.

აგრეთვე, თავად მეწარმეებს გაუჩნდებათ სამიზნე სწრაფვა, საკუთარი ბიზნესის გაზრდის, გაყიდვის, შერწყმისა თუ სხვა შესაძლებლობების მიმართ.

აღსანიშნავია, რომ **ADB-ს მხარდაჭერით 2020 წელს დაიწყო კაპიტალის ბაზრის განვითარების ახალ სტრატეგიაზე მუშაობა**, **რომლის ერთ-ერთი კომპონენტი დამწყები ბიზნესისა და მცირე და საშუალო მეწარმეობის დაფინანსების გზების დახვეწა და სრულყოფა არის.** განვითარებული კაპიტალის ბაზარი თანამედროვე და მოქნილი დაფინანსების ქვაკუთხედს წარმოადგენს. იგი უზრუნველყოფს ფინანსებზე ხელმისაწვდომობას კომპანიის არსებობის ნებისმიერ ეტაპზე. იმისათვის, რომ ინვესტორთა მეშვეობით უზრუნველყოფილ იქნას გამარტივებულ და ალტერნატიულ ფინანსებზე ხელმისაწვდომობა, აუცილებელია არსებობდეს მექანიზმი, რომელიც პირველ რიგში შეძლებს მეწარმეთა და ინვესტორთა მოძიებას, მათ დაკავშირებას და ნდობისა და ურთიერთობის ჩამოყალიბებას საერთაშორისო საუკეთესო პრაქტიკაზე დაფუძნებით. აღნიშნული შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა პლატფორმების საშუალებით (მაგ: სახალხო დაფინანსების ე.წ. crowdfunding ან პირინგული გასესხების ე.წ. peer-to-peer lending პლატფორმებით), ფასიანი ქაღალდების სარეგისტრაციო გამონაკლისების დაშვებით, ასევე მეწარმესა და ინვესტორს შორის გამარტივებული ხელშეკრულებების ნიმუშების შედგენით/სტანდარტიზაციითა და ფინანსური ტექნოლოგიების (FinTech) დანერგვით.

კაპიტალის ბაზრის განვითარების სტრატეგიის ფარგლებში დაიგეგმა სამუშაო ჯგუფის შეხვედრები ექსპერტების ჩართულობით, აღნიშნული შეხვედრების ერთ-ერთი მთავარი მიზანი კი იქნება ფინანსებზე ხელმისაწვდომობის ირგვლივ არსებული პრობლემების შეფასება და მათი გადაჭრის გზების იდენტიფიცირება და მხარდაჭერა.

ამასთან, პერიოდულად ტარდება სხვადასხვა ღონისძიება აღნიშნული საკითხების ირგვლივ ცნობიერების ამაღლების მიზნით, კერძოდ, **2020 წლის ოქტომბერში ეროვნული ბანკისა და მსოფლიო ბანკის ორგანიზებით ჩატარდა ვებინარი კერძო კაპიტალის ფონდების მეშვეობით ფინანსების მოზიდვასა და დაფინანსების ალტერნატიულ გზებთან დაკავშირებით**. კაპიტალის ბაზრის განვითარების სტრატეგიის შემუშავების მიზანს წარმოადგენს განვითარებული კაპიტალის ბაზრის შექმნა და შესაბამისად, მცირე და საშუალო ბიზნესის ხელშეწყობა, დაფინანსების გზების თანამედროვე/ალტერნატიული მექანიზმების დანერგვა (იქნება ეს კერძო/ვენჩურული კაპიტალის ფონდების მოზიდვის ხელშეწყობა, სექიურითიზაციის მექანიზმის დანერგვა, Crowdfunding-ისა და სტარტაპების განვითარება თუ სხვა მექანიზმები).

რეფორმის ფარგლებში აგრეთვე იგეგმება საკოორდინაციო მექანიზმის დანერგვა, რომელიც უზრუნველყოფს კერძო სექტორის მაქსიმალურ ჩართულობას და აგრეთვე რეფორმის კვალდაკვალ სპეციფიური ცოდნისა და ცნობიერების ასამაღლებელ პროგრამებს. საბოლოო ჯამში, კაპიტალის ბაზრის განვითარების ახალი სტრატეგიის კვალდაკვალ მოხდება აღნიშნული კონკრეტული ღონისძიებების გატარება, რომლებიც

კაპიტალზე წვდომას გაუჩენს მეწარმეებს (მათ შორის, მცირე და საშუალო მეწარმეები) და აგრეთვე მოახდენს მოქნილი მექანიზმების დანერგვას, რომლებიც მათ დააკავშირებს განსხვავებული რისკისა და მომგებიანობის მაძიებელ ინვესტორებთან. გრძელვადიან შედეგად კი მივიღებთ ეკონომიკაში კაპიტალის უფრო ეფექტურ ალოკაციას.

2.5. მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერა კომერციული ბანკებიდან და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებიდან დაფინანსების ზრდისთვის

პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ **ინდუსტრიული ნაწილის ფარგლებში** სესხის და ლიზინგის პროცენტის თანადაფინანსების ვადა გაიზარდა 36 თვემდე, სესხის მინიმალური მოცულობა და ლიზინგის საგნის მინიმალური ღირებულება შემცირდა 50,000 ლარამდე, მაქსიმალური კი გაიზარდა 10 მილიონ ლარამდე. სულ განახლებული დადგენილების ფარგლებში გაფორმდა 286 ხელშეკრულება, აქედან 155 არის ახალი სესხი, ხოლო 131 - რესტრუქტურიზებული/რეფინანსირებულია. გარდამავალი პირობების ფარგლებში გაფორმდა 1 ხელშეკრულება. სულ პროგრამის ფარგლებში 2020 წელს გადაირიცხა 25 მილიონი ლარი. ახალი პროექტების ჯამური ინვესტიცია შეადგენს 350 მილიონ ლარს.

პროგრამის ფარგლებში ტექნიკური დახმარების სახით შვიდ ბენეფიციარზე გაიცა 52.8 ათასი ლარი.

საკრედიტო-საგარანტიო სქემის მიზანია იმ მცირე და საშუალო ბიზნესების დახმარება, რომელთაც არ აქვთ შესაძლებლობა დააკმაყოფილონ სესხის უზრუნველყოფაზე არსებული მოთხოვნები. პროგრამაში ცვლილებების შეტანის შემდეგ, საანგარიშო პერიოდში გაფორმდა 174 ხელშეკრულება (მათ შორის, ახალი სესხი - 154, რესტრუქტურიზაცია/რეფინანსირება - 20). სქემის ფარგლებში დამტკიცებული სესხის მოცულობა 148.5 მლნ. ლარია, აქედან 121.8 მლნ. ლარი არის სააგენტოს მიერ გარანტირებული თანხა.

სოფლის მეურნეობის მიმართულებით მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერის, სახელმწიფოს მიერ მცირე და საშუალო ბიზნესის წამოწყების ან განვითარების თანადაფინანსების (სუბსიდირების) ფარგლებში აღსანიშნავია **ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტოს პროექტები,** მათ შორის, როგორიცაა შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტი, ახალგაზრდა მეწარმეების განვითარების პროგრამა, პროგრამა „დანერგე მომავალი“, შემნახველი და გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი, ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის პროგრამა და აგროდაზღვევის პროგრამა.

- ✓ **შეღავათიანი აგროკრედიტის** პროექტის მიზანია სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამამუშავებელი და შენახვა-რეალიზაციის საწარმოო პროცესებისათვის

ხელშეწყობა ფიზიკური და იურიდიული პირების იაფი და ხელმისაწვდომი ფულადი სახსრებით უზრუნველყოფის გზით. პროექტის ფარგლებში სოფლის მეურნეობის პირველადი წარმოების, გადამამუშავებელი და შენახვა-რეალიზაციის მიმართულების საწარმოებს შესაძლებლობა აქვთ მიიღონ საფინანსო ინსტიტუტებისგან შეღავათიანი აგროკრედიტი/აგროლიზინგი ძირითადი და საბრუნავი საშუალებებისთვის. **შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში გაიცა 7,152 სესხი.** ბიუჯეტის ათვისებამ წლის განმავლობაში შეადგინა 74,762,500 ლარი[6].

✓ **ახალგაზრდა მეწარმეების განვითარების პროგრამის მიზანია** სოფლად ახალგაზრდა მეწარმეების განვითარების და ბიზნესში ჩართულობის ხელშეწყობა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება-რეალიზაციის ჯაჭვში ინვესტიციების განხორციელება. ახალგაზრდა მეწარმეების განვითარების პროგრამის ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში, დაფინანსდა 39 ახალგაზრდა მეწარმე. ბიუჯეტის ათვისებამ შეადგინა 2,020,511 ლარი.

✓ **პროგრამა „დანერგე მომავალი“** ითვალისწინებს მრავალწლოვანი კენკროვანი კულტურის ბაღის გასაშენებლად ბენეფიციარებისათვის მიზნობრივი ფულადი დახმარების გამოყოფას დაფინანსების სახით, კერძოდ, მრავალწლოვანი კენკროვანი კულტურების ნერგების, წვეთოვანი სარწყავი სისტემის მოწყობის ან/და ბაღის გაშენებისათვის საჭირო მასალების შეძენის მიზნით. **პროგრამა „დანერგე მომავლის“** ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 1,189 ბენეფიციარი (მათ შორის, 428 ბაღების კომპონენტის; 734 კენკროვანი კულტურების 100%-იანი დაფინანსების ქვეკომპონენტის; 8 სანერგეების; 8 სეტყვის საწინააღმდეგო სისტემის მოწყობის ფარგლებში; 16 წვეთოვანი სარწყავი სისტემების მოწყობის; 24 ჭის/ჭაბურღილის მოწყობის კომპონენტის; 2 მრავალწლიანი კულტურ(ებ)ის ბაღში, პლანტაციაში, ვენახში დაზიანებული ნერგების ჩანაცვლების კომპონენტის და 1 შესაწამლი აპარატის შესყიდვის დაფინანსების კომპონენტის ფარგლებში). საანგარიშო პერიოდში, ბიუჯეტის ათვისებამ შეადგინა 21,179,959 ლარი.

✓ **შემნახველი და გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი: გადამამუშავებელი საწარმოების** თანადაფინანსების კომპონენტი ითვალისწინებს გადამამუშავებელი ახალი საწარმოების შექმნით დაინტერესებული კომპანიებისათვის (მათ შორის სასოფლო - სამეურნეო კოოპერატივებისათვის) ფინანსური და ტექნიკური დახმარების გაწევას. კერძოდ, პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტებში ახალი გადამამუშავებელი საწარმოების შექმნა და უმოქმედო საწარმოების რეაბილიტაცია; გადამამუშავებელი საწარმოების გეოგრაფიული დივერსიფიკაცია; სასოფლო - სამეურნეო კოოპერატივების შექმნის წინაპირობების გაუმჯობესება; სანედლეულო ბაზის

[6] *შენიშვნა: შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე საანგარიშო თვის მონაცემები ხელმისაწვდომია მხოლოდ მეორე თვის 21 რიცხვისთვის. შესაბამისად, ამ ანგარიშში მოცემულია მხოლოდ 2020 წლის 10 თვის (01.01.2020-31.10.2020) მონაცემები*

განვითარება და სოფლის მოსახლეობის შემოსავლების ზრდა. **შემნახველი საწარმოების** კომპონენტი კი ითვალისწინებს ახალი შემნახველი საწარმოების შექმნით დაინტერესებული იურიდიული პირებისათვის (მათ შორის სასოფლო - სამეურნეო კოოპერატივებისათვის) ფინანსური დახმარების გაწევას. პროგრამის მიზანია პირველადი სასოფლო - სამეურნეო პროდუქციის სტანდარტიზაციის ხელშეწყობა; ეფექტური კოოპერაციის ხელშეწყობა; ფერმერებისათვის მიღებული მოსავლის დასაწყობების ხელშეწყობისათვის დამატებითი ინფრასტრუქტურის შექმნა; შემნახველი საწარმოებისათვის სერვისის მიმწოდებლად ჩამოყალიბების ხელშეწყობა და შემნახველი ინფრასტრუქტურის სტანდარტიზაციის ხელშეწყობა. **შემნახველი და გადამამუშავებელი საწარმოების თანადაფინანსების პროექტის ფარგლებში**, საანგარიშო პერიოდში შეიქმნა 1 გადამამუშავებელი და 9 შემნახველი საწარმო. ბიუჯეტის ათვისებამ 9,227,171 ლარი შეადგინა.

✓ **ჩაის პლანტაციების რეაბილიტაციის პროგრამის მიზანია** საქართველოში არსებული ჩაის პლანტაციების პოტენციალის ეფექტურად გამოყენება, ადგილობრივი ჩაის (მათ შორის, ბიო ჩაის) წარმოების ზრდის ხელშეწყობა, შედეგად, თვითუზრუნველყოფის დონის ამაღლება და საექსპორტო პოტენციალის გაზრდა; ასევე, კერძო და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული გაველურებული ჩაის პლანტაციების რეაბილიტაცია. **აღნიშნული პროგრამის** ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 168 ჰა ჩაის პლანტაციების რეაბილიტაცია. ბიუჯეტის ათვისებამ 23,078 ლარი შეადგინა.

✓ **აგროდაზღვევის პროგრამა** მიზნად ისახავს აგროსექტორში სადაზღვევო ბაზრის განვითარებას, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობის ხელშეწყობას, აღნიშნული საქმიანობით დაკავებული პირებისთვის შემოსავლის შენარჩუნებას და რისკების შემცირებას. აგროდაზღვევის პროგრამის ფარგლებში ბენეფიციარს შეუძლია დააზღვიოს **5 ჰა**-მდე მიწის ნაკვეთი, ხოლო მარცვლეული კულტურის შემთხვევაში **30 ჰა. პროგრამის** ფარგლებში, საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 9,141 ბენეფიციარის მიერ მოყვანილი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლის დაზღვევა. ბიუჯეტის ათვისებამ 7,999,999 ლარი შეადგინა.

COVID-19 პანდემიის ფარგლებში განხორციელებული ანტიკრიზისული ღონისძიებები

ბოლო წლების განმავლობაში ჩამოყალიბდა ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკა, რომლის პრიორიტეტები და მიმართულებები ორიენტირებულია გრძელვადიან ეკონომიკურ ზრდასა და განვითარებაზე. თუმცა 2020 წლის პანდემიამ, რომელიც მნიშვნელოვანი საფრთხე და რთული გამოწვევა აღმოჩნდა გლობალური ეკონომიკისთვის, გარკვეული ცვლილებები შეიტანა საქართველოს მთავრობის

ეკონომიკური პოლიტიკის დღის წესრიგში, რამაც საჭირო გახადა მყისიერი და გრძელვადიანი ღონისძიებების განხორციელების აუცილებლობა.

მთავრობის ანტიკრიზისული გეგმის მე-2 ეტაპის ფარგლებში, პანდემიის გამო შემოსავლების დაკარგვით გამოწვეული პრობლემების დაძლევისა და კრიზისის შედეგად მიყენებული ზიანის შემსუბუქების მიზნით, შემუშავდა და 2020 წლის 4 მაისს საქართველოს მთავრობის N286 დადგენილებით დამტკიცდა **„ახალი კორონავირუსით (SARS-COV-2) გამოწვეული ინფექციის (COVID-19) შედეგად მიყენებული ზიანის შემსუბუქების მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამა“.**

მიზნობრივი სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში განისაზღვრა კომპენსაციის მიღების უფლებამოსილების მქონე პირები, რომლებიც დაზარალდნენ კორონავირუსის ეპიდემიის/პანდემიის გავრცელების პერიოდში. აღნიშნული პროგრამა ითვალისწინებს ინდივიდუალურ მეწარმეებს, მცირე ბიზნესის სტატუსის მქონე მეწარმე ფიზიკურ პირებსა და ფიქსირებული გადასახადის გადამხდელ ფიზიკურ პირებს, რომელთაც მიმდინარე წლის პირველ კვარტალში უფიქსირდებოდათ ეკონომიკური აქტივობა ან/და შემოსავლები ეკონომიკური საქმიანობიდან, ასევე მიკრობიზნესის სტატუსის მქონე ფიზიკურ პირებს, რომლებსაც მიკრობიზნესის სტატუსი მიენიჭათ 2020 წლის 1 აპრილამდე და რომლებიც არ იღებენ დაფინანსებას ბიუჯეტიდან.

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის ზედამხედველობის სამსახურმა, Covid-19-ის ფარგლებში, თარგმნა/შეიმუშავა ბუღალტრებისთვის და აუდიტორებისთვის დამხმარე სახელმძღვანელოები, რომლებიც განთავსებულია სამსახურის ოფიციალურ ვებ-გვერდზე:

- ✓ COVID-19-თან დაკავშირებული სახელმძღვანელო მითითებები. https://www.saras.gov.ge/ka/Home/Covid19Guidance
- ✓ კოვიდ-19-თან დაკავშირებული საიჯარო ქირის დათმობა. https://www.saras.gov.ge/ka/Ifrs/Pdf/564

გარდა ამისა, სამსახურის მიერ გამართულ დისტანციურ შეხვედრებზე, დამსწრე აუდიტორიასთან განხილული იყო კოვიდ-19-ის გავლენის საკითხები. სამსახურმა უზრუნველყო ყველა დისტანციური საშუალებით ფინანსურ სფეროში დასაქმებული პირებისთვის საჭირო ინფორმაციის მიწოდება.

მონიტორინგისა და შეფასების შედეგები

2020 წელს შესრულდა, მეორე სტრატეგიული მიმართულების შესაბამისი „შესრულების ინდიკატორები“, მათ შორის:

- ✓ *ფინანსურ ორგანიზაციებთან ურთიერთობის და ფინანსური გადაწყვეტილების მიღების საკითხებზე ჩატარდა ტრეინინგები მიკრო და მცირე მეწარმეებისათვის;*

- ✓ *აგრომეწარმეობის განვითარების ხელშეწყობის მიზნით შემუშავდა ახალი განათლების პროგრამა და შეიქმნა ახალი ფინანსური საგანმანათლებლო პლატფორმა;*
- ✓ *ჩატარდა IFRS for SME-ის ტრენინგები სამიზნე ჯგუფებისთვის;*
- ✓ *ჩატარდა შეხვედრები ფონდების მოძიების თემატიკაზე;*
- ✓ *გაიმართა შეხვედრები სტარტაპებსა და უცხოურ სარისკო კაპიტალის ინვესტორებთან;*
- ✓ *„საინვესტიციო ფონდების შესახებ“ კანონპროექტზე გაიმართა საჯარო-კერძო განხილვები;*
- ✓ *საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა კანონი „საინვესტიციო ფონდების შესახებ“;*
- ✓ *სასოფლო-სამეურნეო საქმიანობით დაკავებულ პირებზე გაიცა შეღავათიანი სესხები;*
- ✓ *სოფლის მეურნეობის მიმართულებით დაფინანსდნენ ახალგაზრდა მეწარმეები.*

მეორე სტრატეგიული მიმართულების შესრულების შეფასება

ფინანსებზე ხელმისაწვდომობა უმნიშვნელოვანესია ბიზნესის განვითარების, მწარმოებლურობის ზრდის, ექსპორტის არეალის გაფართოების და შესაბამისად, ეკონომიკაში ინვესტიციების ზრდის მისაღწევად.

დღეს საქართველოში მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების და ზრდისთვის ერთ-ერთი მთავარი გამოწვევას სწორედ ფინანსებზე ხელმისაწვდომობა წარმოადგენს. მცირე, საშუალო და ახლად შექმნილი ბიზნესის ხელშეწყობის მიზნით საქართველოს მთავრობის მიერ აქტიურად მიმდინარეობდა არაერთი ხელშემწყობი ინსტრუმენტის შემუშავება და დანერგვა, რომლის მიზანია მცირე და საშუალო მეწარმეთა უნარების ამაღლება, ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება, მათი საექსპორტო პოტენციალის გაძლიერება და ბაზარზე ხელმისაწვდომობის ხელშეწყობა, სამეწარმეო ინოვაციების განვითარება, ინოვაციური ეკოსისტემის გაუმჯობესება, ქართული კომპანიების ტექნოლოგიური მოდერნიზაცია და შედეგად, მწარმოებლურობის ზრდის ხელშეწყობა.

ფინანსებზე ხელმისაწვდომობა

ფინანსებზე ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით უმნიშვნელოვანესია საფინანსო ინსტიტუტების საკრედიტო პორტფელის ანალიზი. საქართველოს ეროვნული ბანკის სტატისტიკური მონაცემების თანახმად, სესხების დინამიკა დადებითი ზრდის ტენდენციით ხასიათდება. 2019 წელს მცირე და საშუალო ბიზნესზე გაცემული სესხების ნაკადების მოცულობამ 6,626.9 მლნ ლარი შეადგინა, რაც 2016 წლის მაჩვენებელს **38%-ით აღემატება** და 2019 წელს მთლიან სესხებში **32%-ს უტოლდება.**

დადებითი ზრდის დინამიკა დაფიქსირდა გაცვლითი კურსის ეფექტის გათვალისწინებითაც. კერძოდ, 2019 წელს მცირე და საშუალო ბიზნესზე გაცემული სესხების ნაშთმა 6,962.5 მლნ ლარი შეადგინა, რაც მთლიან ბიზნეს სესხებში 37.3%-ს გაუტოლდა და 2016 წელთან შედარებით ზრდის მაჩვენებელმა 57.4% შეადგინა.

დადებითი ტენდენცია დაფიქსირდა საბაზრო საპროცენტო განაკვეთების შემცირების თვალსაზრისით. 2019 წელს, წინა წლებთან შედარებით, მცირე და საშუალო ბიზნესის სესხებზე საპროცენტო განაკვეთები კვლავ შემცირდა და 10.76% შეადგინა, 2016 წელს საპროცენტო განაკვეთები 12.38%-ს უტოლდებოდა.

აღსანიშნავია, რომ 2019 წელს, ბოლო 3 წლის განმავლობაში, მცირე და საშუალო საწარმოებსა და მეორეს მხრივ, მსხვილ საწარმოებზე გაცემული სესხების საპროცენტო განაკვეთებს შორის (ნაკადების მიხედვით) ყველაზე მცირე სხვაობა დაფიქსირდა და 2.14%-ს გაუტოლდა. აღნიშნულ პერიოდში არსებული მდგომარეობა განპირობებული იყო

ერთის მხრივ, როგორც ყველა სესხებზე საპროცენტო განაკვეთების შემცირებით, მეორეს მხრივ, მცირე და საშუალო ბიზნესის სესხების ნაკადებზე საპროცენტო განაკვეთების უფრო მეტად კლებით, ვიდრე მსხვილი საწარმოების სესხებზე.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი "ბიზნესის კეთების რისკები"

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის „გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსი" (GCI) აფასებს ქვეყნის კონკურენტუნარიანობას და ახდენს იმ ფაქტორების ანალიზს, რომლებიც მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ქვეყანაში ბიზნეს გარემოს შექმნისათვის და მნიშვნელოვანია მწარმოებლურობისა და კონკურენტუნარიანობის თვალსაზრისით. ინდექსი განიხილავს ქვეყნის ძლიერ და სუსტ მხარეებს, ახდენს პრიორიტეტების იდენტიფიცირებას პოლიტიკური რეფორმების განხორციელების ხელშეწყობისათვის. კვლევა კონკურენტუნარიანობას განმარტავს, როგორც იმ ინსტიტუტების, პოლიტიკისა და სხვა ფაქტორების ერთობლიობას, რომლებიც ქვეყნის პროდუქტიულობის დონეს განსაზღვრავს.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი, ასევე, ცალკე გამოყოფს ისეთ საკითხებს, რომელიც რესპონდენტთა შეფასებით კონკურენტუნარიანობის შემაფერხებელ ფაქტორს წარმოადგენს და ქვეყანაში ბიზნესის კეთებასთან დაკავშირებულ რისკებს აფასებს. ბიზნესის კეთებასთან დაკავშირებული რისკების შეფასება ეფუძნება ორგანიზაციის მკვლევართა ჯგუფის მიერ განხორციელებულ ყოველწლიურ „Executive Opinion Survey" გამოკითხვას.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმი გამოკითხულ რესპონდენტებს იმ რისკების შეფასებას სთავაზობს, რომელიც დღეს მსოფლიოს სხვადასხვა რეგიონებში მნიშვნელოვან პრობლემებს ქმნის ბიზნესის კეთების პროცესში. აღსანიშნავია, რომ 2017 წლის ანგარიშის მიხედვით, კონკურენტუნარიანობის თვალსაზრისით საქართველოს მთავარ გამოწვევად რჩებოდა არაკვალიფიციური სამუშაო ძალა, ფინანსებზე ხელმისაწვდომობა, ინფლაცია, სამუშაო ძალის ეთიკისა და ცნობიერების, ისევე როგორც ინოვაციური შესაძლებლობების დაბალი დონე და სხვა. სწორედ ფინანსებზე ხელმისაწვდომობა სახელდებოდა ბიზნესის კეთების მეორე მთავარ პრობლემად.

მსოფლიო ეკონომიკური ფორუმის „ბიზნესის კეთების რისკები 2020" ანგარიში აფასებს 5 ძირითად რისკის კატეგორიას, როგორიცაა ეკონომიკური, გეოპოლიტიკური, გარემოსდაცვითი, საზოგადოებრივი და ტექნოლოგიური მიმართულებები, რომელიც თავის მხრივ 30 ქვეკატეგორიას მოიცავს, რომელიც მნიშვნელოვან პრობლემებს ქმნის ქვეყანაში ბიზნესის კეთების პროცესში.

2020 წლის ანგარიშის თანახმად, საქართველოში გამოკითხულ რესპონდენტთა 47.5% ყველაზე მთავარ პრობლემად სახელმწიფოთაშორის კონფლიქტს ასახელებს, გამოკითხულთა 30%-მა მეორე პრობლემად ეროვნული მმართველობის წარუმატებლობა

დაასახელა, ხოლო უმუშევრობას ან ნაწილობრივი უმუშევრობას გამოკითხულ რესპონდენტთა 27.5% ასახელებს პრობლემად.

ამდენად, **2019 და 2020 წლის კვლევის შედეგების საფუძველზე, საქართველოში ფინანსურ ინსტრუმენტებზე ხელმისაწვდომობა აღარ სახელდება ბიზნესის კეთების მთავარ ხელშემშლელ ფაქტორად.**

3. მცირე და საშუალო მეწარმეობის უნარების განვითარების და სამეწარმეო კულტურის ამაღლების ხელშეწყობა

3.1. შრომის ბაზრის საჭიროების იდენტიფიცირება და შესაბამისი დასაქმების პროგრამების განვითარება

[3.1.1] **შრომის ბაზარზე არსებული საჭიროების იდენტიფიცირების და უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის გამოსავლენად,** საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ ჩატარდა „უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევა - 2020“, რომლის მიზანია ადამიანისეული კაპიტალის უნარებზე საწარმოების მოთხოვნის გამოვლენა, რომელთა გათვალისწინებაც ხელს შეუწყობს უნარებთან მიმართებით შრომის ბაზარზე არსებულ მოთხოვნა-მიწოდებას შორის არსებული დისბალანსის შემცირებას და უნარების მოხმარების ეკონომიკური ეფექტიანობის გაზრდას.

„უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევაში“ წარმოდგენილია დასაქმებულთა რაოდენობა და მათი ცვლილება 2018-2019 წლებში პროფესიული ჯგუფების (დასაქმების საერთაშორისო სტანდარტული კლასიფიკატორის ძირითადი და ელემენტარული ჯგუფების მიხედვით - ISCO 08), ეკონომიკურ საქმიანობათა სახეების (NACE rev. 2), რეგიონების, საწარმოთა ზომის, განათლების მიღწეული დონეების (საშუალო, პროფესიული და უმაღლესი) და სქესის მიხედვით.

ანგარიშში, ასევე, წარმოდგენილია პრობლემები, რომლებიც თან ახლავს პროფესიული ჯგუფების მიხედვით ადამიანების დასაქმებას. კვლევა აანალიზებს, თუ რა წყაროზე დაყრდნობით აჰყავთ საწარმოებს ადამიანები, რა უნარები აკლიათ სამუშაოს მაძიებლებს და რა ზომებს მიმართავენ საწარმოები სამუშაო ძალის უნარების განვითარების კუთხით. კვლევა, ასევე სწავლობსპროფესიული ჯგუფების მიხედვით ახალი თანამშრომლების დაქირავების შესაძლებლობებს, არსებული ვაკანსიების რაოდენობას, პროფესიული ჯგუფების მიხედვით სამუშაო ძალის მოთხოვნის ზრდისა და შემცირების ტენდენციებს, მათ გამომწვევ მიზეზებს, საწარმოებში პროფესიული განათლების მქონე ადამიანების დასაქმების მაჩვენებელს, პროფესიულ სასწავლებლებთან კომპანიების თანამშრომლობის ფორმებს, მათ დამოკიდებულებას პროფესიული სწავლების მიმართ, საწარმოებში პროფესიული ჯგუფების მიხედვით უცხო ქვეყნის მოქალაქეების დასაქმების ტენდენციებს, მათი დასაქმების გამომწვევ მიზეზებს, საწარმოთა განწყობას პირველი სამუშაოს მაძიებელი პირების მიმართ.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრომ „უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევა“ პირველად ჩაატარა 2017 წელს. კვლევის მეთოდოლოგია მომზადდა ევროპის სასწავლო ფონდის მიერ მომზადებული სახელმძღვანელოს მიხედვით, რომლის მეთოდოლოგია და ინსტრუმენტები შეჯერდა სახელმწიფო

უწყებებთან მჭიდრო თანამშრომლობის ფარგლებში (საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო; საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო; საქარველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური).

2018-2019 წლებში სამინისტრომ განხორციელდა სექტორებზე ორიენტირებული უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევები, რომლის მიხედვითაც შეისწავლა ტურიზმისა და სამშენებლო სექტორები („ტურიზმის ინდუსტრიაში შრომის ბაზრის საჭიროებათა კვლევა"; „სამშენებლო ინდუსტრიაში შრომის ბაზრის საჭიროებათა კვლევა").

აღნიშნული კვლევა საჯაროდ ხელმისაწვდომია და განთავსებულია შრომის ბაზრის საინფორმაციო სისტემის ვებ-გვერდზე www.lmis.gov.ge.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მიერ მომზადდა 2020 წლის **„საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი"**. ანგარიში აანალიზებს ქვეყანაში დასაქმებისა და უმუშევრობის მიმართულებით არსებულ ტენდენციებს, მათ შორის სექტორულ, ასაკობრივ, გენდერულ და რეგიონულ ჭრილში. იგი შეისწავლის შრომის ბაზრის მოთხოვნის კომპონენტს და ამასთან განსაზღვრავს იმ ძირითად სექტორებს, რომლებშიც განსაკუთრებით მაღალი ეკონომიკური აქტივობაა მოსალოდნელი მომდევნო წლებში, რაც თავის მხრივ, წარმოადგენს ამ სექტორებში დასაქმების ზრდის ერთ-ერთ აუცილებელ წინაპირობას. ამასთან, ანგარიში მოიცავს როგორც კერძო დასაქმების სააგენტოს (hr.ge), ასევე დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოში (worknet.gov.ge) შემოსული ვაკანსიების ანალიზს. ანგარიში, ასევე, მიმოიხილავს საქართველოს შრომის ბაზრის არსებულ კვლევებს. ანგარიშის ბოლოს წარმოდგენილია დასკვნა და რეკომენდაციები, რომელშიც მოცემულია საქართველოს შრომის ბაზრის წინაშე მდგარი გამოწვევები და სამუშაო ძალაზე მოთხოვნის ხედვა.

[3.1.2] საკარიერო განათლების პოლიტიკაში მეწარმეობის კომპონენტი ინტეგრირების ფარგლებში საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ ევროკავშირთან პარტნიორობით შეიმუშავა **კარიერის დაგეგმვისა და პროფორიენტაციის ინტეგრირებული ხედვა**. ღონისძიების ფარგლებში განხორციელდა კარიერის დაგეგმვისა და პროფორიენტაციის კონსულტანტთა შესაძლებლობების გაძლიერება, შემუშავდა მეთოდოლოგიური და ტრენინგის სახელმძღვანელოები.

დასაქმების ხელშეწყობის სახელმწიფო სააგენტოს სერვის ცენტრებში ინდივიდუალური კარიერის დაგეგმვა და პროფესიული კონსულტირება ჩაუტარდა 72 პირს.

პანდემიით გამოწვეული შეზღუდვების გამო, საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროში შეფერხებით მიმდინარეობდა **„სამუშაოს მაძიებელთა პროფესიული მომზადების, პროფესიული გადამზადებისა და კვალიფიკაციის ამაღლების**

სახელმწიფო პროგრამა“. პროგრამაში მონაწილეობის მისაღებად დარეგისტრირდა 11 სასწავლო ორგანიზაცია. ამათგან 5 მიმწოდებელთან 2020 წლის დეკემბრის თვიდან სწავლა დაიწყო 442 სამუშაოს მაძიებელმა. სწავლის პროცესი დასრულდება 2021 წლის პირველ კვარტალში. ასევე, სტაჟირების კომპონენტში ჩაერთო ერთი დამსაქმებელი - სოციალური საწარმო შპს ,,კოდალა“ (ქ. თბილისი), სადაც სტაჟირებას გადის 19 სტაჟიორი. სტაჟირება დასრულდება 2021 წლის პირველ კვარტალში.

პროფესიული განათლების შესახებ საქართველოს კანონი, **საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს** ავალდებულებს შექმნას და დაამტკიცოს ფორმალურ განათლებაში პროფესიული ორიენტაციის, კონსულტირების და კარიერის დაგეგმვის სტრატეგია. 2020 წელს, ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტის ფასილიტაციით დაიწყო ზემოხსენებული დოკუმენტების შემუშავებისათვის საჭირო სამუშაოები.

[3.1.3] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო ახორციელებს **„პროფესიული მომზადება-გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების” და „დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების“ სახელმწიფო პროგრამებს.** აღნიშნული პროგრამების ფარგლებში დასაქმების კონსულტანტებმა 12 შშმ პირს გაუწიეს მხარდაჭერითი მომსახურება (თბილისი - 5, აჭარა - 3, გურია - 2, შიდა ქართლი - 2). შშმ პირთათვის მოძიებული იქნა 9 ვაკანსია. დასაქმდა 9 შშმ პირი (თბილისი - 6, აჭარა - 3); ინდივიდუალური კარიერის დაგეგმვა და პროფესიული კონსულტირება ჩაუტარდა 72 სამუშაოს მაძიებელს. (ქ. თბილისი - 58, იმერეთი - 10 და შიდა ქართლი - 4).

[3.1.4] საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ აქტიურად მიმდინარეობდა **სამუშაოს მაძიებელთა კონსულტირება დასაქმების შესაძლებლობებსა და სერვისებთან დაკავშირებით.** პროგრამის ფარგლებში ინდივიდუალური კონსულტირება გაიარა **3 024 სამუშაოს მაძიებელმა** (ქ. თბილისი - 1 179, აჭარა - 433, გურია - 396, იმერეთი - 32, კახეთი - 217, სამეგრელო-ზემო სვანეთი - 436, ქვემო ქართლი - 14, შიდა ქართლი - 281, მცხეთა-მთიანეთი - 36,).

3.2. მცირე და საშუალო საწარმოთა ტრენინგების საჭიროებათა შეფასება (Training Needs Assessment TNA)

[3.2.1] სააგენტომ „აწარმოე საქართველოში“ ETF-ის (European Training Foundation) მხარდაჭერით შეიმუშავა **ტრენინგების საჭიროებათა შეფასების (TNA)** მექანიზმები (კითხვარის ჩათვლით) და ჩაატარა მცირე და საშუალო საწარმოთა ტრენინგების საჭიროებათა შეფასება. გასულ წლებში პილოტური პროექტისთვის კვლევის ჩასატარებლად იდენტიფიცირებული იქნა ორი სექტორი (ქაღალდის წარმოების და

ბეჭდვის, ასევე, სასტუმრო სექტორი), რომლის ფარგლებში მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა ბიზნესის წარმომადგენლებმა. ამასთან, განხორციელდა TNA-ს შედეგების ანალიზი და ინსტრუმენტების გაუმჯობესება.

2020 წელს, საკვები და სასმელი პროდუქტების და საფეიქრო ინდუსტრიის სექტორების წარმომადგენლებთან ჩატარდა კვლევა ტრენინგების საჭიროებების და მთავარი გამოწვევების იდენტიფიცირების მიზნით. რესპონდენტთა მიერ მთავარ პრობლემად სამუშაო ძალის კვალიფიკაცია დასახელდა.

3.3. უწყვეტი სამეწარმეო სწავლების (LLEL) დანერგვა განათლების სისტემის ყველა დონეზე

[3.3.1] უწყვეტი სამეწარმეო სწავლების (LLEL) დანერგვის პროცესის მხარდაჭერის მიზნით, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ ხორციელდება **„განათლების სისტემის ყველა დონეზე უწყვეტი სამეწარმეო სწავლების (LLEL) დანერგვის 2019-2020 წლების სამოქმედო გეგმა“.** სამოქმედო გეგმის აქტივობები ერთიანდება ორი ძირითადი მიზნის გარშემო: მეწარმეობის ეკოსისტემის შექმნა განათლების სისტემაში და სამეწარმეო სწავლების გაუმჯობესება. აღნიშნული მიზნების მიღწევის მიზნით განისაზღვრა 7 ამოცანა და შესაბამისი აქტივობები, მათ შორის, ექსტრაკურიკულარული სამეწარმეო აქტივობების დანერგვის ხელშეწყობის ფარგლებში განხორციელდა კოლეჯების შესაძლებლობების და საჭიროებების შეფასება, შემუშავდა შესაბამისი ქვეპროგრამები, გაეროს განვითარების პროგრამასთან (UNDP) და არასამთავრობო ორგანიზაციებთან თანამშრომლობის საფუძველზე დაინერგა სამეწარმეო პრაქტიკის განვითარება სკოლებში; სამეწარმეო სწავლების შესახებ ცნობიერების ამაღლების და სამეწარმეო საქმიანობის სტიმულირების მიზნით განხორციელდა საინფორმაციო კამპანიები, განხორციელდა კოლეჯებს შორის წარმატებული პრაქტიკის გაზიარება, პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებებისათვის ETF-ის და UNDP-ის მხარდაჭერით შეიქმნა სამეწარმეო კულტურის მოდელი და სასწავლო დაწესებულებაში განხორციელდა პროგრამის პილოტირება.

[3.3.2] პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების რეფორმის (2014-2018) შედეგად პროფესიული განათლების სისტემა გადავიდა მოდულურ სწავლებაზე. მოდულური საგანმანათლებლო პროგრამები ეფუძნება საგანმანათლებლო სტანდარტებს, რომლებიც შემუშავებულია პროფესიის სტანდარტების საფუძველზე. დამსაქმებლების მიერ შემუშავებულ პროფესიის სტანდარტებში ასახულია პროფესიული მოვალეობები, ამოცანები და ის მინიმალური მოთხოვნები, რაც უნდა დააკმაყოფილოს კონკრეტული პროფესიის მქონე პირმა.

სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში ყველა პროფესიული სტუდენტისთვის **მოდულურ პროფესიულ პროგრამაზე სწავლის დროს სავალდებულოა მეწარმეობის მოდულის გავლა.** პროფესიული განათლების სისტემაში მე-3, მე-4 და მე-5 დონეებზე არსებული ყველა ავტორიზებული საგანმანათლებლო პროგრამა სავალდებულოდ მოიცავს „მეწარმეობის“ ზოგად მოდულს (მათგან 9 პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტი არ ითვალისწინებს „მეწარმეობის“ ზოგად მოდულს, თუმცა აღნიშნულ ჩარჩოებში მოცემულია ჩანაწერი: „ჩარჩო დოკუმენტი მოდულების, სწავლის შედეგებისა და თემატიკის კომპონენტებში ითვალისწინებს რვა საკვანძო კომპეტენციის, მათ შორის მეწარმეობის, განვითარებას“). შესაბამისად, კვალიფიკაციის მინიჭებისათვის აღნიშნული მოდული გავლილი და დადასტურებული უნდა ჰქონდეს პროფესიულ სტუდენტს. ყოველწლიურად 6000-ზე მეტ პირს ენიჭება პროფესიული კვალიფიკაცია.

2020 წელს, ქვეყანაში შექმნილი ეპიდემიოლოგიური ვითარებიდან გამომდინარე, შეჩერებული იყო სასწავლო პროცესი, რაც, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა რაოდენობაზეც აისახა. შესაბამისად, მიმდინარე წელს, სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლის დასრულების შედეგად, პროფესიული კვალიფიკაცია მიენიჭა 1589 პირს. ყველა მათგანს გავლილი აქვს მეწარმეობის სავალდებულო მოდული.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალმა სსიპ-მა „შემოქმედებითი საქართველო“, 2020 წელს, ბრიტანეთის საბჭოს „შემოქმედებითი ნაპერწკლის“ საგრანტო პროგრამის ფარგლებში, განავითარა სხვადასხვა მიმართულების სტუდენტების სამეწარმეო უნარ-ჩვევები და მათი ჩართულობით, შეიმუშავა არსებული ინსტიტუციებისა და პროგრამების/პროექტების კონცეფციებისა და მართვის ახალი გეგმები და ბიზნეს განვითარების სტრატეგიები.

მიმდინარე პერიოდში, სსიპ-მა „შემოქმედებითი საქართველო“ ჩაატარა მენტორინგის სესიები სტუდენტებისთვის, მათი სტარტაპების განვითარებისა და ბიზნეს-უნარების გაუმჯობესების მიზნით, გადამზადებულმა სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო სტარტაპ კონკურსში, BIG IDEA CHALLENGE. მონაწილეთაგან, ერთი სტარტაპი მოხვდა ადგილობრივი კონკურსის ფინალისტთა შორის. სსიპ-ის მიერ, შეირჩა რეგიონული კულტურული ფესტივალები, რომელთა მენეჯერებმაც გაიარეს შემოქმედებითი მეწარმეობის ტრენერთა ტრენინგი. ღონისძიების ფარგლებში, კულტურის მონაწილეებმა აიმაღლეს ცოდნა შემოქმედებითი ღონისძიებების მენეჯმენტის ინსტრუმენტებისა და მენტორობის თაობაზე. ასევე, ჩამოაყალიბეს თავიანთი ფესტივალების კონცეფციები, საჭიროებები და განვითარების პერსპექტივები.

[3.3.3] 2019 წლის 28 ივნისის N857 ბრძანებით დამტკიცებული „განათლების სისტემის ყველა დონეზე უწყვეტი სამეწარმეო სწავლების (LLEL) დანერგვის 2019-2020 წლების

სამოქმედო გეგმის შესრულების კოორდინაციის მიზნით, **განათლების სისტემის ყველა დონეზე უწყვეტი სამეწარმეო სწავლების (LLEL) დანერგვის მიზნით შექმნილი უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის სხდომა** გაიმართა 2019 წლის ნოემბერში და 2020 წლის დეკემბერში. შეხვედრაზე ჯგუფის წევრებმა წარმოადგინეს ინფორმაცია სამეწარმეო სწავლების მიმართულებით განხორციელებული და დაგეგმილი აქტივობების შესახებ. ასევე, განხილულ იქნა მათი მოსაზრებები სამოქმედო გეგმის რიგ აქტივობებთან დაკავშირებით.

3.4. მეწარმეობაზე ორიენტირებული პროფესიული განათლების სისტემის განვითარება

[3.4.1] **პროფესიულ განათლების საბჭოში და თემატურ ჯგუფებში მცირე და საშუალო მეწარმეთა ჩართულობის მიზნით** 2019 წლის 6 აგვისტოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანებით დამტკიცდა „პროფესიული დარგობრივი საბჭოების შექმნისა და საქმიანობის წესი“. ბრძანების შესაბამისად, თითოეული მიმართულების დარგობრივი საბჭოს შემადგენლობაში შედის შესაბამისი სფეროს დამსაქმებლები ან/და მათი გაერთიანების წარმომადგენლები. საბჭოს მიზანს წარმოადგენს ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროფესიული სტანდარტებისა ან/და პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტების/მოდულების ფორმირება-დამტკიცების ხელშეწყობა. მიმდინარე წლის ნოემბერსა და დეკემბერში განახლდა და სწავლის სფეროების შესაბამისად ჩამოყალიბდა პროფესიული დარგობრივი საბჭოები. ამ ეტაპზე ფორმირებულია 12 მიმართულების დარგობრივი საბჭო, სადაც ჩართულია შესაბამისი სფეროს დამსაქმებლების ან/და მათი გაერთიანების 26 წარმომადგენელი.

[3.4.2] სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 6 აგვისტოს N680/n ბრძანებით შეიქმნა პროფესიული დარგობრივი საბჭოები, რომლის საქმიანობის მიზანია ადგილობრივი და საერთაშორისო შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი პროფესიული სტანდარტების და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების მოდულების ფორმირება და დამტკიცების ხელშეწყობა. თავის მხრივ, **პროფესიულ კვალიფიკაციათა შემუშავება/განვითარებაში მეწარმეთა მონაწილეობის უზრუნველყოფის (მეზო დონე) მიზნით,** საბჭოს წევრებად განისაზღვრა შესაბამისი სფეროს დამსაქმებლები ან/და მათი გაერთიანებების წარმომადგენლები.

პროფესიის სტანდარტის შექმნის პროცესი მთლიანად დამსაქმებლების და ბიზნესის წარმომადგენლების ჩართულობით განხორციელდა. შემუშავებული სტანდარტის ვალიდაციას ახდენენ სწორედ მეწარმეები/დამსაქმებლები. შემუშავებული სტანდარტის დამტკიცება ხორციელდება დარგობრივ საბჭოზე, რომელის წევრები არიან დამსაქმებლების წარმომადგენლები.

2020 წელს შემუშავდა 4 დამოუკიდებელი მოდული და გადამუშავდა 2 პროგრამა. აღნიშნული დოკუმენტების შექმნის სხვადასხვა ეტაპზე - გადამუშავების, საჯარო განხილვებისა და დარგობრივი საბჭოს სხდომებში ჩართულნი იყვნენ დამსაქმებელთა წარმომადგენლები. კერძოდ: საქართველოს ფოტოგრაფთა ასოციაცია, ლოგისტიკის ასოციაცია, სავაჭრო-სამრეწველო პალატა, შპს "გზა" (აჭარის რეგიონიდან), შპს „რუსთავი ინდუსტრია გრუპი“, შპს „ბათუმის საზღვაო ნავსადგური“, სს „ბათუმის პორტი“, შპს „ბათუმის საერთაშორისო საკონტეინერო ტერმინალი“. ამ ეტაპზე ინიცირებულია „მეწარმეობის“ ზოგადი მოდული (მოდულის განახლება) და „საჰაერო ხომალდების ტექნიკური მომსახურების“ პროფესიულ საგანმანათლებლო სტანდარტი (ცვლილებების განხორციელება).

[3.4.3] **პროფესიული განათლების სისტემაში სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მიდგომით, ხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები.** „პროფესიული განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის თანახმად, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების პროგრამის განხორციელების ფორმა (პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა, მოკლე ციკლის საგანმანათლებლო პროგრამა, პროფესიული მომზადების პროგრამა, პროფესიული გადამზადების პროგრამა) ითვალისწინებს ამ პროგრამით გათვალისწინებული ზოგიერთი სწავლის შედეგის იმიტირებულ სამუშაო გარემოში ან/და რეალურ სამუშაო გარემოში მიღწევას (მათ შორის, დუალური სწავლებით). შესაბამისად ყოველწლიურად მატულობს აღნიშნული პროგრამების რაოდენობა.

საანგარიშო პერიოდში, პროგრამების ჩამონათვალს, რომელზეც სწავლა დუალური მიდგომით ხორციელდება, დაემატა ინფორმაციული ტექნოლოგიების პროგრამა. სისტემაში სულ დანერგილია 30-მდე დუალური პროგრამა, რომლის განხორციელების პროცესშიც ჩართულია 50-ზე მეტი კერძო კომპანია. 2016-2019 წლებში დუალურ პროგრამებზე სულ ჩაირიცხა 850-მდე პირი.

2020 წელს, 4-მა პროფესიულმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ მოიპოვა 13 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის დუალური (სამუშაოზე დაფუძნებული) მიდგომით განხორციელების უფლება. მიმდინარე წელს, პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვა ერთხელ განხორციელდა და აღნიშნული მიღების ფარგლებში, დუალურ პროგრამებზე ჩაირიცხა 350 პირი.

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატამ სერვისის სახით დანერგა საკონსულტაციო მომსახურება, პროფესიული განათლების მოკლევადიანი პროგრამების მომზადება/გადამზადების პოტენციური განმახორციელებლებისთვის - კერძო კომპანიებისათვის. ამასთან, ამ სერვისით სარგებლობა უკვე დაიწყო ბიზნესმა სექტემბრის თვეში.

[3.4.4] საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი - სსიპ შემოქმედებითი საქართველო, 2020 წლის

პერიოდში, ბრიტანეთის საბჭოს შემოქმედებითი ნაპერწკლის საგრანტო პროგრამის ფარგლებში, მუშაობდა სხვადასხვა მიმართულების **სტუდენტების სამეწარმეო უნარ-ჩვევების განვითარებაზე** და მათი ჩართულობით, არსებული ინსტიტუციებისა და პროგრამების/პროექტების კონცეფციებისა და მართვის ახალი გეგმები და ბიზნეს განვითარების სტრატეგიების შემუშავებაზე.

2020 წელს, სსიპ „შემოქმედებითი საქართველო“-მ ჩაატარა მენტორინგის სესიები სტუდენტებისთვის, მათი სტარტაპების განვითარებისა და ბიზნეს უნარების გაუმჯობესების მიზნით, გადამზადებულმა სტუდენტებმა მონაწილეობა მიიღეს საერთაშორისო სტარტაპ კონკურსში, BIG IDEA CHALLENGE. მონაწილეთაგან, ერთი სტარტაპი მოხვდა ადგილობრივი კონკურსის ფინალისტთა შორის.

გარდა ამისა, სსიპ-ის მიერ, შეირჩა რეგიონული კულტურული ფესტივალები, რომელთა მენეჯერებმაც გაიარეს შემოქმედებითი მეწარმეობის ტრენერთა ტრენინგი. ღონისძიების ფარგლებში, პროექტის მონაწილეებმა აიმაღლეს ცოდნა შემოქმედებითი ღონისძიებების მენეჯმენტის ინსტრუმენტებისა და მენტორობის თაობაზე. ასევე, ჩამოაყალიბეს თავიანთი ფესტივალების კონცეფციები, საჭიროებები და განვითარების პერსპექტივები.

2020 წლის ოქტომბრში, პროექტ „რეკონცეფციის“ ფარგლებში, გაიმართა სტუდენტური სამეწარმეო ბანაკი (ბუთქემფი), რომლის ფარგლებშიც 25-მდე სტუდენტმა მენტორების დახმარებით შეიმუშავა რეგიონული კულტურული ფესტივალების განვითარების კონცეფციები, რაც მოიცავს ახალი ინიციატივებისა და ბიზსნესმოდელების შეთავაზებასა და დანერგვას. ღონისძიების ფარგლებში, არაფორმალური განათლების ინსტრუმენტების გამოყენებით, სტუდენტებმა მიიღეს ცოდნა და გამოიმუშავეს პრაქტიკული უნარ-ჩვევები სამეწარმეო საქმიანობის შესახებ.

ამავე პროექტის ფარგლებში, დეკემბრში, სსიპ შემოქმედებითი საქართველოს ორგანიზებით, გაიმართა ონლაინ კონფერენცია, რომელზეც სტუდენტურმა გუნდებმა წარმოადგინეს სტუდენტური სამეწარმეო ბანაკის მიმდინარეობისას შემუშავებული ბიზნეს განვითარების პრეზენტაციები, ე.წ. პიჩები.

[3.4.5] **„პარტნიორობა ცოდნისთვის“ (Knowledge Partnership) ფორუმის განვითარება** მნიშვნელოვანია სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მიმართულებით მხარეებს შორის ინფორმაციის გაცვლის მიზნით. საანგარიშო პერიოდისთვის დასრულებულია სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების პორტალის შინაარსსა და დიზაინზე მუშაობა, ასევე, შემუშავებულია სარეგისტრაციო ფორმა. პორტალის სრულად ამოქმედების მიზნით კვლავ გრძელდება სამუშაოები საიტის და სსიპ - განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მონაცემთა ბაზების სინქრონიზაციის მიმართულებით. პლატფორმის ფორმატი ითვალისწინებს სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების პროცესში ჩართული მხარეების ერთ სივრცეში დაკავშირებას, რაც მხარს დაუჭერს პროცესების კოორდინაციას.

http://wbl.ge/view2/?fbclid=IwAR3irVBWcjm_10nrP4XJYIHbs3_rYdDfFfn2iWXGmiwFiQJVJD-pYZlNj6A#

აღნიშნულის გარდა, სსიპ - შემოქმედებითი საქართველოს, შემოქმედებითი ინდუსტრიების მიმართულების თანამშრომლებმა სხვადასხვა სატრენინგო მასალის გამოყენებით, შეიმუშავეს შემოქმედებითი მეწარმეობის ქართულენოვანი გზამკვლევის პროექტი. დოკუმენტის ციფრული ვერსია მომავალი წლის დასაწყისში უფასოდ იქნება ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისთვის, ვისაც სურს მიიღოს საბაზისო ცოდნა შემოქმედებითი ბიზნესის დაწყების თაობაზე. გზამკვლევი არის ერთგვარი პრაქტიკული სახელმძღვანელო, რომელიც მკითხველს დაეხმარება თავისი იდეის ჩამოყალიბებასა და დახვეწაში, სხვადასხვა სავარჯიშოს დახმარებით კი, განავითარებს სამეწარმეო უნარებსა და ცოდნას.

სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრმა, COVID-19 პანდემიის პირობებში განახორციელა შემდეგი ღონისძიებები და აქტივობები, კერძოდ:

- 2020 წლის მარტიდან, სადაც ეს შესაძლებელია, ცენტრი ნახევრად ონლაინ რეჟიმში ახორციელებს ავტორიზაციის, აკრედიტაციის და მონიტორინგის ვიზიტებს, საბჭოების შეხვედრები კი მიმდინარეობდა სრულიად ონლაინ ფორმატში;
- 2020 წლის მარტში ცენტრმა შეიმუშავა რჩევები ინსტიტუციებისათვის - საგანგებო რეჟიმში კურსების ელექტრონულ რეჟიმში განხორციელებისა და სტუდენტთა შეფასებების ხარისხის უზრუნველყოფის საკითხებზე, ასევე ცენტრის ვებ-გვერდს დაემატა „სასარგებლო რესურსების“ გვერდი ინსტიტუციებისათვის, ელექტრონული სწავლების საკითხებთან დაკავშირებით (https://eqe.ge/ka/page/parent/901/mkhardachera-covid-19-is-pirobebshi), რომლის განახლებაც რეგულარულად მიმდინარეობდა;
- COVID-19-ით გამოწვეული პანდემიური მდგომარეობიდან გამომდინარე, 2020-2021 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრში კვლავ აქტიურ საკითხად დარჩა დისტანციური/შერეული სწავლა-სწავლების ხარისხის უზრუნველყოფისა და შეფასების საკითხები. აღნიშნულიდან გამომდინარეობდა სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ინიციატივა შექმნილიყო დისტანციური/შერეული სწავლა-სწავლების შეფასების კრიტერიუმები და სახელმძღვანელო პრინციპები, რაც დაეხმარებოდა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს საკუთარი რესურსების შეფასებაში და ინსტიტუციების შიგნით არსებული ძლიერი და სუსტი მხარეების დადგენაში, დისტანციური/შერეული სწავლების ხარისხის უზრუნველყოფის მიმართულებით. აღნიშნულის განხორციელება შესაძლებელი გახდა USAID/PROLoG-ის გრანტის მხარდაჭერით.

პროექტის ფარგლებში გამოცხადდა საერთაშორისო ექსპერტთა კონკურსი (https://enqa.eu/index.php/nceqe-georgia-launches-call-for-international-experts/) და შერჩეული ექსპერტების მიერ შემუშავდა დისტანციური/შერეული სწავლა-სწავლების ხარისხის შეფასების კრიტერიუმები და სახელმძღვანელო პრინციპები. ამისათვის კი 2020 წლის სექტემბრისა და ოქტომბრის განმავლობაში, ცენტრის მიერ ორგანიზებულ იქნა სამუშაო შეხვედრები საერთაშორისო ექსპერტების, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების წარმომადგენლებისა და ცენტრის თანამშრომლების მონაწილეობით. პროექტის ფარგლებში შემუშავებული დოკუმენტი უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებს საშუალებას მისცემს განსაზღვრონ დისტანციური და შერეული სწავლების განვითარების სტრატეგიები ინსტიტუციებისა და ფაკულტეტების დონეებზე. მეორე მხრივ, შემუშავებული დოკუმენტი ცენტრს დაეხმარება დაადგინოს სისტემის დონეზე არსებული გამოწვევები ელექტრონული/შერეული სწავლების ხარისხთან მიმართებით, შეასრულოს ფასილიტატორის ფუნქცია ამ მიმართულებით სწავლებისა და სწავლის ხარისხის გაუმჯობესებისათვის და გარკვეულწილად, უპასუხოს უმაღლესი განათლების სოციალური განზომილების - კონკრეტულად კი განათლების ხელმისაწვდომობის გამოწვევას, ხარისხის უზრუნველყოფის პერსპექტივიდან, რაც რომის 2020 წლის კომუნიკეს ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს ბოლონიის პროცესის წევრი სახელმწიფოებისათვის.

3.5. არაფორმალურ განათლებაზე ხელმისაწვდომობის ზრდა

„პროფესიული განათლების შესახებ“ ახალი კანონის შესაბამისად, შეიქმნა არაფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების პროფესიული განათლების საფეხურზე აღიარების შესაძლებლობა.

არაფორმალური განათლება არის მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლის სისტემის ნაწილი, რომელიც გულისხმობს ფორმალური განათლების მიღმა „ცოდნისა და გაცნობიერების“, „უნარის“ ან/და „პასუხისმგებლობისა და ავტონომიურობის“ შეძენას. არაფორმალური განათლების აღიარება პირს აძლევს შესაძლებლობას მოახდინოს არაფორმალურ გარემოში მიღებული ცოდნის აღიარება, მიიღოს სრული კვალიფიკაცია (შესაბამისად სახელმწიფოს მიერ აღიარებული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი) ან დააგროვოს კრედიტები კვალიფიკაციის სამომავლოდ მისაღებად. არაფორმალური განათლების აღიარების მიზანია არაფორმალური განათლების აღიარების მსურველი პირისთვის, ფორმალური განათლების მიღმა მიღწეული სწავლის შედეგების დადასტურება.

[3.5.1] **შემუშავებული და დამტკიცებულია არაფორმალური პროფესიული განათლების აღიარების მარეგულირებელი სამართლებრივი აქტები** (საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 6 სექტემბრის N 188/ნ ბრძანება; საქართველოს მთავრობის დადგენილება N459, 2019 წლის 20

სექტემბერი). არაფორმალური განათლების აღიარების წესი და განახლებული პროცედურები სრულ შესაბამისობაშია ევროსაბჭოსა და ევროპარლამენტის რეკომენდაციასთან.

არაფორმალური განათლების ხელშეწყობის მიზნით, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ვებგვერდზე განთავსდა საინფორმაციო გზამკვლევები: „არაფორმალური განათლების აღიარების გზამკვლევი", „არაფორმალური განათლების აღიარების უფლების მოპოვების გზამკვლევი" და „არაფორმალური განათლების აღიარების კონსულტანტის გზამკვლევი". აღნიშნული გზამკვლევების მიზანია არაფორმალური განათლების აღიარების პროცესში დაეხმაროს როგორც არაფორმალური განათლების აღიარებით დაინტერესებულ პირებს, ასევე არაფორმალური განათლების აღიარებაზე პასუხისმგებელ დაწესებულებას. გზამკვლევში მოცემულია ინფორმაცია არაფორმალური განათლების აღიარების პროცესისა და ეტაპების შესახებ.

2020 წელს არაფორმალური განათლების აღიარების უფლება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით **მოიპოვა ორმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ** - შპს საზოგადოებრივმა კოლეჯმა „Nataly Academy" (სილამაზის მომსახურების მიმართულება) და შპს „თეგეტა აკადემიამ" (მსუბუქი ავტომანქანის შეკეთების მიმართულება) პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროფესიული მომზადების პროგრამის/პროფესიული გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლების ფარგლებში და შესაბამისი ვადით. https://eqe.ge/ka/page/static/873/araformaluri-ganatlebis-aghiareba

[3.5.2] საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოსა და ახალი ტექნოლოგიების ლაბორატორიის - ჯეოლაბის (GeoLab) ერთობლივი პროექტის ფარგლებში, **არაფორმალური განათლების პროგრამების ხელშეწყობის მიზნით,** 2020 წლის ივლისიდან თბილისსა და საქართველოს 9 რეგიონში დაიწყო IT გადამზადების კურსი გრაფიკულ დიზაინში, რომელიც გაგრძელდა სრულად ონლაინ 11 კვირის განმავლობაში, კურსში მონაწილეობა მიიღო 250-ზე მეტმა ბენეფიციარმა.

სააგენტოს ორგანიზებით, საქართველოს 5 რეგიონში, განხორციელდა პროექტი „როგორ შევქმნათ სტარტაპი". პირველ ეტაპზე პროექტს უმასპინძლა თელავისა და ზუგდიდის რეგიონალურმა ცენტრებმა, ხოლო მეორე ეტაპზე ნოემბერსა და დეკემბერში პროექტს კასპისა და ბათუმის ინოვაციური ცენტრი და ტექნოპარკი მასპინძლობდა. პროექტებში მონაწილეობა მიიღეს კახეთის, სამეგრელოს, აჭარის, გურიისა და შიდა ქართლის რეგიონში მცხოვრებმა ახალგაზრდებმა - მე-10, მე-11 და მე-12 კლასის მოსწავლეებმა და სტუდენტებმა. პროექტი მიზნად ისახავდა ახალგაზრდებში დარგის პოპულარიზაციას, მსოფლიო ტრენდების გაცნობას და მათი იდეების განხორციელების ხელშეწყობას. კურსის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი აქტივობები: პროექტზე გუნდურად მუშაობა, ბაზრის კვლევა, პროდუქტის ტექნიკური აღწერის მომზადება და პრეზენტაცია, სხვადასხვა

ბიზნეს მოდელების განხილვა და დისკუსიები, ფინალური პრეზენტაციები და ა.შ. პროექტი განხორციელდა Kings Georgia-სთან ერთად და კურსს უძღვებიან საქართველოს წამყვანი და გამოცდილი ტრენერები, რომელთაც სტარტაპებთან მუშაობის მრავალწლიანი გამოცდილება აქვთ. კურსი იმართება ონლაინ რეჟიმში, ხოლო შემაჯამებელი შეხვედრები - რეგიონალურ ტექნო პარკებში. პროექტის ფარგლებში შეირჩეულ იქნა 50-მდე წარმატებული მონაწილე თითოეული რეგიონიდან.

სააგენტომ, ციფრული ინდუსტრიის აკადემიასთან ერთად, საქართველოს 8 რეგიონსა და თბილისში განახორციელა გადამზადების ახალ პროგრამა. პროგრამაზე რეგისტრირებული და შერჩეული კანდიდატები დაესწრნენ სოციალური მედიის მართვისა და ქოფირაითინგის კურსს.

აღსანიშნავია, რომ კურსი სრულიად უფასო იყო და ჩატარდა ონლაინ, ვირტუალურ გარემოში. აღნიშული კურსი ფარგლებში სტუდენტებმა შეასწავლეს სოციალური მედიის ძირითად პრინციპები, პლატფორმების შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენება, კონტენტ სტრატეგიის წერა, ეფექტური კონტენტის გენერირება, სწორი საკომუნიკაციო ენით საუბარი, ეფექტური ქოფის წერა, იდეების გენერირებისა და განხორციელების პროცესი. კურსი წარმატებით გაიარა 200-ზე მეტმა ბენეფიციარმა თბილისის და საქართველოს 8 რეგიონიდან (ახმეტა, გურჯაანი, თელავი, ლანჩხუთი, რუხი, ზუგდიდი, კასპი, ბათუმი და სხვ.).

მიმდინარე წლის დეკემბრში საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააააგენტომ, რაჭა-ლეჩხუმის რეგიონში, „Novel Technology"-სთან პარტნიორობით, განახორციელა 10 დღიანი მოსამზადებელი კურსი, პროგრამირების და ტექნოლოგიების საწყისებზე.

10 დღიანი ბუთქემბის მიზანი იყო, რაჭის რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდების ცნობიერების ამაღლება, მათი ენტერპრენარული უნარებისა და ინოვაციური აზროვნების სტიმულირება და სამომავლო ხელშეწყობა დასაქმების მიმართულებით. ინტენსიურ ტრენინგ კურსი გაიარა 50-მდე წარმატებულმა ახალგაზრდამ, რაჭის რეგიონიდან. მასში მონაწილოების მიღება იყო სრულიად უფასო და მას უძღვებოდნენ დარგის პროფესიონალები შემდეგი მიმართულებით: გრაფიკული დიზაინი, ხელოვნური ინტელექტი, ფრილანსინგი, ლიდერშიპი, ინოვაციური მეწარმეობა.

2020 წელს COVID 19-ისგან გამოწვეული პრობლემების საპასუხოდ, ჩატარდა ონლაინ ტრენინგები ციფრული წიგნიერების და ელექტრონული კომერციის მიმართულებით, რომელსაც დაესწრო 100-მდე მეწარმე საქართველოს სხვადასხვა რეგიონებიდან.

შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) მხარდაჭერით ჩატარდა ტრენინგები რეგიონალურ ტექნოპარკებში სახელწოდებით „დაიწყე და განავითარე შენი ბიზნესი“, რომელსაც ჯამში 130-მდე ადამიანი დაესწრო.

საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს, აწარმოე საქართველოსა და EPAM-ის მიერ გაიმართა ღონისძიება საქართველოში IT სექტორის განვითარების ხელშეწყობის მიმართულებით.

USAID-ის პროექტის „ზრდა საქართველოში“ მხარდაჭერით, 100-მდე მეწარმეს საქართველოს სხვადასხვა რეგიონში, რომლებმაც გაიარეს სააგენტოს ტრენინგები ელექტრონულ კომერციაში, დაუმზადდათ საკუთარი ვებ-გვერდები, ელექტრონული კომერციის ფუნქციონალით.

2020 წელს თანაბარი სოციალური და ეკონომიკური პირობებისა და შესაძლებლობების შექმნის ხელშესაწყობად, სსიპ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტომ, ინტერნეტ ვაუჩერების მეშვეობით, ფართოზოლოვან ინტერნეტში ჩართო საქართველოს მაღალმთიან დასახლებებში მცხოვრები 500-მდე სოციალურად დაუცველი ოჯახი.

3.6. მცირე და საშუალო მეწარმეობისთვის ტექნიკური დახმარების (TA) უზრუნველყოფა

[3.6.1] **სახელმწიფო პროგრამების ტექნიკური დახმარების უზრუნველყოფის ფარგლებში** სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ მიერ 2020 წელს ტექნიკური დახმარება გაეწია სააგენტოს პროგრამების შვიდ ბენეფიციარს, ჯამურად 52 809 ლარის ოდენობით.

[3.6.3] **სსიპ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ**, აქსელერატორის პროგრამის ფარგლებში საერთაშორისო კონკურსში გამარჯვებულ ამერიკულ კომპანია „500 Startups”-თან ხელი მოეწერა პარტნიორობის ხელშეკრულებას, ამასთან, გაფორმდა სამმხრივი მემორანდუმი სააგენტოს 500 Startups-სა და საქართველოს ბანკს შორის აქსელერატორის პროგრამის ბაზაზე საინვესტიციო ფონდის ჩამოყალიბების თაობაზე.

მაისში გამოცხადდა სტარტაპების აპლიკაციების მიღება, შერჩევის პროცესის დასრულებისთანავე - 16 ივნისიდან სტარტაპები შეუდგნენ 500 აქსელერატორის მენტორებთან ინტენსიურ მუშაობას დისტანციურად.

პირველი ნაკადის პროგრამის დასრულებისას ჩატარდა დემო დღე. პროგრამის ფარგლებში განისაზღვრა ორი დემო დღე - პირველი რეალურ სივრცეში ქართველ ინვესტორებთან, პარტნიორებთან და პრესასთან, ხოლო მეორე ვირტუალური - საზღვარგარეთ ინვესტორებთან, პარტნიორებთან და პრესასთან. პირველი ნაკადის პროგრამის მიმდინარეობისას მოხდა 10 მლნ ლარის ინვესტიციის მოზიდვა; პირველი კოჰორტის 15 კომპანიის ჯამურმა შემოსავალმა 1,000,000 აშშ დოლარი შეადგინა; პირველი კოჰორტის კომპანიებმა მოიზიდეს 118,000 მომხმარებელი; Facebook, Lyft,

Procredit Bank, Liberty Bank, Visa, Dalood, Pagefly და სხვ. არიან ის კომპანიები, რომლებიც გახდნენ პირველი კოჰორტის სტარტაპების კლიენტები.

Foundation Bootcamp მთლიანად ვირტუალურად ჩატარდა. აღნიშნული პროექტი დაიწყო 16 ნოემბერს და დამთავრდა 11 დეკემბერს. დეკემბრის თვეში ასევე დაიწყო პროექტი Remote Experimentation, რომელიც 2021 წლის იანვარში დასრულდება. აღნიშნული პროექტის ფარგლებში შერჩეული დაახლოებით 5-10 სტარტაპი გააგრძელებს პროგრამას Growth Intensive.

საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს სსიპ - შემოქმედებითი საქართველო, სსიპ - თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიასთან ერთად აქტიურად იყო ჩართული აკადემიის ბაზაზე **ონლაინ ბიზნეს ინკუბატორის** საპილოტე ვერსიის ამოქმედებასა და განვითარებაში. ინკუბატორის პროგრამის ფარგლებში, სსიპ-ის თანამშრომლებმა არაერთი შეხვედრა/პრეზენტაცია გამართეს ინკუბატორის მონაწილეებისათვის, ასევე, ჩართულნი იყვნენ ინკუბატორის მართვის პროცესში.

[3.6.4] საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატაში გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოებისა (GIZ) და ევროკავშირის პროექტის ხელშეწყობით დაინერგა **EFQM-ის წარმატების მოდელი.** EFQM-ის მოდელი ეფუძნება ევროპულ ფასეულობებს, რომელიც ეხმარება დაწესებულებებს, მიაღწიონ წარმატებას - უმაღლეს ხარისხს ყველა სფეროში. EFQM-ის მოდელის მიზანია დაეხმაროს საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებს, მათ შორის, საჯარო და კერძო დაწესებულებებს გაუმჯობესონ საკუთარი საქმიანობა EFQM-ის მოდელის გამოყენებით, რომელშიც ინტეგრირებულია ISO საერთაშორისო სტანდარტების ხარისხობრივი კომპონენტები. ხარისხის მართვის ევროპულ ფონდში გაწევრიანებულია 50 სხვადასხვა სექტორში მომუშავე 30 000-ზე მეტი ევროპული ორგანიზაცია, რომლებიც წარმატებით იყენებენ მოცემულ მოდელს საკუთარ საქმიანობაში.

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა აქტიურად ახდენს ხარისხის მართვის ევროპული ფონდის (EFQM) სტანდარტების პოპულარიზაციას, როგორც ჩატარებულ ფორუმებსა და გამოფენებზე, ასევე პალატის DCFTA საინფორმაციო ცენტრებისა და რეგიონული პალატების მეშვეობით. აღნიშნული ღონისძიებების ფარგლებში განხორციელდა პალატის ახალი წევრების ინფორმირება EFQM მოდელის უპირატესობების შესახებ.

3.7. საგანმანათლებლო კომპონენტის განვითარება "აწარმოე საქართველოში" სააგენტოს ვებ-გვერდზე

[3.7.1] მეწარმეობის მხარდამჭერი ღონისძიებების ფარგლებში სსიპ „აწარმოე საქართველოში" ახორციელებს **საგანმანათლებლო მასალების, ბიზნეს-ლიტერატურის შეგროვებას და განთავსებას სააგენტოს ვებ-გვერდზე.** სააგენტომ, USAID-ის პროექტის „მმართველობა განვითარებისთვის" (G4G) ფარგლებში, კომპანია „მაინდვორსთან" ერთად შეიმუშავა ანიმირებული ონლაინ ტრენინგი ექსპორტის საბაზისო საკითხებზე, რომელიც აერთიანებს ექსპორტთან დაკავშირებულ 10 მოდულს, როგორიცაა, საექსპორტო პოტენციალის შეფასება, საქართველოს საგარეო ვაჭრობის პოლიტიკა, პოტენციური ბაზრის კვლევა, ბაზარზე შეღწევის სტრატეგია და გეგმა, საუკეთესო პარტნიორის შერჩევა, ინკოტერმსი, საერთაშორისო მოლაპარაკებები და კონტრაქტები, საექსპორტო პროდუქტის მომზადება, ლოგისტიკის დაგეგმვა, ბაზრის შენარჩუნება და განვითარება. ონლაინ ტრენინგი დისტანციური სწავლების კარგ შესაძლებლობას იძლევა ექსპორტით დაინტერესებული პირებისთვის. ამასთან, იგი უადვილებს რეგიონში მცხოვრებ პირს დისტანციურად, სახლიდან ან ოფისიდან გაუსვლელად დაეუფლოს ცოდნას და მიიღოს მისთვის საჭირო ინფორმაცია. მოდულები განთავსებულია „აწარმოე საქართველოში" სააგენტოს საიტზე » *დირექტორიაში „ექსპორტი"* » *ბლოკში „ონლაინ ტრენინგი".* ონლაინ ტრენინგებს თან ახლავს PDF საკითხავი ვერსია. ბმული: http://www.enterprisegeorgia.gov.ge/ka/export-management-fundamentals.

3.8. მეწარმეების მომსახურების ცენტრის მომსახურებების პორტფელის გაფართოება

[3.8.1] სსიპ „აწარმოე საქართველოში" **მეწარმეებს სხვადასხვა სერვისებით, მათ შორის, ბიბლიოთეკით, კომპიუტერული სივრცით უზრუნველყოფას სთავაზობს.** კერძოდ, სააგენტოს მომსახურების ცენტრი უზრუნველყოფილია სხვადასხვა რესურსით, რომელიც მეწარმე სუბიექტებს და ეკონომიკური საქმიანობით დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობას აძლევს უსასყიდლოდ ისარგებლონ სერვის ცენტრის ინფრასტრუქტურით, როგორიცაა წვდომა ელექტრონულ და ბეჭდურ რესურსებზე, ბიბლიოთეკით, რომელიც მოიცავს სხვადასხვა ტიპის ბიზნეს ლიტერატურას და ასევე, შეხვედრების/საკონფერენციო სივრცით. 2020 წელს სატელეფონო ზარის, ვიზიტის და ონლაინ ჩატის საშუალებით 51 700 კონსულტაცია/მომსახურება გაეწია დაინტერესებულ პირებს.

3.9. ქალთა მეწარმეობის წახალისება

[3.9.1] **სახელმწიფო პროგრამებში ქალთა მონაწილეობის ხელშეწყობის მიზნით**, გაეროს ქალთა ორგანიზაციის პროექტის „ერთობლივი ძალისხმევა ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის საქართველოში“ ხელშეწყობითა და დახმარებით, სააგენტომ „აწარმოე საქართველოში“ გენდერული თანასწორობის სტრატეგია და სამწლიანი სამოქმედო გეგმა შეიმუშავა. სტრატეგიის მიზანია სააგენტოს საქმიანობაში გენდერული თანასწორობის სახელმწიფო პოლიტიკის გატარებისა და ინტეგრირების ხელშეწყობა. სტრატეგიის ძირითად პრინციპებს შორის აღსანიშნავია **გენდერული თანასწორობის გაძლიერება და დაცვა**, რაც გულისხმობს გენდერული მეინსტრიმინგის განხორციელებას სააგენტოს პოლიტიკის შემუშავების, განხორციელებისა და მონიტორინგის პროცესებში. აღნიშნული ღონისძიების ფარგლებში დაიხვეწება სააგენტოში სქესის ნიშნით დანაწევრებული მონაცემების შეგროვება და ანალიზი, რაც ხელს შეუწყობს სააგენტოს საქმიანობაში ქალების, კაცების, ბიჭებისა და გოგოების განსხვავებულ საჭიროებებისა და პრიორიტეტების უკეთ განსაზღვრას.

საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ მცირე საგრანტო პროგრამის ფარგლებში დაფინანსებული 15 ბენეფიციარიდან **2 ქალი ბენეფიციარი იყო.** თანადაფინანსების 650,000 ლარიანი გრანტების ფარგლებში 10 გამარჯვებული სტარტაპიდან **2 იყო ქალი დამფუძნებელი** (ძირითადი წილის მფლობელი); 100,000 ლარიანი გრანტის ფარგლებში 39 გამარჯვებული სტარტაპიდან **8 იყო ქალი დამფუძნებელი** (ძირითადი წილის მფლობელი).

სააგენტოს ხელშეწყობით, საქართველო 5 ქვეყანასთან ერთად (სომხეთი, აზერბაიჯანი, მოლდოვა, ბელარუსი და უკრაინა) ჩართულია პროგრამაში **EU4Digital “Promoting women in Technology”**. პროგრამის ძირითადი მიზანია დაგეგმოს მენტორობის პროგრამა ქალებისთვის. ისრაელის საელჩოს მხარდაჭერით სააგენტომ ორგანიზება გაუწია MASHAV-ის ვებინარს, თემებზე: ქალი სტარტაპში, ბიზნეს მოდელი დამწყებთათვის და პარტნიორები & კონკურენტები.

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ინიციატივით 16 ივლისს ჩატარდა საინფორმაციო სესია ქალთა გაძლიერების პრინციპების თაობაზე. საინფორმაციო სესია განხორციელდა გაეროს ქალთა ორგანიზაციის პროექტის „ერთობლივი ძალისხმევა ქალთა ეკონომიკური გაძლიერებისთვის საქართველოში” ფარგლებში და მისი მიზანია ხელი შეუწყოს კერძო სექტორის აქტიურ ჩართვას ქალთა ეკონომიკური გაძლიერების საქმეში. პროექტის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი ღონისძიებები:

- 100 კომპანიას ჩაუტარდა ტრენინგი ქალთა ეკონომიკური უფლებებისა და შესაძლებლობის შესახებ ცნობადობის გაზრდის მიზნით;
- 15 კომპანიამ მოაწერა ხელი ქალთა გაძლიერების პრინციპების - WEP-ის დანერგვაზე (ზემოაღნიშნული ტრენინგების გარდა, 13 კომპანიის

თანამშრომლებს დამატებით ჩაუტარდათ ტრენინგები სხვადასხვა საკითხების, მაგ: ციფრული მარკეტინგი და გაყიდვები, პროექტების მართვა და სხვა - ჯამში ტრენინგი ჩაუტარდა 84 დასაქმებულს);

- პალატაში დაინერგა საკონსულტაციო მომსახურება, პალატის 5 თანამშრომელს შეუძლია გაუწიოს კომპანიებს კონსულტაცია WEP-ის დანერგვის მექანიზმის შემუშავების თაობაზე.

3.10. მცირე და საშუალო საწარმოებში „მწვანე პრაქტიკის“ წახალისება

[3.10.1] 2019 წლის დეკემბრიდან ძალაში შევიდა საქართველოს ნარჩენების მართვის კოდექსით განსაზღვრული „მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულება (მგვ)“, რომელიც კონკრეტული პროდუქციის მწარმოებლებსა და იმპორტიორებს აკისრებს პასუხისმგებლობას სპეციფიკური ნარჩენების შეგროვებასა და დამუშავებაზე. კერძოდ, ეკისრებათ ვალდებულება უზრუნველყონ მათ მიერ ბაზარზე განთავსებული პროდუქტის გამოყენების შემდგომ წარმოქმნილი ნარჩენების სეპარირებული შეგროვება, ტრანსპორტირება, რეციკლირება, აღდგენა და გარემოსათვის უსაფრთხო განთავსება.

მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) დანერგვის მიზნით, უმნიშვნელოვანესია პროცესს დაქვემდებარებული სუბიექტების შესაძლებლობების გაძლიერება და ცნობიერების ამაღლება. საზოგადოების ინფორმირებისა და ცნობიერების ამაღლების მიზნით, მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) შესახებ სოციალური კამპანიის ფარგლებში მომზადდა და გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განთლების ცენტრის სოციალური ქსელის მეშვეობით გავრცელდა 5 საინფორმაციო-საგანმანათლებლო ბანერი: ზოგადი ინფორმაცია მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულებების (https://cutt.ly/Rf8pq2H), საბურავების (https://cutt.ly/df8puxP), ნარჩენი ზეთების (https://cutt.ly/Wf8o7AO), ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობების (https://cutt.ly/af8prrZ), ბატარეებისა და აკუმულატორების (https://cutt.ly/If8i7Fr) ნარჩენების მართვის შესახებ (წვდომა - სოციალური ქსელის 8,437 მომხმარებელი).

გაიმართა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის შეხვედრა დიპლომატიური კორპუსის, საერთაშორისო ორგანიზაციების და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლებთან გარემოსდაცვითი საკანონმდებლო რეფორმების, მათ შორის მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულებასთან (EPR) დაკავშირებით უახლესი პროგრესისა და მიმდინარე თუ დაგეგმილი ღონისძიებების შესახებ (40 პირი). ასევე, დაინტერსებული მხარეების ჩართულობით ჩატარებულია საკონსულტაციო და სამუშაო შეხვედრები.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში მიმდინარე ევროკავშირის ტექნიკური დახმარების პროექტის ფარგლებში, საერთაშორისო

ექსპერტების ჩართულობით, სამინისტრომ შეიმუშავა და საქართველოს მთავრობის მიერ 2020 წლის 25 მაისს მიღებულ იქნა ოთხი ტექნიკური რეგლამენტი: „ელექტრო და ელექტრონული მოწყობილობები ნარჩენების მართვის შესახებ“; „ბატარეებისა და აკუმულატორების ნარჩენების მართვის შესახებ“; „ნარჩენი ზეთის მართვის შესახებ“ და „საბურავების ნარჩენის მართვის შესახებ“. შემუშავებულია ტექნიკური რეგლამენტის პროექტები: „ხმარებიდან ამოღებული სატრანსპორტო საშუალებების მართვის შესახებ“ და „შეფუთვის ნარჩენების მართვის შესახებ“. მიღებული ტექნიკური რეგლამენტების შესაბამისად შემუშავდა და მინისტრის 2020 წლის 31 აგვისტოს ბრძანებებით დამტკიცდა 4 რეგისტრაციის წესი. შეიქმნა მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების რეესტრი.

[3.10.2] **ნარჩენების მონაცემთა ბაზის ელექტრონული სისტემასთან დაკავშირებით**, 2018 წლის 1 იანვრიდან საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში ფუნქციონირებს ნარჩენების მართვის ელექტრონული სისტემა, სადაც მიმდინარეობს ნარჩენების მართვასთან დაკავშირებული საქმიანობების რეგისტრაცია, ასევე ხორციელდება ნარჩენების წლიური აღრიცხვა-ანგარიშგების ფორმების, კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმებისა და სახიფათო ნარჩენების ტრანსპორტირების ფორმების წარდგენა. ნარჩენების მართვის რეგისტრაციის წესი და პირობები განისაზღვრება საქართველოს მთავრობის 2016 წლის 29 მარტის N144 დადგენილებით.

[3.10.3] სსიპ „გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი“ ნარჩენების მართვასთან დაკავშირებით ახორციელებს **სასწავლო კურსს “გარემოსდაცვითი მმართველი”,** რომლის მიზანია ნარჩენების მართვის სფეროში კანონით დაკისრებული მოთხოვნებისა და თანამედროვე სამყაროს სტანდარტების გათვალისწინებით კომპანიებისთვის შესაბამისი კადრების გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება - საანგარიშო პერიოდი სასწავლო კურსი წარმატებით გაიარა 40-მა მონაწილემ.

COVID-19 პანდემიის ფარგლებში განხორციელებული ანტიკრიზისული ღონისძიებები

სსიპ „აწარმოე საქართველოში“ მიერ, COVID-19 გავრცელებიდან გამომდინარე, ეკონომიკის წინაშე არსებული ახალი გამოწვევების საპასუხოდ, გაფართოვდა ბიზნესის მხარდაჭერის არსებული პროგრამები (ინდუსტრიული ნაწილი, საკრედიტო-საგარანტიო სქემა და მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობა - მცირე გრანტები), ასევე ძალაში შევიდა პროგრამები მცირე, საშუალო და საოჯახო სასტუმრო და სარესტორნო ინდუსტრიების ხელშეწყობისთვის და პროგრამები ტურისტული სექტორის, ღონისძიებების ორგანიზატორ კომპანიათა და იპოთეკური კრედიტების მხარდასაჭერად.

პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ინდუსტრიული ნაწილის ფარგლებში სესხის თანადაფინანსების ვადა გაიზარდა 36 თვემდე, სესხის მინიმალური მოცულობა შემცირდა 50 000 ლარამდე, მაქსიმალური კი გაიზარდა 10 მილიონ ლარამდე.

საკრედიტო-საგარანტიო სქემაში ახალი სესხების ძირი თანხის 70-დან 90%-მდე გაიზარდა გარანტირებული თანხების მოცულობა, ბანკების გარდა ფინანსური ინსტიტუტის როლში დაემატა მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, დაიშვა კომერციულ ბანკებში პროგრამის გარეთ გაცემული სესხის პროგრამის ფარგლებში რესტრუქტურიზების და რეფინანსირების გაკეთება. რესტრუქტურტურიზებული სესხის შემთხვევაში ხდება ძირი თანხის 30%-ის გარანტირება.

მიკრო და მცირე გრანტების პროგრამაში განხორციელებული ცვლილებების შედეგად პროგრამის ფარგლებში გაფართოვდა ბიზნესის ოპერირების ლოკაციები (მოიცვა მთელი ქვეყნის ტერიტორია), მოხდა საგრანტო თანხების მაქსიმალური მოცულობის ზრდა 20,000 ლარიდან 30,000 ლარამდე. ასევე, მნიშვნელოვნად გაიზარდა დასაფინანსებელი პროექტების რაოდენობაც და საქმიანობის სახეების ჩამონათვალი (300-ზე მეტი სახის საქმიანობა).

პანდემიის შედეგად ყველაზე მეტად დაზარალებული ტურიზმის სექტორის მხარდაჭერის და გაჯანსაღების მიზნით ამოქმედდა პროგრამა „თანადაფინანსების მექანიზმი მცირე და საოჯახო სასტუმრო ინდუსტრიის ხელშეწყობისთვის“. პროგრამა გულისხმობს სასტუმროებისთვის სესხის პროცენტის თანადაფინანსებას. საანგარიშო პერიოდში აღნიშნული მიმართულებით 3,254 სესხზე გაიცა თანადაფინანსება 45.6 მლნ. ლარის ოდენობით.

შეიქმნა პროგრამა სახელწოდებით „თანადაფინანსების მექანიზმი სარესტორნო ინდუსტრიის ხელშეწყობისთვის“. პროგრამა გულისხმობს სესხისა და სალიზინგო პროექტის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსებას. აღნიშნულის ფარგლებში, 300 ბენეფიციარის 420 სესხზე გადაირიცხა 4.7 მლნ ლარი.

ასევე, ტურისტული სექტორის დახმარების მიზნით შეიქმნა პროგრამა, კერძოდ კი, საერთაშორისო საჰაერო ტრანსპორტის (IATA) აკრედიტაციის მქონე კომპანიებისა და გენერალური გაყიდვების აგენტი კომპანიების მხარდასაჭერად. პროგრამა გულისხმობს გარანტის მიერ გაცემული საბანკო გარანტიის საზღაურის სუბსიდირებას. დახმარება გაეწია 33 კომპანიას 39 გარანტიაზე. ჯამში გადარიცხულია 243.6 ათასი ლარის ექვივალენტი.

ამასთან, შემუშავდა პროგრამა „ღონისძიებების ორგანიზატორთა მიერ კომერციული ბანკისგან მიღებული სესხის სუბსიდირების სქემა", რომლის ფარგლებშიც 41 ბენეფიციარის 55 სესხზე გადაირიცხა 669.9 ათასი ლარი.

სამშენებლო სექტორის ხელშემწყობი პროგრამის ფარგლებში შემუშავდა იპოთეკური კრედიტების მხარდამჭერი პროგრამა, რომელიც მოიცავს ორ კომპონენტს:

1. საგარანტიო მექანიზმი
2. პროცენტის სუბსიდირება

საანგარიშო პერიოდში საგარანტიო მექანიზმით ისარგებლა 2,072 ბენეფიციარმა, ხოლო პროცენტის სუბსიდირების მექანიზმით - 8,443 მსესხებელმა. სუბსიდირებული სესხების მოცულობამ 827.9 მლნ ლარი, ხოლო გარანტირებული სესხების მოცულობამ 230.4 მლნ. ლარი შეადგინა.

სოფლის მეურნეობის ანტიკრიზისული გეგმის „ზრუნვა სოფელზე და ფერმერებზე“ ფარგლებში, სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში ჩართული ფერმერები და მეწარმეები სახელმწიფოსგან მნიშვნელოვან მხარდაჭერას იღებენ.

2020 წლის მონაცემებით:

- სასოფლო-სამეურნეო მიწის მესაკუთრეთა სტიმულირების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, 246,800-ზე მეტ ფერმერს დაერიცხა აგროქულები. დარიცხული სუბსიდიის ოდენობა 31.9 მლნ ლარს აჭარბებს, საიდანაც სპეციალიზირებულ სავაჭრო ობიექტებში უკვე განაღდებულია 27.8 მლნ ლარზე მეტი. აგროქულების დარიცხვა გრძელდება.
- აგროდიზელით ხელშეწყობის პროგრამით, 156,800-ზე მეტმა ბენეფიციარმა 30,500 ტონამდე მოცულობის აგროდიზელის ფასდაკლების ბარათები მიიღო. იმ ფერმერებმა, რომლებმაც უკვე გაანაღდეს ფასდაკლების ბარათები ჯამურად, 6.8 მლნ. ლარზე მეტი თანხა დაზოგეს.
- აგროდაზღვევის პროგრამის ფარგლებში 2020 წლის 31 ოქტომბრის მონაცემებით, გაცემულია 17,000-ზე მეტი პოლისი, დაზღვეულია 18,000 ჰექტარზე მეტი მიწის ფართობი, რაც გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 31%-ით მეტია. დაზღვეული მოსავლის ღირებულება 161 მლნ. ლარს აღემატება. სულ სადაზღვეო პრემიამ შეადგინა 13.4 მლნ. ლარი, საიდანაც სააგენტოს თანადაფინანსებაა 8.4 მლნ. ლარზე მეტი.
- მერძევეობის დარგის მოდერნიზაციის და ბაზარზე წვდომის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში, იმერეთის, კახეთის, სამეგრელო და ზემო სვანეთის, რაჭა-ლეჩხუმის და ქვემო სვანეთის, სამცხე-ჯავახეთისა და ქვემო ქართლის რეგიონებში გაფორმებულია 232 ხელშეკრულება, სახელმწიფოს თანადაფინანსებამ შეადგინა 15.6 მლნ. ლარზე მეტი, ხოლო განსახორციელებელმა ინვესტიციამ კი 21.6 მლნ. ლარზე მეტი.
- შეღავათიანი აგროკრედიტის პროგრამით, ერთწლოვანი კულტურების მოყვანის მიმდინარე ხარჯების დაფინანსების უზრუნველყოფისათვის, სახელმწიფო 6 თვის საპროცენტო განაკვეთს სრულად ფარავს. გაცემულია2,709 აგროსესხი, სესხის თანხა, ჯამურად, 57.3 მლნ ლარს აჭარბებს, მათ შორის, სააგენტოს მიერ პროცენტის გასაცემი თანადაფინანსება 4.4 მლნ. ლარს აჭარბებს.

- აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამის ფარგლებში, გაფორმებულია 384 ხელშეკრულება, სახელმწიფოს თანადაფინანსებამ შეადგინა 9.6 მლნ. ლარზე მეტი, ხოლო განსახორციელებელმა ინვესტიციამ კი 20.1 მლნ. ლარზე მეტი. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკის ღირებულების 50% დაუფინანსდა 252 ბენეფიციარს, ხოლო 130 ბენეფიციარს კი სასათბურე მეურნეობის მოწყობისთვის და მოდერნიზებისთვის შესასყიდი ძირითადი საშუალებების შეძენა და მათი სამონტაჟო სამუშაოები, ასევე, ერთწლოვანი სასოფლო-სამეურნეო კულტურებისთვის სარწყავი სისტემის შესყიდვა და მონტაჟი.

სულ, სოფლის მეურნეობის ანტიკრიზისული გეგმის ჭრილში, პროექტების/პროგრამების განხორციელებით დადგა შემდეგი შედეგი:

- სულ იმ ბენეფიციარების რაოდენობების ჯამმა, ვინც ანტიკრიზისული პროექტებით/პროგრამებით ისარგებლა, შეადგინა 425 ათასზე მეტი ბენეფიციარი (ფერმერმა/სასოფლო-სამეურნეო მიწის მესაკუთრე), რომლებმაც ჯამურად მიიღეს 69.9 მლნ. ლარის მოცულობის სარგებელი;
- სოფლის მეურნეობაში განხორციელდება 144.3 მლნ. ლარის ინვესტიცია;
- ფერმერებმა/სასოფლო-სამეურნეო მიწის მესაკუთრეებმა, მიიღეს 30.5 ათას ტონამდე მოცულობის აგროდიზელის შესაძენი ფასდაკლების ბარათები;
- 18,000 ჰა-მდე ფართობზე განხორციელდა 161 მლნ ლარზე მეტი მოსავლის დაზღვევა.

ფერმერების მაქსიმალური ხელშეწყობის მიზნით, „არასტანდარტული ვაშლის რეალიზაციის ხელშეწყობის“ სახელმწიფო პროგრამა ამოქმედდა, პროგრამაში ჩართული 14 კომპანიის მიერ გადამუშავებულია 50 ათას ტონამდე არასტანდარტული ვაშლი. შედეგად, ფერმერებმა 11 მლნ. ლარზე მეტი შემოსავალი მიიღეს.

2020 წელს 10 ჰა-მდე ფართობზე სამელიორაციო მომსახურების საფასურის გადახდისგან გათავისუფლდა 35,000-მდე ბენეფიციარი. შეღავათის ოდენობამ შეადგინა 3,9 მილიონი ლარი. 2020 წელს 42,000-მდე ბენეფიციარს ჩამოეწერა სამელიორაციო მომსახურების და სატბორე მეურნეობების წყლით უზრუნველყოფის შედეგად წარმოქმნილი 8 მლნ. ლარამდე დავალიანება.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურეობის სამინისტროს სურსათის ეროვნულმა სააგენტომ, ჯანდაცვის სპეციალისტებთან ერთად, შეიმუშავა და 13 მარტიდან ბიზნესოპერატორებს რეგულარულად აწვდიდა პანდემიის პირობებში საქმიანობის დროს გასათვალისწინებელ რეკომენდაციებს. სავაჭრო ქსელებში სააგენტო უწყვეტად ახორციელებს ჰიგიენის წესების დაცვის მონიტორინგს; საგანგებო მდგომარეობის პირობებში ინფორმაცია მიეწოდა და გადამოწმდა 5,520 ობიექტი (საზოგადოებრივი კვების ობიექტები, მარკეტები და სხვა).

მონიტორინგისა და შეფასების შედეგები

2020 წელს შესრულდა მესამე სტრატეგიული მიმართულების შესაბამისი „შესრულების ინდიკატორები“, კერძოდ:

- ✓ მომზადდა „უნარებზე საწარმოთა მოთხოვნის კვლევა;
- ✓ მომზადდა შრომის ბაზრის წლიური ანალიზი;
- ✓ შემუშავდა კარიერის დაგეგმვისა და პროფორიენტაციის ინტეგრირებული ხედვა;
- ✓ განხორციელდა „პროფესიული მომზადება-გადამზადების და კვალიფიკაციის ამაღლების” და „დასაქმების ხელშეწყობის მომსახურებათა განვითარების“ სახელმწიფო პროგრამები;
- ✓ სამუშაოს მაძიებლებს გაეწიათ კონსულტირება დასაქმების შესაძლებლობებსა და სერვისებთან დაკავშირებით;
- ✓ გადამზადდა და დასაქმდნენ პროგრამის ბენეფიციარები, მათ შორის, მოწყვლადი ჯგუფებიდან;
- ✓ განათლების სისტემაში LLEL-ის დანერგვის მიზნით განხორციელდა შესაბამისი სამოქმედო გეგმის განახლება;
- ✓ პროფესიულმა სტუდენტებმა გაიარეს მეწარმეობის მოდული;
- ✓ ჩატარდა LLEL-ის დანერგვის მიზნით შექმნილი უწყებათაშორისი სამუშაო ჯგუფის 2 სხდომა;
- ✓ სახელმწიფო პროფესიულ სასწავლებლებში პილოტირებულია პროექტებზე დაფუძნებული სწავლება;
- ✓ პროფესიულ განათლების საბჭოში და თემატურ ჯგუფებში ჩართულია მცირე და საშუალო საწარმოების წარმომადგენლები;
- ✓ მომზადდა დარგობრივი საბჭოების ანგარიშები და ოქმები;
- ✓ პროფესიული განათლების სისტემაში სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მიდგომით განხორციელდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამები;
- ✓ არაფორმალური განათლების პროგრამების ხელშეწყობის მიზნით განხორციელდა IT გადამზადების კურსები;
- ✓ თბილისსა და რეგიონებში ინოვაციების ცენტრების ბაზაზე ჩატარებულია სასწავლო პროგრამები;
- ✓ განხორციელდა აქტივობები EFQM – წარმატების მოდელის პოპულარიზაციის მიზნით;

- ✓ ქალთა მეწარმეობის ხელშეწყობის მიზნით შემუშავდა გენდერული თანასწორობის სტრატეგია და სამწლიანი სამოქმედო გეგმა;
- ✓ ქალთა მეწარმეობის ხელშეწყობის მიზნით განხორციელდა ღონისძიებები;
- ✓ მწარმოებლის გაფართოებული ვალდებულების (EPR) დანერგვის მიზნით პროცესს დაქვემდებარებული სუბიექტების შესაძლებლობების გაძლიერების და ცნობიერების ამაღლების მიზნით ჩატარდა შეხვედრები;
- ✓ ნარჩენების აღრიცხვა-ანგარიშგების მიზნით მეწარმეებისთვის ჩატარდა კონსულტაციები და გაიმართა შეხვედრები.

მესამე სტრატეგიული მიმართულების შესრულების შეფასება

დასაქმების ზრდა და სტრუქტურული უმუშევრობის შემცირება საქართველოს ეკონომიკის ერთ-ერთ მთავარ გამოწვევას წარმოადგენს. ამასთან, კერძო სექტორის განვითარება უმუშევრობის შემცირების და დასაქმების ზრდის ყველაზე ეფექტიან მექანიზმს წარმოადგენს. ეფექტიანი ეკონომიკური პოლიტიკის განსახორციელებლად, მნიშვნელოვანია საქართველოს შრომის ბაზრის ანალიზი, შრომის ბაზრის მოთხოვნის ტენდენციების შესწავლა და მის წინაშე არსებული გამოწვევების გამოვლენა. ამასთან, უმნიშვნელოვანესია სწორი პროფესიული და საგანმანათლებლო პოლიტიკის შემუშავება და მისი პრაქტიკაში დანერგვა, რომელსაც გადამწყვეტი როლი უკავია შრომის ბაზარზე მოთხოვნა-მიწოდებას შორის დისბალანსის და სტრუქტურული უმუშევრობის შემცირების თვალსაზრისით. პროფესიული განათლების ხარისხის ზრდა და ხელმისაწვდომობა კი მნიშვნელოვნად უწყობს ხელს პროფესიული განათლების მიმზიდველობას, რაც პიროვნული და კარიერული ზრდის მნიშვნელოვანი გზა და დასაქმების ხელშემწყობი ფაქტორია.

პროფესიული განათლება და დასაქმება

საქართველოს პროფესიული განათლების სისტემის მიზანია შექმნას ერთიანი სივრცე მთელი სიცოცხლის განმავლობაში სწავლისათვის, ხელი შეუწყოს ინდივიდის პროფესიულ განვითარებას, მოამზადოს შრომის ბაზარზე ორიენტირებული, კონკურენტუნარიანი, კვალიფიციური კადრები, ხელი შეუწყოს პირის დასაქმებას, მათ შორის თვითდასაქმებას.

ბოლო წლების განმავლობაში მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა პროფესიულ განათლებაზე ხელმისაწვდომობა. 2013 წლიდან, სახელმწიფო პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სწავლა სრულად ფინანსდება სახელმწიფოს მიერ, ხოლო 2019 წლის საშემოდგომო მიღებიდან ვაუჩერულ დაფინანსებაში ჩაერთვნენ კერძო პროვაიდერები პრიორიტეტული მიმართულებების ფარგლებში. დაარსდა ახალი კოლეჯები/ფილიალები, განახლდა არსებული კოლეჯების ინფრასტრუქტურა, დაინერგა „ინტეგრირებული“ პროგრამები, შეიცვალა ჩარიცხვის არსებული წესი და ა.შ.

პროფესიულ განათლებაში კერძო სექტორის მონაწილეობის გაზრდის მიზნით გრძელდება მუშაობა დუალური განათლების მიდგომისა და საჯარო და კერძო პარტნიორობის მოდელის დანერგვის ხელშეწყობის მიმართულებით. გაიზარდა დუალური მიდგომით დანერგილი პროგრამების რაოდენობა. კერძოდ, 2020 წელს, 4-მა პროფესიულმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ მოიპოვა 13 პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის დუალური მიდგომით განხორციელების უფლება.

ზრდასრულთა განათლების სისტემის განვითარების შედეგად დაიწყო პროფესიული მომზადების/გადამზადების კურსების განხორციელება ფორმალური განათლების ფარგლებში, რომელიც სრულად/ნაწილობრივ ფინანსდება სახელმწიფოს მიერ. სისტემის განვითარებამ, შესაძლებლობა მისცა, ერთი მხრივ, კერძო სექტორს, ჩაერთოს პროფესიული განათლების სისტემაში და საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ან/და დამოუკიდებლად მოამზადოს კადრები, შრომის ბაზარზე არსებული საჭიროებების გათვალისწინებით, ხოლო მეორე მხრივ, მოსახლეობას შეუქმნა კვალიფიკაციის ამაღლების და კონკრეტული მიმართულებით კომპეტენციების განვითარების შესაძლებლობა. 2020 წელს პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამის განხორციელების უფლება მოიპოვა/დაიდასტურა 39 იურიდიულმა პირმა (მათ შორის, 16 - სახელმწიფო, 23 - კერძო) 107 პროფესიული მომზადება/გადამზადების პროგრამაზე.

რეფორმის ფარგლებში, ასევე, შემუშავდა მეწარმეობის მოდული, რომლის გავლაც სავალდებულო გახდა ყველა პროფესიული სტუდენტისთვის, აღნიშნული მოდულის ევროპული კომპეტენციების ჩარჩოსთან (EntreComp) თავსებადობის მიზნით, განხორციელდა მისი რევიზია და გადამუშავებული მოდული შემდგომი განხილვისა და დანერგვისათვის წარედგინა სსიპ „განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს“. 2017 წელს საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრომ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოსთან თანამშრომლობით 14 პროფესიულ კოლეჯში დააარსა ინოვაციების ლაბორატორიები (FABLAB), რომელიც აძლიერებს პროფესიული სტუდენტების სამეწარმეო და ინოვაციურ აზროვნებას. ამასთან, გაეროს განვითარების პროგრამის მხარდაჭერით, შემუშავდა პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებში სამეწარმეო კულტურის დანერგვის კონცეფცია. 2020 წელს შეირჩა კომპანია, რომელიც მხარდაჭერას გაუწევს 2 საპილოტე დაწესებულებას (სსიპ კოლეჯი „იბერია" და სსიპ კოლეჯი „მოდუსი"), კონცეფციის დანერგვის სამოქმედო გეგმების შემუშავებასა და განხორციელებაში.

„პროფესიული განათლების შესახებ“ ახალი კანონის შესაბამისად, შეიქმნა არაფორმალური განათლების ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების პროფესიული განათლების საფეხურზე აღიარების შესაძლებლობა. 2020 წელს, არაფორმალური განათლების აღიარების უფლება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მოიპოვა ორმა საგანმანათლებლო დაწესებულებამ.

აღსანიშნავია, რომ პროფესიული განათლების სისტემაში მიმდინარე ცვლილებების დადებითი გავლენის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ინდიკატორი პროფესიული პროგრამების კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელი და შრომის ბაზარზე მათი წარმატებული ინტეგრაციაა. საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მიერ რეგულარულად ხორციელდება პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულთა კვლევა (ე.წ. Tracer Study).

კვლევა წელიწადში ერთხელ ტარდება და შეისწავლის იმ კურსდამთავრებულებს, რომელთაც გამოკითხვის მომენტისთვის სწავლა დაახლოებით 1 წლის დასრულებული აქვთ. კვლევა ეფუძნება სტრუქტურირებულ კითხვარს, რომლის ადმინისტრირებაც ხდება კომპიუტერზე დაფუძნებული სატელეფონო გამოკითხვის მეთოდით.

2019 წელს ჩატარებული კვლევის შედეგების მიხედვით, პროფესიული სასწავლებლების 2018 წლის კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელმა **62% შეადგინა,** რაც წინა წლის მაჩვენებელს **2%-ით აღემატება,** ხოლო 2013 წელთან შედარებით დასაქმებულთა მაჩვენებელი **20%-ით არის გაზრდილი.** აღსანიშნავია, რომ ქვეყანაში შექმნილმა ეპიდემიოლოგიურმა მდგომარეობამ მნიშვნელოვნად შეანელა ქვეყანაში მიმდინარე ეკონომიკური პროცესები, რაც უარყოფითად აისახა დასაქმების მაჩვენებელზე, მათ შორის, პროფესიული კოლეჯების კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებელზეც. 2020 წელს განხორციელებული კვლევის მონაცემების მიხედვით, დასაქმების მაჩვენებელი 49%-მდე შემცირდა[7]. რაც შეეხება თვითდასაქმებას, 2020 წელს ჩატარებული კურსდამთავრებულთა კვლევის თანახმად, 2019 წლის პროფესიული განათლების კურსდამთავრებულთა შორის თვითდასაქმებულთა რაოდენობამ შეადგინა 10%. აღნიშნული მაჩვენებელი 2017 და 2018 წლის კურსდამთავრებულებს შორის 11% იყო, ხოლო 2016 წლის - 8%.

ქალთა ეკონომიკური აქტივობა

ქალთა ეკონომიკური გაძლიერება ერთ-ერთ მნიშვნელოვან გზას წარმოადგენს გენდერული თანასწორობის მიღწევის პროცესში, ხოლო ეკონომიკურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა კი ეკონომიკური გაძლიერების მნიშვნელოვანი ინსტრუმენტია.

ქალთა ეკონომიკური აქტიურობა, კერძოდ ქალთა დასაქმების მაჩვენებელი დადებითი ზრდის დინამიკით ხასიათდება. 2019 წელს მცირე და საშუალო ზომის საწარმოებში დასაქმებულ ქალთა რაოდენობამ 197,9 ათასი შეადგინა, რაც 2.1%-ით აღემატება წინა წლის მაჩვენებელს, ხოლო 2016 წელთან შედარებით ქალთა დასაქმების ზრდის მაჩვენებელი 10.2%-ით არის გაზრდილი. ასევე, გაზრდილია დასაქმებულ ქალთა წილი მცირე და საშუალო ზომის საწარმოებში სულ დასაქმებულებს შორის. დასაქმების მაჩვენებელმა 2019 წელს 40.2% შეადგინა, აღნიშნული მაჩვენებელი 2018 წელს 39.5%-ს უტოლდებოდა.

[7] 2020 წელს ჩატარებული კვლევის ფარგლებში გამოიკითხნენ ის კურსდამთავრებულები, რომელთაც 2019 წელს დაასრულეს სწავლა და მიენიჭათ პროფესიული კვალიფიკაცია.

4. ექსპორტის ხელშეწყობა და მცირე და საშუალო საწარმოთა ინტერნაციონალიზაცია

4.1. DCFTA-ის პერსპექტივების და მოთხოვნების შესახებ ცნობიერების ამაღლება

[4.1.4] დაინტერესებული მხარეების ცნობიერების ამაღლების მიზნით, მომზადდა და **ექსპლუატაციაში გაეშვა აკრედიტაციის ცენტრის განახლებული ვებ გვერდი,** სადაც დაინტერესებული პირები მარტივად შეძლებენ მიიღონ ინფორმაცია აკრედიტაციის შესახებ, ასევე ნახონ ინფორმაცია აკრედიტაციის ცენტრის მიერ დაგეგმილი ღონისძიებების თაობაზე და მიიღონ ამომწურავი ინფორმაცია აკრედიტებული ორგანოების შესახებ. www.gac.gov.ge

საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნულ სააგენტოში ლატვიის სტანდარტების ორგანოსა (LVS) და კორპორაცია ტილდესთან (Tilde) ერთად განხორციელდა პროექტი „სტანდარტიზაცია, როგორც დამხმარე საშუალება საქართველოში COVID-19 პანდემიით გამოწვეული საგანგებო სიტუაციაზე სწრაფი რეაგირებისათვის".

[4.1.5] 2020 წლის განმავლობაში აქტიური სამუშაოების განხორციელების შედეგად, მეტროლოგიის სფეროში, საერთაშორისო დონეზე აღიარებულ გაზომვის მიმართულებებში, სააგენტოს მეტროლოგიის ინტიტუტის აღიარებული ჩანაწერების რაოდენობა **გაიზარდა და შეადგინა 61 CMC ჩანაწერი.** 2020 წელს აღიარებული და გამოქვეყნებული იქნა CMC ჩანაწერები შემდეგი მიმართულებით - წნევის, ტემპერატურული გაზომვების, სიგრძეს და ელექტროგაზომვების, ასევე, მცირე მოცულობის გაზომვები. აღსანიშნავია, რომ პანდემიის სიტუაციით გამოწვეული შეზღუდვების მიუხედავად, მეტროლოგიის სფეროში მიღწეული შედეგების - მომსახურების სფეროების და ასევე, საერთაშორისო აღიარებული სფეროების მნიშვნელოვანი გაფართოების შედეგად, სააგენტომ 2020 წლის განმავლობაშიც გაუწია მომსახურება დამკვეთებს რეგიონულ დონეზე (სხვადასხვა ორგანიზაცები აზერბაიჯანიდან) შემდეგ სფეროებში: ტემპერატურა, მასა, ტენიანობა, მცირე მოცულობა, წნევა.

საერთაშორისო და ევროპულ სტანდარტებზე ხელმისაწვდომობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია ბიზნესისათვის. 2020 წლის მდგომარეობით სულ საქართველოს სტანდარტად მიღებულია 18 476 საერთაშორისო და ევროპული სტანდარტი, აქედან ISO და IEC - 6807 სტადნარტია, ხოლო ევროპული CEN/CENELC - 11 669 სტადნარტი, მათ შორის ე.წ. ჰარმონიზებული ევროპული სტანდარტები, რომლებიც მნიშვნელოვანია DCFTA TBT ნაწილის დანართებით გათვალისწინებული

კანონმდებლობის დაახლოვების პროცესისასთვის. ასევე აღსანიშნავია, რომ 2020 წლის მდგომარეობით საქართველოს ქართულენოვანი სტანდარტების რაოდენობა შეადგენს 152-ს.

აკრედიტაციის სფეროში **დაემატა ენერგიის მენეჯმენტის სერტიფიკაციის და აუდიტის ორგანოების აკრედიტაცია** ისო 50003-ის შესაბამისად, ხოლო ინსპექტირების ორგანოების აკრედიტაციის არეალი გაიზარდა უსადენო ქსელების, კომპიუტერული ტექნიკის, საინფორმაციო ტექნოლოგიების და პროგრამული უზრუნველყოფის ინსპექტირების ნაწილზე.

[4.1.6] საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა GIZ-ის (გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება) „მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარება და DCFTA საქართველოში“ პროექტის მხარდაჭერით ახორციელებს **ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის (DCFTA) განხორციელებასთან დაკავშირებული საკონსულტაციო და სასწავლო სერვისების განვითარებას.** აღნიშნული პროგრამის ფარგლებში, ასევე, აქტიურად განხორციელდა სავაჭრო-სამრეწველო პალატის ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერება. საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ 50 ბენეფიციარს, უმთავრესად, მცირე და საშუალო მეწარმეებს, გაეწია კონსულტაცია DCFTA-სთან დაკავშირებით.

2020 წლის თებერვლის თვეში საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს მხარდაჭერითა და ევროკავშირის პროექტის „ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შეთანხმების განხორციელების მხარდაჭერა - II ფაზა“ ორგანიზებით **მედიის წარმომადგენლებისთვის DCFTA-სთან დაკავშირებულ საკითხებზე საინფორმაციო შეხვედრა გაიმართა.** მცირე და საშუალო ბიზნეს სექტორისთვის სწორი ინფორმაციის მიწოდების მიზნით, შეთანხმების ნორმების დანერგვის მიმართულებით მიღწეულ პროგრესზე, განხორციელებულ, მიმდინარე და დაგეგმილ რეფორმებზე მედიის წარმომადგენლებს სახელმწიფო უწყებების წარმომადგენლებმა მიაწოდეს შესაბამისი ინფორმაცია. შეხვედრის ფარგლებში მედიის წარმომადგენლებს ევროკავშირთან ვაჭრობის წარმატებულ მაგალითებზე პრეზენტაციები გაუკეთეს ევროკავშირში ექსპორტიორი წარმატებული კომპანიების ხელმძღვანელებმა.

[4.1.7] ფუნქციონირებას განაგრძობს **ვებგვერდი DCFTA.gov.ge,** სადაც ქვეყნდება DCFTA-ის განხორციელებასთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი და სიახლე, ასევე კომენტარების მიღების მიზნით ქვეყნდება დაახლოების ვალდებულებების შესრულების მიზნით შემუშავებული კანონპროექტები. აღსანიშნავია, რომ 2020 წელს წინა წელთან შედარებით 16%-ით გაიზარდა ვებგვერდის ვიზიტორთა რაოდენობა და 23,277 შეადგინა. საქართველოს გარდა, ვებგვერდს, ასევე, ხშირად სტუმრობდნენ აშშ-დან, გერმანიიდან, რუსეთიდან, ჩინეთიდან, თურქეთიდან და სხვა ქვეყნებიდან.

4.2. მეწარმეობის მხარდაჭერა DCFTA მოთხოვნებთან ადაპტაციაში

სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა ექსპორტის მხარდაჭერა და განვითარება. პროგრამის მიზანია საქართველოს საექსპორტო პოტენციალის პოპულარიზაცია, ქართული პროდუქტების კონკურენტუნარიანობის გაზრდა საერთაშორისო ბაზრებზე, ქართული პროდუქტების ექსპორტის მოცულობის ზრდა და საქართველოს საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირება.

ექსპორტის ხელშეწყობის კომპონენტის ფარგლებში სააგენტო ხელს უწყობს ქართული კომპანიების მონაწილეობას საერთაშორისო გამოფენებში, უზრუნველყოფს სავაჭრო მისიების ორგანიზებას, კერძოდ, სტრატეგიულ და პრიორიტეტულ ბაზრებზე ქართული ექსპორტიორი კომპანიებისთვის წინასწარი B2B ტიპის შეხვედრების დაგეგმვას, ორგანიზებასა და თანადაფინანსებას, ახალი პარტნიორების და ბაზრების დივერსიფიცირების მიზნით. სააგენტო ხელს უწყობს უცხოური ბაზრებიდან შემოსული მოთხოვნების შესაბამისად, ქართული კომპანიების დაკავშირებას მათი პროდუქტებით დაინტერესებულ მყიდველებთან. სააგენტო ახორციელებს მეწარმეებისთვის საქართველოში არსებულ ექსპორტის პროცედურებზე ინფორმაციის მიწოდებას, კერძოდ, ექსპორტის პროცედურების აღწერას, ექსპორტისთვის საჭირო სერტიფიკატებზე ინფორმაციის მიწოდებას, ქართველი მწარმოებლებისთვის კონკრეტულ ბაზრებზე ტარიფის დადგენას და ა.შ.

[4.2.1] **მცირე და საშუალო საწარმოების ექსპორტის პოტენციალის ანალიზის მიზნით,** 2020 წელს სააგენტომ ფინანსურად მხარი დაუჭირა 10 საერთაშორისო ღონისძიებასა და 9 ონლაინ შოურუმში 68 ქართული კომპანიის მონაწილეობას. თითოეული კომპანია დარეგისტრირების პროცესში ავსებდა შესაბამის ფორმას, რომელშიც შეტანილ ინფორმაციაზე დაყრდნობით სააგენტო ახორციელებდა შესაბამის ანალიზს. სააგენტო, სამომავლო პროექტების და შესაბამისის ღონისძიებების დაგეგმვის მიზნით, აგროვებს და აანალიზებს ინფორმაციას ბენეფიციარების მიერ განხორციელებული საექსპორტო ოპერაციების შესახებ.

[4.2.2] **ექსპორტის პოტენციალის მქონე სექტორების ანალიზის შედეგად 2020 წელს იდენტიფიცირებული იქნა ექსპორტის პოტენციალის მქონე შემდეგი** სექტორები - ცხოველთა საკვები და ლოკოკინები. აღნიშნული მიმართულებით სააგენტომ ჩაატარა შეხვედრები, შესწავლილი იქნა სავაჭრო პარტნიორი სამიზნე ქვეყნების ადგილობრივი ბაზრის მოთხოვნა, გამოიკვეთა ახალი პოზიციები, შესაბამისი საექსპორტო ბაზრები, რომელზეც აქვთ პოტენციალი აღნიშნულ პროდუქტებს.

[4.2.4] სააგენტომ „აწარმოე საქართველოში“ ექსპორტის პოტენციალის მქონე ახალი სექტორის იდენტიფიცირების და DCFTA-ის მოთხოვნებთან შესაბამისობის კუთხით

შეიმუშავა **მხარდაჭერის ინსტრუმენტები (ტექნიკური, ფინანსური).** სააგენტოს მიერ ექსპორტის კუთხით შემუშავებული TA-ის მექანიზმის დოკუმენტი განსახილველად წარდგენილია სამინისტროში. მისი მაქსიმალური მოცულობა შეადგენს 10 000 ევროს ექვივალენტს ლარში.

[4.2.5] 2020 წლის იანვრიდან **საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს** ელექტრონული პლატფორმის მეშვეობით დაინტერესებული პირებისათვის ხელმისაწვდომი გახდა სტანდარტების online (PDF ფორმატში) შეძენის სერვისი.

2020 წელს აკრედიტებული ორგანიზაციების მოთხოვნის საფუძველზე **აკრედიტაციის ცენტრის ორგანიზებით მოეწყო 5 ტრენინგი**, მათ შორის, სამი ტრენინგი თემაზე - სსტ ისო/იეკ 17020:2012/2013 „შესაბამისობის შეფასება - მოთხოვნები ინსპექტირების სხვადასხვა ტიპის ორგანოების საქმიანობისათვის“, ხოლო 2 ტრეინინგი, თემაზე სსტ ისო/იეკ 17025:2017/2018 „საერთო მოთხოვნები საგამოცდო და საკალიბრებელი ლაბორატორიების კომპეტენტურობისადმი". პანდემიის შეზღუდვების გათვალისწინებით, ტრენინგები გაიმართა ონლაინ რეჟიმში და მასში მონაწილეობა მიიღო აკრედიტებული შესაბამისობის შემფასებელი ორგანოების 76-მა წარმომადგენელმა.

2020 წლის 24 სექტემბერს გაიმართა აკრედიტაციის ტექნიკურ მრჩეველთა კომიტეტის შეხვედრა, სადაც პირველ ეტაპზე მოხდა პროცედურული საკითხის გადაწყვეტა, ტექნიკურ მრჩეველთა კომიტეტის თავჯდომარის არჩევა, ხოლო შემდგომ აკრედიტებული საგამოცდო ლაბორატორიის სფეროსთან დაკავშირებული საკითხის განხილვა. ტექნიკურ მრჩეველთა კომიტეტს დაესწრნენ აღნიშნული თემიდან გამომდინარე, შესაბამისად შერჩეული პირები.

აკრედიტაციის ცენტრში, 2020 წლის 30 ოქტომბერს, ონლაინ პლატფორმის მეშვეობით ჩატარდა აკრედიტაციის საბჭოს სხდომა, რომელსაც ესწრებოდნენ სხვადასხვა ბიზნეს ასოციაციებისა და აკრედიტებული ორგანოების ასოციაციების წარმომადგენლები. სხდომაზე განხილული იქნა 2020 წელს განხორციელებული საქმიანობა აკრედიტაციის ცენტრში - COVID-19-ის გავლენა აკრედიტაციის პროცესზე და აკრედიტაციის ცენტრის 2021 წლის გეგმები.

2020 წლის 17 დეკემბერს, აკრედიტაციის ცენტრის ინიციატივით და საქართველოს ავტომობილების ინსპექტირების ცენტრების ასოციაციის ტექნიკური მხარდაჭერით გაიმართა ონლაინ შეხვედრა, პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების ცენტრებსა და აკრედიტაციის ცენტრის მენეჯმენტს შორის. შეხვედრის მიზანი იყო ტექნიკური ინსპექტირების სფეროში არსებული საკითხების განხილვა და ინსპექტირების ცენტრების ასოციაციის წარმომადგენლების დამატებითი ინფორმირება აკრედიტაციის ცენტრში 2020 წლის განმავლობაში განხორციელებული საქმიანობის შესახებ.

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ორგანიზებით სანგარიშო პერიოდში ჩატარდა სხვადასხვა მიმართულების ტრენინგები კერძო სექტორისათვის, რომელზეც დარეგისტრირდა ჯამში 361 მეწარმე (მათ შორის, ქალი - 254 და კაცი - 107).

4.3. მცირე და საშუალო საწარმოთა ექსპორტის სტიმულირება

[4.3.4] **საერთაშორისო ბაზრებზე მარკეტინგის და პოპულარიზაციის მხარდაჭერის მიზნით** სააგენტომ „აწარმოე საქართველოში“ 2020 წელს შეიმუშავა საწარმოთა შერჩევის ახალი კრიტერიუმები, რომლებიც უკეთ არის მორგებული მცირე და საშუალო ზომის საწარმოების მოთხოვნებზე და მეტად კომპლექსურია. სააგენტოს პროგრამების ფარგლებში განხორციელებული პროექტებისთვის საწარმოთა შერჩევის პროცესში სწორედ აღნიშნული კრიტერიუმები გამოიყენება.

[4.3.5] **შერჩეულ საწარმოებში მარკეტინგის უნარების საჭიროებების იდენტიფიცირების** მიზნით, სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ ახორციელებს ექსპორტის სასერტიფიკატო კურსებს.

[4.3.9] **კონკრეტული პროდუქტის/მომსახურების ექსპორტის მხარდამჭერი ინსტრუმენტების განხორციელების** მიზნით 2020 წელს სააგენტომ „აწარმოე საქართველოში“ განახორციელა დაინტერესებული პირების კონსულტაცია და მიაწოდა ინფორმაცია მათი პროდუქციის ექსპორტის და საექსპორტო ქვეყნებთან დაკავშირებით. ჯამში, წლის განმავლობაში, სააგენტოს ექსპორტის დეპარტამენტმა მუდვიმ რეჟიმში გაუწია კონსუტაცია 900-მდე დაინტერესებულ პირს, როგორც სატელეფონო და ელ. ფოსტის, ასევე, ინდივიდუალური და ჯგუფური შეხვედრების საშუალებით.

4.4. მეწარმეობის მხარდაჭერა საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების დამყარებაში

[4.4.1] საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ **საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარების მიზნით,** მიმდინარეობს მუშაობა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმებაზე, კერძოდ, ჩეხეთის რესპუბლიკის ტექნოლოგიურ სააგენტოსთან (TACR), უზბეკეთის რესპუბლიკის ინოვაციური განვითარების სამინისტროსთან, ბუტანის ინფორმაციისა და კომუნიკაციების სამინისტროსთან, ამასთან ხელი მოეწერა განახლებულ მემორანდუმს იტალიის ტექნოლოგიური ინოვაციების ასოციაციასთან (COTEC).

საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში, **საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის** მიერ გაფორმდა 5 ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი პარტნიორ

პალატებთან. ამასთან, პალატა 30-ზე მეტ კომპანიას დაეხმარა უცხოელ პარტნიორებთან თანამშრომლობის და კომუნიკაციის დამყარებაში.

[4.4.2] ევროპის მეწარმეთა ქსელი (Enterprise Europe Network - EEN) წარმოადგენს პლატფორმას, რომელიც ემსახურება ევროკავშირისა და პარტნიორი ქვეყნების მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენელთა შორის კონკრეტული ბიზნეს შემოთავაზებების ურთიერთგაცვლასა და კავშირების დამყარებას. EEN ქართული კომპანიებისთვის ახალ შესაძლებლობებს ქმნის ევროკავშირის ბაზარზე ფართოდ გაავრცელონ საკუთარი ბიზნეს წინადადებები და მოიზიდონ შესაბამისი პარტნიორები.

DCFTA-ს ამოქმედების შემდეგ, ქართულ კომპანიებს საშუალება მიეცათ, ახალი პლატფორმის გამოყენებით ევროკავშირის ბაზარზე ფართოდ გაავრცელონ საკუთარი ბიზნეს წინადადებები და მოიზიდონ პარტნიორები. „ევროპის მეწარმეთა ქსელი“ (Enterprise Europe Network/EEN) ემსახურება ევროკავშირისა და პარტნიორი ქვეყნების მცირე და საშუალო ბიზნესის წარმომადგენელთა შორის კონკრეტული ბიზნეს შემოთავაზებების ურთიერთგაცვლასა და კავშირების დამყარებას.

ევროპის მეწარმეთა ქსელით სარგებლობა შეუძლიათ როგორც ექსპორტიორებს, ასევე იმპორტიორებს. ექსპორტიორებს საშუალება ეძლევათ მოიძიონ დისტრიბუტორები ევროკავშირის წევრ ქვეყნებში, ხოლო იმპორტიორებს შეუძლიათ თავად გახდნენ დისტრიბუტორები საქართველოში.

EEN-ი მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი, ბიზნესისა და ინოვაციების ხელშემწყობი ორგანოა, რომელიც 60 ქვეყანაში 600 პარტნიორ ორგანიზაციასა და მეწარმეთა მომსახურების ფართო სპექტრს აერთიანებს.

სააგენტომ „აწარმოე საქართველოში“ **EEN-ის პლატფორმასთან დაკავშირებით კონსულტაცია გაუწია 10-ზე მეტ დაინტერესებულ მეწარმეს.**

საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ განხორციელდა პალატის ახალი წევრების **ინფორმირება EEN-ის უპირატესობების შესახებ.** 2020 წელს EEN-ის ქსელში რეგისტრაციის დაინტერესება გამოიჩინა ხუთმა კომპანიამ, ამასთან ერთი მეწარმე დარეგისტრირდა ქსელში. საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატამ 2020 წელს დაიწყო პროექტი „ღია დიალოგი ბიზნესთან“. აღნიშნული პროექტის ფარგლებში საქართველოს მასშტაბით 12 ღონისძიება გაიმართა, კერძოდ, ბიზნესთან საინფორმაციო შეხვედრები გაიმართა იმერეთში, კახეთში, სამეგრელოში, შიდა ქართლსა და აჭარაში. ჯამში პალატამ EEN-ის შესახებ ინფორმაცია მიაწოდა 700-მდე მეწარმეს და დაინტერესებულ პირს.

საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო აქტიურად მუშაობს **ქართველი სტარტაპების საერთაშორისო ქსელებში ეფექტიანად ჩართულობის მიმართულებით.** ამ მხრივ, აღსანიშნავია საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ევროპის ბიზნეს ენჯელების ქსელის (European Business

Angels Network - EBAN) წევრობა, რაც გულისხმობს სააგენტოს არხების საშუალებით მეწარმეთათვის ინფორმაციისა და სიახლეების მიწოდებას.

EBAN წარმოადგენს ენჯელ ინვესტორთა ევროპულ გაერთიანებას, რომელიც 50-ზე მეტი ქვეყნიდან 150-ზე მეტ წევრ ორგანიზაციას აერთიანებს. EBAN-ის წევრობა ქართველ სტარტაპებს აძლევს შესაძლებლობას წარადგინონ თავიანთი ინოვაციური პროექტები ევროპელი ინვესტორების წინაშე, ასევე ხელს უწყობს ევროპული პირდაპირი ინვესტიციის შემოტანას ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სფეროში, რაც დაეხმარება ქართულ სტარტაპებს გახდნენ უფრო გლობალური კომპანიები და გავიდნენ საერთაშორისო ბაზარზე. EBAN უზრუნველყოფს შესაძლებლობების ფართო სპექტრს სტარტაპებისთვის, მათ შორის, როგორიცაა, ვებინარები, ტრენინგები, სემინარები, მასტერკლასები, pitching-ი, ორმხრივი შეხვედრები. ღონისძიებებში მონაწილეობა სტარტაპებს შესაძლებლობას აძლევს შეხვდნენ ინვესტორებს, შეხვედრის მწვრთნელებს, დამხმარე სააგენტოებს, რაც მათ მისცემს საშუალებას განავითარონ საკუთარი წამოწყება/ბიზნესი.

საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო აქტიურად მუშაობს ქართველი სტარტაპების საერთაშორისო ქსელებში ეფექტიანად ჩართულობის მიმართულებით. სააგენტოს არხების საშუალებით ხდება ინფორმაციისა და სიახლეების მიწოდება მეწარმეთათვის.

[4.4.4] საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა უზრუნველყოფს **საზღვარგარეთ დაგეგმილი საერთაშორისო გამოფენების შესახებ მეწარმეთა ინფორმირებას**. პალატის წევრებს მიეწოდათ ინფორმაცია საზღვარგარეთ დაგეგმილი 40-მდე საერთაშორისო გამოფენის თაობაზე.

[4.4.7] საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების განვითარების ფარგლებში აქტიურად ხორციელდება კომერციულად მიმზიდველი **სექტორების იდენტიფიცირება და აღნიშნული სექტორების განვითარებაზე ორიენტირებული კვლევების მომზადება.** საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ ჩატარდა კვლევა დისტანციური განათლებისა და საზღვაო სექტორის განვითარების შესახებ.

კერძოდ, საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატის ბიზნეს კვლევების სახლის მიერ ჩატარდა კვლევა **საქართველოს უმაღლეს სასწავლებლებში დისტანციური განათლების (e-learning) სისტემის გამოყენების სარგებლისა და გამოწვევების შესახებ.** კვლევამ მოიცვა არა მხოლოდ ქვეყანაში არსებული ვითარების პრაქტიკული ანალიზი, რომელიც შეიქმნა ახალი კორონავირუსის COVID-19 გამო, არამედ არსებულ ვითარებამდე უმაღლესი განათლების სისტემაში ელექტრონული/დისტანციური განათლების მარეგულირებელი საკანონმდებლო ბაზის ხარვეზების ანალიზი. ამასთან, კვლევაში შესწავლილია დისტანციურ სწავლებაზე გადასვლის პოტენციური დანახარჯები და სარგებელი სახელმწიფოსა და უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებებისთვის.

ბიზნეს კვლევების სახლმა **საზღვაო სფეროს** შესაძლებლობებზე პირველი მასშტაბური კვლევა დაასრულა, რომლის ონლაინ პრეზენტაცია 27 ოქტომბერს გაიმართა. კვლევაში შეფასებული იქნა სფეროში არსებული პრობლემები და შესაბამისად, მომზადდა რეკომენდაციები, რომლებიც ხელს შეუწყობს ქვეყანაში საზღვაო სფეროდან შემოსავლების ზრდას, ასევე, გაზრდის სფეროში დასაქმებულთა რაოდენობას და შემოსავლებს საზღვაო სფეროში დასაქმებული ადამიანებისათვის.

მონიტორინგისა და შეფასების შედეგები

2020 წელს შესრულდა მეოთხე სტრატეგიული მიმართულების შესაბამისი „შესრულების ინდიკატორები“, კერძოდ:

- ✓ DCFTA-ის პერსპექტივების და მოთხოვნების შესახებ ცნობიერების ამაღლების მიზნით მეწარმეებთან ჩატარდა შეხვედრები;
- ✓ ბენეფიციარებს გაეწიათ კონსულტაცია DCFTA-სთან დაკავშირებით;
- ✓ გაზომვების ახალი მიმართულებით შეთავაზებული იქნა სერვისები;
- ✓ გაიზარდა მეტროლოგიის ინტიტუტის აღიარებული ჩანაწერების რაოდენობა;
- ✓ ფუნქციონირებადია ვებგვერდი და DCFTA-ის შესახებ გაზრდილია მეწარმეთა ცნობიერება;
- ✓ აკრედიტებული ორგანიზაციების მოთხოვნის საფუძველზე აკრედიტაციის ცენტრის ორგანიზებით მოეწყო ტრენინგები;
- ✓ დაინტერესებული პირებისათვის ხელმისაწვდომი გახდა სტანდარტების online შეძენის სერვისი;
- ✓ ბენეფიციარებს გაეწიათ მხარდაჭერა მცირე და საშუალო საწარმოთა ექსპორტის სტიმულირების მიზნით;
- ✓ საწარმოებში მარკეტინგის უნარების საჭიროებების იდენტიფიცირების მიზნით განხორციელდა ექსპორტის სასერტიფიკატო კურსები;
- ✓ საერთაშორისო თანამშრომლობის ფარგლებში გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები;
- ✓ EEN-ით დაინტერესებულ მეწარმეებს გაუწია კონსულტაცია;
- ✓ გამოვლინდა კომერციულად მიმზიდველი სამეწარმეო სექტორები და ჩატარდა კვლევები.

მეოთხე სტრატეგიული მიმართულების შესრულების შეფასება

ქვეყნის მდგრადი ეკონომიკური განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესია ქვეყნის საერთაშორისო ეკონომიკურ სივრცეში ინტეგრაცია და სავაჭრო პარტნიორ ქვეყნებთან ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავება. აღნიშნული გულისხმობს ორმხრივი, რეგიონალური და მრავალმხრივი სავაჭრო ურთიერთობების, ასევე პრეფერენციული და თავისუფალი ვაჭრობის რეჟიმების განვითარებას. ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების ეფექტიანი განხორციელება, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების კომპონენტის ჩათვლით, გულისხმობს ქვეყნის მრავალი მიმართულებით მოდერნიზაციას და ევროპულ სტანდარტებთან შესაბამისობას. ყოველივე განაპირობებს ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერების შემცირებას და ქვეყანაში წარმოებული პროდუქტისა და მომსახურების საერთაშორისო და ევროპულ მოთხოვნებთან შესაბამისობას.

მეოთხე სტრატეგიული მიმართულების ფარგლებში განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელების შედეგად, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდა ექსპორტის მაჩვენებლები.

ექსპორტის ხელშეწყობა

უკანასკნელი წლების განმავლობაში, საქართველოს ექსპორტი ზრდის დადებითი ტენდენციით ხასიათდება. 2019 წელს, საქართველოს მთლიანი ექსპორტი რეკორდულ მაჩვენებელს გაუტოლდა და 3,798.5 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 12%-ით აღემატება გასული წლის მაჩვენებელს, ხოლო 79%-ით - 2016 წლის მაჩვენებელს.

2019 წელს მცირე და საშუალო საწარმოთა **ექსპორტის მოცულობამ 1,859.9 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა,** რაც 11%-ით აღემატება გასული წლის მაჩვენებელს, ხოლო 2016 წელთან შედარებით 42%-ით არის გაზრდილი. 2019 წელს მცირე და საშუალო საწარმოთა ექსპორტის წილი მთლიან ექსპორტში 49%-ს გაუტოლდა.

ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტის კვლავ დადებითი ზრდა დაფიქსირდა. 2019 წელს, ევროკავშირის ქვეყნებში საქართველოს ექსპორტმა 819.2 მლნ. აშშ დოლარი შეადგინა, რაც 12%-ით აღემატება გასული წლის მაჩვენებელს, ხოლო 2016 წელთან შედარებით 45%-ით არის გაზრდილი. თავის მხრივ, 2019 წელს ევროკავშირის ქვეყნებში ექსპორტის წილმა მთლიანი ექსპორტის 21.6% შეადგინა.

აღსანიშნავია, ასევე, **OECD-ის** ქვეყნებში ექსპორტის დადებითი ტენდენციები. 2019 წელს ექსპორტის მოცულობა 814.8 მლნ. აშშ დოლარს გაუტოლდა და მთლიან ექსპორტში 21.5%-ს შეადგენდა. აღსანიშნავია, რომ 2016 წელთან შედარებით OECD-ის ქვეყნებში ექსპორტის მაჩვენებელი 10%-ით გაიზარდა.

5. ელექტრონული კომუნიკაციების, საინფორმაციო ტექნოლოგიების, ინოვაციების და კვლევისა და განვითარების ხელშეწყობა

ქვეყანაში ინოვაციური განვითარების ხელშეწყობის მიზანია დაეხმაროს ადგილობრივ მოსახლეობას, დამწყებ და მოქმედ საწარმოებს გამოიყენონ აქამდე ძნელად ხელმისაწვდომი ტექნოლოგიები საკუთარი საქმიანობის განვითარებისთვის და მიიღონ ცოდნა როგორც ინოვაციების და ტექნოლოგიების სფეროში, ისე მეწარმეობის მიმართულებით. წვდომა ტექნოლოგიებზე ნიშნავს პროგრესს, რაც ქვეყნის განვითარებაში უმნიშვნელოვანეს როლს ასრულებს.

5.1. მცირე და საშუალო საწარმოებში ინოვაციების სტიმულირება

[5.1.1] ტექნოპარკის ბაზაზე, **ინოვაციების და ტექნოლოგიების პოპულარიზაციის მიზნით,** ჩატარდა 148 ღონისძიება საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ორგანიზებითა და თანაორგანიზებით, რომელსაც დაახლოებით 3,656 ადამიანი დაესწრო.

სააგენტოს ორგანიზებით, ასევე, გაიმართა ონლაინ ვებინარი „სტარტაპები და ბიზნესს სტრატეგია კორონა ვირუსის პანდემიის პირობებში“.

სააგენტოს თანაორგანიზებით გაიმართა გლობალური მეწარმეობის კვირეული (GEW). გლობალური მეწარმეობის კვირეული არის ყველაზე მასშტაბური საერთაშორისო პროექტი, რომლის მიზანია ინოვაციური სამეწარმეო ეკოსისტემის ფორმირება, ეკოსისტემის ლიდერების დაკავშირება, მეწარმეობის პოპულარიზაცია და დამწყები მეწარმეებისათვის მოტივაციის ამაღლება. 1-კვირიან ღონისძიებაში მონაწილეობა მიიღო 500-ზე მეტმა მონაწილემ.

5.2. ინოვაციების და R&D დაფინანსების ეფექტიანი სქემების შემუშავება

[5.2.1] **ინოვაციური და ტექნოლოგიური საგრანტო პროგრამების** ფარგლებში გამოცხადებული 100,000 ლარიანი თანადაფინანსების გრანტის ფარგლებში დაფინანსდა 39 ბენეფიციარი, ხოლო 650,000 ლარიანი თანადაფინანსების გრანტის ფარგლებში - 10 ბენეფიციარი. მოხდა მცირე საგრანტო პროგრამის რეფორმა და დაფინანსება 5,000 ლარიდან 15,000 ლარამდე გაიზარდა. მცირე 15,000 ლარამდე საგრანტო კონკურსის ფარგლებში დაფინანსდა სულ 23 პროექტი, მათ შორის, პროტოტიპის - 12 პროექტი, ელექტრონული სერვისების პროტოტიპი - 11 პროექტი.

5.3. ინოვაციების და R&D-ის კომერციალიზაციის მხარდაჭერა

[5.3.1] ინოვაციების ინსტიტუციური შესაძლებლობების გაძლიერების პროექტის ფარგლებში ევროკავშირის მიერ დაფინანსებული ტექნოლოგიების გადაცემის საპილოტე პროექტის ფარგლებში ხორციელდება სამეცნიერო პროექტების კომერციალიზაცია, რომლებიც პასუხობს ბაზრის საჭიროებებს. აღნიშნული გულისხმობს კვლევით ინსტიტუტებთან თანამშრომლობით კომერციალიზაციის პოტენციალის მქონე იდეების შერჩევას და მათ შემდგომ კომერციალიზაციას. **ტექნოლოგიების გადაცემის საპილოტე პროექტის (TTPP)** ფარგლებში შეირჩა 9 პროექტი. იანვარსა და მარტში დამტკიცდა შერჩეული პროექტების კომერციალიზაციის გეგმები. იანვარში მსოფლიო ბანკის ექსპერტების ვიზიტის ფარგლებში მოხდა პროექტების ავტორებთან კონსულტაციები შემდგომ ნაბიჯებზე, ასევე, მათ ვინც ვერ გადალახა ზღვარი, ექსპერტებმა გაუწიეს კონსულტაციები და დეტალურად გააცნეს მიზეზები და მათი ტექნოლოგიების სამომავლო განვითარების გზები. პანდემიიდან გამომდინარე, მარტის თვიდან ყველა შეხვედრა ჩატარდა ონლაინ. ასევე, ონლაინ რეჟიმში მოხდა პროექტების ავტორებთან გასაუბრება და ბიზნეს მენეჯერების გაცნობა. შერჩეული 9 პროექტისთვის შემუშავდა კომერციალიზაციის გეგმები, ჩარჩო და ლიცეზირების/კომერციალიზაციის ხელშეკრულებები, კონფიდენციალურობის დაცვის თაობაზე შეთანხმებები, ტექნოლოგიისა და გამოგონების დახვეწის შესახებ შეთანხმებები და სხვა. განხორციელდა 9 ტექნოლოგიის შეთავაზება უცხოელი და ქართველი პოტენციური ინდუსტრიული პარტნიორებისადმი. მოხდა 1500-ზე მეტ უცხოურ კომპანიასთან ბიზნეს შეთავაზების გაგზავნა. მიმდინარეობს მოლაპარაკება რამდენიმე მსხვილ კომპანიასთან, რომელთანაც ფორმდება კონფიდენციალურობის დაცვის თაობაზე შეთანხმებები. კომპანიათა შორისაა ისეთი მსხვილი კორპორაციები, როგორიცაა, AIRBUS, Airbus Helicopters, Naval Group, Total, BRASILCHOICE BIOECONOMY, MMC, URGO, Ajinomoto და სხვა, რომელთაც პირველადი ინტერესი გამოთქვეს საქართველოს მხარის მიერ შეთავაზებულ ტექნოლოგიებზე და რამდენიმე მათგანთან განხორციელდა მოლაპარაკებები სხვადასხვა სახის ურთიერთთანამშრომლობის გზებზე, როგორც ტექნოლოგიის დახვეწის (კვლევითი მიმართულებით, ტესტირების მიმართულებით), ისე კომერციალიზაციის კუთხით (ინვესტირების მიმართულებით).

5.4. მეწარმეობაში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) გამოყენების უნარების გაუმჯობესება

[5.4.1] შემუშავდა განახლებული **ტექნიკური დავალება ICT ტრენინგ პროგრამისთვის და მოეწყო დამატებითი შეხვედრები ICT ტრენინგ პროვაიდერებთან,** რომელთა რეკომენდაციებიც ასახულ იქნა განახლებულ ტექნიკურ დავალებაში. ბაზარზე არსებული მოთხოვნიდან გამომდინარე დაემატა ახალი კურსები.

შეიქმნა საინფორმაციო ტიპის ვებ-გვერდი ICT პროგრამისთვის, სადაც განთავსდა კურსების ჩამონათვალი და კითხვარი წინასწარი რეგისტრაციისთვის. გაფორმდა ხელშეკრულება ტრენინგ პროვაიდერთან, რომელიც უზრუნველყოფს 500 ICT სპეციალისტის გადამზადებას და სერთიფიცირებას, საერთაშორისო ბაზარზე აღიარებული სერთიფიკატებით. 2020 წელს დაიწყო IT სპეციალისტის გადამზადების პროგრამის საპილოტე ტრენინგები, კერძოდ, გამოცხადდა შერჩევა ტრენინგის მონაწილეთათვის და ჯამში შეირჩა 580 მონაწილე, რომლებიც გაივლიან ტრენინგებს სხვადასხვა მიმართულებით. **EuropeAid-ის დაფინანსებით დაიწყო პროექტის განხორციელება - „ახალგაზრდული ტექნოლოგიური კლუბების ქსელი / youth tech club network“.** სამწლიანი პროექტი ითვალისწინებს სკოლებში დანერგოს ტექნოლოგიების და კოდირების კლუბები. ჯამში მოიცავს 100 სკოლას 8 რეგიონში. სააგენტოს მხრიდან ჩართულია ყველა რეგიონული ცენტრი.

5.5. ინოვაციებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის უზრუნველყოფა (ტექნოპარკები, ინოვაციების ცენტრები, FabLab-ები; iLab-ები)

[5.5.1] საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო უზრუნველყოფს ინოვაციებისთვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნას. **თბილისსა და რეგიონებში შექმნილი ტექნოპარკები და ინოვაციური ცენტრები** ორიენტირებულია განავითაროს ქვეყანაში ტექნოლოგიების და ინოვაციების ეკოსისტემა. თბილისში, ზუგდიდსა და თელავში და 2020 წლიდან კი უკვე ბათუმში, გურჯაანში და კასპში შექმნილი ტექნოპარკები აკუმულირებულია ტექნოლოგიური, საგანმანათლებლო და პროფესიონალური რესურსებით, რომლის მიზანია ხელი შეუწყოს ცოდნაზე დაფუძნებული ეკონომიკის განვითარებას.

2020 წლისთვის, წარმატებით ფუნქციონირებს ინოვაციების რეგიონალური ცენტრები ხარაგაულში, ჭოპორტში, ბაღდათში, ახმეტასა და რუხში, რომელიც თავის მხრივ, წარმოადგენს მინი ტექნოპარკებს და შედარებით მცირე მასშტაბით მომხმარებელს ლოკალურად სთავაზობს იმავე სერვისებს, რასაც ტექნოპარკები.

2020 წელს დასრულდა ბათუმის ტექნოპარკის, გურჯაანის ინოვაციების ცენტრისა და კასპის ინოვაციების ცენტრის მშენებლობა და რემონტი. დასრულდა ასევე ახალი ტექნოპარკისა და ინოვაციების ცენტრების სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიების (ფაბლაბი) მაღალტექნოლოგიური დანადგარებით აღჭურვა, მათ შორის, 3D პრინტერებით, 3D სკანერით, საქართველოში პირველი PCB ელექტრონული დაფების (პლატების) საბეჭდი, საღარავი და გრავირების დანადგარებით, ლაზერული მჭრელებით, 3D პროგრამირებადი ჩარხებით, რობოტექნიკით, ავეჯით, კომპიუტერული ტექნიკით, აუდიო ტექნიკით და სხვა საჭირო ინვენტარით, რომელთა მეშვეობით ადგილობრივ მოსახლეობას, კერძო კომპანიებს თუ ადგილობრივ თვითმმართველობას საშუალება

ეძლევა გამოიყენონ აქამდე რთულად ხელმისაწვდომი ტექნოლოგიები საკუთარი საქმიანობის განვითარებისთვის და მიიღონ ცოდნა როგორც ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სფეროში, ისე მეწარმეობის მიმართულებით. აღნიშნული დანადგარებითა და კვალიფიციური კონსულტანტების დახმარებით, უკვე რეგიონებშიც შესაძლებელი გახდა შეიქმნას მარტივი, ასევე კომპლექსური და „ჭკვიანი“ პროდუქტები. საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოში შექმნილ ფაბლაბში ხორციელდება პროტოტიპირება, ტესტირება და მცირე წარმოებაც კი.

როგორც თბილისში არსებული Fab სკოლის ფარგლებში, ასევე რეგიონულ ცენტრებშიც ფუნქციონირებს სასწავლო ცენტრები, სადაც რეგულარულად მიმდინარეობს საგანმანათლებლო ღონისძიებები ინოვაციური ბიზნესის შექმნის, კომერციალიზაციის, ტექნოლოგიების სხვადასხვა მიმართულებების შესახებ, რაშიც თემატიკის მიხედვით, სხვადასხვა სამიზნე ჯგუფები არიან ჩართულები - მოსწავლეები, სტუდენტები, სტარტაპები თუ ინოვაციური იდეების მქონე მოქალაქეები.

ამასთან, თბილისისა და რეგიონების ტექნოპარკებში თავს იყრის საერთო სამუშაო სივრცე (co-working), სტარტაპებისა და ე.წ ,,ფრილანსერებისათვის“, სადაც შესაძლებელია, გარკვეული პირობებით, სამუშაო ადგილის მიღება, საკუთარი იდეის თუ სტარტაპის გასავითარებლად. სივრცე აღჭურვილია ყველა პირობით, რომელიც ხელს უწყობს სტარტაპის განვითარებას.

ყველა ტექნოპარკში ხელმისაწვდომია საკონფერენციო დარბაზი, ასევე ერთობლივი სამუშაო ადგილები კომპანიებისა და მოქალაქეებისათვის და სხვა სერვისები, რომლებიც ქმნიან ერთიან ეკოსისტემას ინოვაციებისა და ტექნოლოგიების მიმართულებით და ხელს უწყობენ ინოვაციური იდეების განვითარებას თბილისსა და რეგიონში.

სტარტაპ ეკოსისტემის განვითარებისთვის მნიშვნელოვანია საქართველოში სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორიების ქსელის განვითარება. საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ხელშეწყობით ფუნქციონირებს ინოვაციების ლაბორატორიები სამ ლოკაციაზე - ჯეოლაბი, გეიმლებ ილიაუნი და სიჯი მულტილებ ჯიპა. ინოვაციების ლაბორატორიები ხელს უწყობს სპეციალისტების მომზადებას, ქმნის კომფორტულ გარემოს ნოვატორული იდეების გენერირებისთვის, პროექტის მართვის უნარების განვითარებისთვის და ინოვაციებსა და ტექნოლოგიებზე დაფუძნებული სტარტაპების შექმნისთვის. 3 უნივერსიტეტის ბაზაზე ერთობლივად, კერძო სექტორთან თანამშრომლობის შედეგად შექმნილი ინოვაციების ლაბორატორიები ახალისებენ გამოყენებითი სწავლების პროცესს, სთავაზობენ დაინტერესებულ პირებს კურიკულუმებს მობილური პლატფორმების პროგრამირების უნარების გაძლიერებისთვის, კომპიუტერული თამაშების განვითარებისთვის, კომპიუტერული გრაფიკისა და ვიზუალური ეფექტების მიმართულებით ცოდნისა და უნარების გამდიდრებისთვის.

ლაბორატორიები აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით, რომელთაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოსთან ერთად ჰაკათონების, მეიქათონების, ოლიმპიადების ორგანიზებასა და სტარტაპების შექმნის პროცესში. ინოვაციების ლაბორატორიები წარმოადგენენ 24 საათიან სამუშაო სივრცეს დამწყები კომპანიებისთვის და ხელს უწყობს დამატებითი ინვესტიციის მოზიდვას სტარტაპ ეკოსისტემის მიმართულებით.

[5.5.2] ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხია **რეგიონების დაფარვა მაღალსიჩქარიანი ოპტიკურ-ბოჭკოვანი მაგისტრალური ინფრასტრუქტურით.** საქართველოს ფართოზოლოვანი ქსელების განვითარების 2020-2025 წლების ეროვნული სტრატეგიის შესაბამისად, დაიწყო ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების სახელმწიფო პროგრამა. პროგრამის ფარგლებში შეიქმნება ღია დაშვების ქსელი ისეთ დასახლებულ პუნქტებში ე.წ. „სამიზნე გეოგრაფიულ არეალში“, სადაც:

- საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მონაცემებით არ არის ოპერატორების საკუთრებაში ან სარგებლობაში არსებული ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურა, რომელიც უწყვეტად დაკავშირებულია ოპერატორების ოპტიკურ მაგისტრალებთან;
- მოსახლეობის რაოდენობა ტოლია ან აღემატება 200 ადამიანს;
- კერძო კომპანიების მიერ არ იგეგმება ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის მშენებლობა მომდევნო 3 წლის განმავლობაში.

პროგრამის ფარგლებში, საქართველოს მთელ ტერიტორიაზე, უზრუნველყოფილი იქნება:

- ერთიანი ნეიტრალური ოპტიკურ-ბოჭკოვანი ქსელის შექმნა;
- სამიზნე გეოგრაფიულ არეალში ფართოზოლოვანი საბითუმო მომსახურებების განვითარება;
- შექმნილი ქსელის ორ ნებისმიერ დაშვების წერტილს შორის კავშირი.

ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარება საშუალებას მისცემს კერძო, განსაკუთრებით მცირე და საშუალო კომპანიებს მომსახურება გაუწიონ მოსახლეობას, სადაც ამ დრომდე ამგვარი სერვისი არ ყოფილა ხელმისაწვდომი. შესაბამისად, მთლიანად ინტერნეტიზაციის სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში დაიფარება 1064 დასახლებული პუნქტი, ხოლო 170,093 შინამეურნეობას (585,750 მოსახლეს) წვდომა ექნებათ არანაკლებ 100 მბ/წმ-ის, ხოლო ადმინისტრაციული ორგანოებსა და საწარმოებს არანაკლებ 1 გბ/წმ-ის სიჩქარის ფართოზოლოვან ინტერნეტ მომსახურებებთან;

მიმდინარე ეტაპზე, პროექტის საპილოტე ნაწილის განსახორციელებლად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტში (რომლის ძირითადი პარამეტრებია: დასახლებული პუნქტების რაოდენობა - 49, შინამეურნეობა - 8,516, მოსახლეობის რაოდენობა - 28 576) დაწყებულია ქსელის დეტალურ დიზაინზე მუშაობა, რის შედეგადაც გამოიკვეთება ქსელის ზუსტი ტოპოლოგია და დაიწყება ქსელის მშენებლობა.

საქართველოს მთავრობისა და დონორთა მხარდაჭერით განხორციელდა **ფშავ-ხევსურეთის და გუდამაყარის ხეობებში რეგიონების სათემო ინტერნეტ ქსელის მშენებლობა.** ინტერნეტით დაიფარა 100-მდე სოფელი (496 ოჯახი, 1291 მუდმივი მაცხოვრებელი).

მცირე და საშუალო ტელეკომ ოპერატორების საჭიროებების განსაზღვრის მიზნით გაიმართა სამუშაო შეხვედრები მცირე და საშუალო ტელეკომ ოპერატორების წარმომადგენლებთან, მათ შორის რიკოთის უღელტეხილზე საავტომობილო გზის მშენებლობიდან გამომდინარე, სატელეკომუნიკაციო კომპანიების ოპტიკურბოჭკოვანი მაგისტრალების გამართული ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად, მიმდინარეობდა მუშაობა სს „საქართველოს სახელმწიფო ელექტროსისტემასთან (სსე) და ქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინიტროსთან ოპტიკურ-ბოჭკოვანი მაგისტრალების რეზერვირების საკითხებზე.

საქართველოს მთავრობის 2020 წლის 10 იანვრის N60 განკარგულებით დამტკიცდა, **„საქართველოს ფართოზოლოვანი ქსელების განვითარების 2020 – 2025 წლების ეროვნული სტრატეგია და მისი განხორციელების სამოქმედო გეგმა“,** რომელიც მომზადებული იქნა ევროკავშირის „ციფრული ბაზრების ჰარმონიზაციის“ პროექტის HDM/EU4Digital-ის ფარგლებში, მსოფლიო ბანკის საექპერტო დახმარებით.

მსოფლიო ბანკთან გრძელდება მუშაობა „საქართველოს ფართოზოლოვანი ქსელების განვითარების 2020 – 2025 წლების ეროვნული სტრატეგიის“ განხორციელების საკითხებზე, მისი ძირითადი მიმართულებების განხორციელების მიზნით, მსოფლიო ბანკთან დაიწყო „Log-in Georgia“ პროექტი, 2020 წლის 31 აგვისტოს „მსოფლიო ბანკთან“ ხელი მოეწერა შეთანხმებას, რომლიც ითვალისწინებს 35,700,000 ევროს ოდენობის სესხი გამოყოფას პროექტისთვის (პროექტის მთლიანი თანხა შეადგენს 71,400,000 ევროს) და მისი მიზანია, მაღალსიჩქარიანი ინტერნეტის ხელმისაწვდომობის გაზრდა მთელი ქვეყნის მასშტაბით. პროექტი „Log-in Georgia“ სამი კომპონენტისგან შედგება: 1. ფართოზოლოვან ინტერნეტთან წვდომის ზრდა; 2. მაღალსიჩქარიან ინტერნეტთან დაკავშირებული ციფრული სერვისების გამოყენების ხელშეწყობა და 3. პროექტის დანერგვის მხარდაჭერა. სოფლების მაღალსიჩქარიანი ინტერნეტით დაფარვის ზრდით და ასევე, ქვეყნის მასშტაბით ტრენინგისა და შესაძლებლობების განვითარების პროგრამების მეშვეობით, პროექტი ხელს შეუწყობს ციფრული სერვისების გამოყენებას. პროექტი წაახალისებს ციფრულ საფინანსო სერვისებსა და ელექტრონულ კომერციას, ისევე როგორც ელექტრონული მთავრობის სერვისებს. გარდა ამისა, პროექტი ხელს

შეუწყობს დისტანციური სწავლებისა და ტელემედიცინის განვითარებას. ამასთან პროექტი ითვალისწინებს, ფართოზოლოვანი სერვისების ხელმისაწვდომობის გაუმჯობესებას პოლიტიკისა და მარეგულირებელი ჩარჩოების გაუმჯობესებას, რათა სოფლად ინტერნეტ პროვაიდერებმა დაბალ ფასად შეძლონ კონკურენტული მაღალხარისხიანი ინტერნეტ სერვისის მიწოდება. ამავე დროს, სამიზნე დასახლებულ პუნქტებში სპეციალური ღონისძიებები განხორციელდება ქალების, ეთნიკური და სოციალური უმცირესობებისა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების მიერ ინტერნეტითა და ციფრული სერვისებით სარგებლობის ხელშესაწყობად.

COVID-19 პანდემიის ფარგლებში განხორციელებული ანტიკრიზისული ღონისძიებები

- საქართველოს მთავრობის 2015 წლის 24 სექტემბრის N508 დადგენილებით დამტკიცებული სამოქალაქო უსაფრთხოების ეროვნული გეგმის შესაბამისად, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის 2020 წლის 24 მარტის №1-1/152 ბრძანებით, ახალი კორონავირუსის გავრცელების რისკების ზრდის და მომეტებული საფრთხის პრევენციის მიზნით გამოცხადებული საგანგებო მდგომარეობის პერიოდში, ამოქმედდა საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კავშირგაბმულობისა და შეტყობინების საგანგებო შტაბი, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, სატელეკომუნიკაციო და საფოსტო, მათ შორის მცირე და საშუალო კომპანიების მონაწილეობით; შტაბის ფარგლებში პერმანენტულად ხორციელდება კომპანიების წარმომადგენლების მხრიდან მათი ქსელების მდგომარეობის და ოპერირების შესახებ, მათ ფუნქციონირებასთან დაკავშირებული სხვადასხვა პრობლემატური საკითხების შესახებ ინფორმაციის მოწოდება. შტაბის ხელმძღვანელობა და ოპერატიული ჯგუფი მყისიერ რეაგირებას ახდენენ ამ მომართვებზე, ახორციელებს ეფექტურ კოორდინაციას, რის საფუძველზეც კომპანიები ახერხებენ დაზიანებებზე და შეფერხებებზე მყისიერ რეაგირებას, შესაბამისად ქვეყნის მასტშაბით არ ყოფილა არსებითი სახის შეფერხება სატელეკომუნიკაციო და საფოსტო-საკურიერო მომსახურებების მიწოდების კუთხით;
- საგანგებო მდგომარების პერიოდში, 561 ელექტრონული კომუნიკაციების და საფოსტო კომპანიას, მათ შორის მცირე და საშუალო კომპანიებს, მიეცა ეკონომიკური საქმიანობის განხორციელების საშუალება, კერძოდ ელექტრონულ კომუნიკაციებზე ავტორიზებული 331 პირს, ტელემაუწყებლობაზე ავტორიზებული 97 პირს, რადიომაუწყებლობაზე ლიცენზირებული 47 პირს და 86 საფოსტო საკურიერო კომპანიას.

- საქართველოს მთავრობის 2020 წლის 23 მარტის N183 დადგენილებით ცვლილება შევიდა დადგენილებაში „საქართველოს ელექტრონული საკომუნიკაციო ქსელების ნუმერაციის ეროვნული სისტემის დამტკიცების შესახებ“, რომლის თანახმადაც საქართველოში ახალი კორონავირუსის გავრცელების შედეგად გამოწვეულ მოქალაქეთა პრობლემებთან დაკავშირებულ საკითხებზე ოპერატიული რეაგირების მიზნით ერთიანი სამთავრობო ცხელი ხაზი - 144 ამოქმედდა.

მონიტორინგისა და შეფასების შედეგები

2020 წელს შესრულდა მუხუთე სტრატეგიული მიმართულების შესაბამისი „შესრულების ინდიკატორები“, კერძოდ:

- ✓ ინოვაციების და მეცნიერების პოპულარიზაციის მიზნით განხორციელდა რიგი ღონისძიებები;
- ✓ განხორციელდა „თანადაფინანსების გრანტის პროგრამა“ და „მცირე საგრანტო პროგრამა“;
- ✓ განხორციელდა ტექნოლოგიების გადაცემის საპილოტე პროექტები (TTPP);
- ✓ რეგიონებში მეწარმეებისთვის განხორციელდა სასწავლო კურსი ელექტრონული ბიზნესის მიმართულებით;
- ✓ შექმნილია ბათუმის ტექნოპარკი, დასრულდა გურჯაანის და კასპის ინოვაციების ცენტრის მშენებლობა;
- ✓ განხორციელდა ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინფრასტრუქტურის მშენებლობა;
- ✓ განხორციელებულია მცირე და საშუალო ტელეკომ ოპერატორების და სამაუწყებლო კომპანიების იდენტიფიცირებული საჭიროებების შესაბამისი ღონისძიებები;
- ✓ შემუშავდა და დამტკიცდა "საქართველოს ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების ეროვნული სტრატეგია და მისი განხორციელების გეგმა".

მეხუთე სტრატეგიული მიმართულების შესრულების შეფასება

ინოვაციებსა და ახალ ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობა

მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარებისთვის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესია ინოვაციებსა და ახალ ტექნოლოგიებზე ხელმისაწვდომობა. შედეგად, საწარმოთა კონკურენტუნარიანობის ამაღლება ცოდნასა და ინოვაციურ ტექნოლოგიებზე დაფუძნებული ეკონომიკის განვითარების მნიშვნელოვანი საფუძველია.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, რომელიც აფასებს ქვეყანაში წარმოებულ პროდუქციაში ინოვაციების წილს, ინოვაციური საქონლისა და მომსახურების ბაზარზე შემოტანას და სხვ., საქართველოში მცირე და საშუალო ზომის **საწარმოთა ინოვაციური განვითარება ზრდის დადებითი ტენდენციით ხასიათდება.** კერძოდ, 2019 წელს, **ბაზარზე შემოტანილ ინოვაციებში** მცირე და საშუალო ზომის საწარმოთა წილმა ბოლო 4 წლის განმავლობაში ყველაზე მაღალ მაჩვენებელს მიაღწია და 20.5% შეადგინა, რაც წინა წლის მონაცემებს 0.8 პროცენტული პუნქტით აღემატება. ასევე, ზრდა დაფიქსირდა 2016 და 2017 წლებთან შედარებითაც, აღნიშნული მაჩვენებელი, შესაბამისად, 16.5% და 17.1%-ს უტოლდებოდა.

2019 წელს, მცირე და საშუალო ზომის საწარმოთა მიერ ელექტრონული ანგარიშფაქტურების გამოყენების მაჩვენებელი 1.1 პროცენტული პუნქტით გაიზარდა და 36.9%-ს გაუტოლდა. აღნიშნული 2015 წელს, მხოლოდ 31.8%-ს შეადგენდა, ხოლო 2016 და 2017 წლებში კი 33.3%-ს და 34.5%-ს უტოლდებოდა.

აღსანიშნავია, რომ ბოლო წლების განმავლობაში რეკორდულად გაიზარდა ელექტრონული გაყიდვების მაჩვენებელი. კერძოდ, 2015 წელს, მცირე და საშუალო ზომის საწარმოთა წილი მთლიან ელექტრონულ გაყიდვებში მხოლოდ 10.8%-ს შეადგენდა, 2019 წლისთვის კი აღნიშნული მაჩვენებელი 38.2%-ს გაუტოლდა.

სამოქმედო გეგმით 2020 წლისთვის ნაკისრი ვალდებულებების შესრულება

წინამდებარე სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიში წარმოადგენს, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ცენტრალური აპარატის და სამინისტროს სისტემაში შემავალი უწყებების, ასევე, სამოქმედო გეგმით კონკრეტულ აქტივობათა განმახორციელებელ უწყებათა მუშაობის შედეგად, შესაბამისი აქტივობების შესრულებას **2020 წლის მდგომარეობით.**

ანგარიში შემუშავებულია ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ეკონომიკური პოლიტიკის დეპარტამენტის მიერ, სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული პასუხისმგებელი უწყებების/დეპარტამენტების მიერ მოწოდებული ინფორმაციის საფუძველზე.